

## ქარის შიგნითა მხარე

მთარგმნელები ელზა და გიორგი მეგრეველები )

რომანი ჰეროსა და ლეანდრზე

ჰერო

ქარის შიგნითა მხარეა ის, რომელიც მშრალია მაშინაც კი, როცა წვიმაში ქარი უბერავს. ერთ-ერთი იაფფასიანი წინასწარმეტყველი

1.

„ქალი თავისი ცხოვრების პირველ ნახევარში შეილებს აჩენს, მეორეში კი კლავს და მარხავს საკუთარ თავს ან ახლობლებს. საკითხავი მხოლოდ ის არის, როდის იწყება ეს მეორე ნახევარი“.

ამ ფიქრში გართულმა სგუდენგმა-ქიმიკოსმა ჰერონეია ბუკურმა შუბლზე მიიგება მოხარული კვერცხი და შეჭამა. ამით მთელი მარაგი ამოიწურა.

ძალიან გრძელი თმა ჰქონდა და იკეთებდა ნაწნავს, რომელიც ფეხსაცმლის ჩაცმისას კაწაპის მაგივრობას უწევდა. ბელგრადის ყველაზე ხალხმრავალ ადგილას ცხოვრობდა — ოთახი კაფე „ოქროს კასრის“ ბევით ჰქონდა ნაქირავები და მისი მაცივარი გამოუტენილი იყო სასიყვარულო რომანებითა და კოსუმეგიკით. ახალგაზრდა იყო, საყიდლებზე მიმაწვავალი, მუჭში, როგორც ცხვირსახოცს, ისე ჭმუჭნიდა ქაღალდის კუპიურებს და ოცნებობდა, ნაშუადღევს სადმე ბღვის წყალზე გაწოლილიყო და ნახევარ საათს წაეძინა. განსაკუთრებულად დაამახსოვრდა მამის ხელები, რომლებსაც, როგორც ქარისგან მორეკილი ტალღები, ისე მიუყვებოდა ნაოჭები და გოგონას შეეძლო, ჩუმად ყოფილიყო მაკორშიც და მინორშიც. ყველა ჰეროს ეძახდა, უყვარდა წიწაკა და მის კონცხს მუდამ მწარე გემო ჰქონდა, ქიმიკოსის თეთრი ხალათის ქვეშ კი წყვილი უღვაშიანი ტუბუ შეფარულიყო. ისეთი სწრაფი იყო, შეეძლო, საკუთარი ყური მოეკენიგა, საჭმელს პირდაპირ პირში

ინელებდა და იცოდა, რომ რამდენიმე საუკუნეში ერთხელ ქალის სახელებიდან მოგიერთი მამაკაცის სახელად გადაიქცევა მაშინ, როცა დაუნარჩენები იმადვე რჩება, რაც იყო.

მაგრამ არსებობდა რაღაც, რისი საუკუთარ სუფთა სამყაროს ნახაგში ჩაწერაც ვერაფრით მოეხერხებინა. ეს იყო სიმძრები.

ამ მარტივ ცხოვრებაში, სადაც ყველაფერს საკუთარი ხუთი თითივით იცნობდა, საიდან ჩნდებოდა ყოველ საღამოს ისეთი აუხსნელი რაღაც, როგორიც სიმზარია? რაღაც, რასაც გაგურძელება თვით სიკვდილის შემდეგაც კი ჰქონდა.

„სიმძრები რეინკარნაციას განიცდიან, — ფიქრობდა ჰერო, — და, სხვათა შორის, უფრო ხშირად — ქალებისა კაცების სხეულში და პირიქით... რამდენ ადამიანს შევხვედრივართ სიმძრად უკანასკნელ ხანებში! როგორც არასდროს! უბრალოდ, უკვე გადაჭედილი ვარ მოსახლეობით!“

ასეთი დასკვნა რომ გამოიგანა, ცოგაოლენი ფიქრის შემდეგ ჰერომ მაგარყდიანი საგანჯინო წიგნი იყიდა და თავისი სიმძრების ორმაგი ბუღალტერიის ყველა წესის დაცვით ჩაწერა დაიწყო. მგვიცვლ გადაწყვიტა, ეს საქმე სააშკარაობე გამოეგანა. ჩანიშნული ჰქონდა ყველაფერი, რაც კი ამ სიმძრებში ჩნდებოდა: ფაიფური, მსხალი და მშენებლობები, მარგორქები და ცხენები, თმის სარჭები და გემები, გარეული სახედრები და ანგელოზები, ჭიქები და პერიდექსის ხე, რომელზე ჩამოძღარი მგრედიც ყვავალ გადაიქცევა; სამზარეულოს სკამები და ყურებიდან განაყოფიერებული იქედნეები, ავტომობილები და ბრდვინვა პანგერისა, ძლიერ სუნს რომ გამოსცემდა და მისი სიმძრების ყველა დანარჩენი ცხოველისთვის დაუძლეველ მომხიბვლელობას ფლობდა — ყოველივე ეს გამოცხადებისდა კვალად შექტონდა სპეციალურ განყოფილებებში და თითოეულ მოვლენას ნომრავდა, ფასს ადებდა და წიგნში შეგანის თარიღს აღნიშნავდა. ყველაზე ხშირად მის სიმძრებში ჩნდებოდა გველი, რომელსაც უფლება არ ჰქონდა, ხის ჩრდილზე გადაესრიალა. ასეთ შემთხვევაში იგი, ჩვეულებრივ, ხეზე აღიოდა და ისე იქცეოდა, თითქოს თოკი იყო, მანამდე, სანამ რომელიმე ჩიგი არ დაასკუპდებოდა. მაშინ მას გველი შეკითხვას უსვამდა.

თუ ჩიგი სწორ პასუხს ვერ გასცემდა, მაშინვე ყლაპავდა. და ჰერომ არ იცოდა, მსგავსი შემთხვევა ერთ განყოფილებაში უნდა შეეგანა თუ ორში. სხვა მზანება, ასევე ხშირად რომ აღინუსხებოდა ჰეროს წიგნში, იყო ცეროლენა ბიჭი. ამ ბავშვის მამა ხორცის გარდა არაფერს ჭამდა, დედა კი არაფერს, გარდა ოსპისა. ამგვარად, მამის გამო ბიჭს მხოლოდ

ხორცის ჭამა შეეძლო, ღელის გამო კი მხოლოდ ოსპისა, აქედან კი ისე გამოდიოდა, რომ ჰეროს სიმბრებში მას შიმშილით სიკვდილი მოუწევდა.

„ამჟამად, ჩვენს შიგნით ყოველდღიურად გავდივართ დიდ მანძილს, იგივე შეუძლიათ გააკეთონ სხვებზეც ჩვენში, — იწერდა ჰერო საინვენტარო წიგნის მინდვრებზე, — და ამ მოგზაურობას ვახორციელებთ განსაკუთრებული შინაგანი მოძრაობების წყალობით, რომლებიც ერთობ სწრაფია და შემძლე, ისეთი სიფრცე აითვისოს, რომლის გავლასაც ვერასოდეს შევძლებდით ცხოვრებაში. ეს შინაგანი მოძრაობა სიმბარში გაცილებით სრულყოფილია გარეგნულზე, რადგან უძრაობა სრულქმნილია, ის არის ყველაფრის პირველშივე და თავის სიმშვიდეში მოიცავს მოძრაობასაც. ოღონდ, — ფიქრობდა მერე, — სიმბარში შეიძლება ისეც აღიქვას, როგორც ცხოველი“.

რადგან ბავშვობაში ძმასთან ერთად უცხო ენებს სწავლობდა, ჰერო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა იმ ენობრივი ფორმების ინვენტარიზაციას, რომლებსაც სიმბარში როგორც თავად, ისე სხვებიც იყენებდნენ.

ეს იყო მსგავსი რაღაც სიმბრების გრამატიკისა, მზანებათა ლინგვისტიკისა და იმ სიტყვების ლექსიკონებისა, რომლებიც სიმბრებში გამოიყენებოდა. უნდა ითქვას, რომ ჰეროს სიგყვარი ძალიან ჰგავდა ეგრეთ წოდებულ „ძაღვების ლექსიკონებს“, რომლებიც ახალგაზრდა ქალბატონებს შორის მეოცე საუკუნის ოციანი წლების მიწურულს შემოვიდა მოლაში. მათ ლექსიკონში შეჰქონდათ გამოთქმები, რომლებიც გასაგებია მათი მწვერების, პუდელებისა და ბულგეროიერებისთვის. ჰეროს სიგყვარში სიმბარიც ახსნილი იყო, როგორც ცხოველი, თავის პაგრონს სხვადასხვა ენაზე რომ ელაპარაკება, ოღონდ უნარი აქვს, შეისწავლოს რამდენიმე სიგყვა ჰეროს გამოცხადებების სალაპარაკო ენიდან ისევე, როგორც თვითონ ჰეროც ნელ-ნელა ითვისებდა ამ უცნაური ცხოველის მეგყველების გრამატიკას და იმ დასკვნამდეც კი მივიდა, რომ სიმბრების ენაში გვხვდება ყველა არსებითი სახელი მაშინ, როცა გზნებს სულაც არა აქვს ყველა ის დრო, რომელიც რეალობაში ახასიათებს.

ეს კია, ამ დღით სიმბრების დარდი არ ჰქონდა. მარტი თებერვალს დღეებს ჰპარავდა, ბალახი სავარძლებიდან, როგორც ამწვანებისას, ისეთ სუნს გამოსცემდა, ის კი წითელი ფანქრით ასწორებდა და ნიშნებს უსვამდა საფოსტო ბარათებს, რომლებიც ფრანგულად დაწერეს მისმა მოსწავლეებმა, ამჟამად არდადეგებზე რომ იყვნენ. ჰერო საარსებო სახსარს

ჩამორჩენილი მოწაფეების მეცადინეობით შოულობდა, მაგრამ სეზონი ის-ის იყო დამთავრდა, ამიგომ ყოველი ეშვის ძირში ღრბილები უფეთქავდა.

ჰერო შიმშილობდა, როგორც თევზი და მარცხენა ფეხი უწვავდა მარჯვენას, ვიდრე თვითონ გაბეთს შლიდა.

იქ ეწერა:

„ვეებთ ფრანგული ენის მასწავლებელს ბავშვების კვირაში ორჯერ სამეცადინოდ. ღობრიჩინის ქუჩა 6/111“.

ნაწნავი ყურებზე ბლითებივით დაიხვია და ეზოდან შესასვლელით აღმოჩნდა ღობრიჩინის ქუჩის ექვს ნომერში, მესამე სართულზე. ყოველ ბინას ჰქონდა ფანჯარა, მზიან მხარეს გაჭრილი, და კიდევ ერთი — ქარბურგა მხარეს რომ გასცქეროდა და მაფხულობით ჩრჩილი ძაღლებსაც კი უჩნდებოდათ. ბურგით მარის ღილაკს მიეყრდნო, ჩანთიდან საცხი ამოიღო, ყუთი ამოაგრიალა და ქვედა ტუჩზე წაიღებო, ქვედა ტუჩის — ბედაზე და ღილაკს თავი მიაჭირა. „სიმონოვიჩი“ — ამოიკითხა მარის დაბლა მიჭედებულ დაფაზე და შევიდა. ბინაში ასე ათიოდე წლის ბიჭუნა შეუძღვა და მაშინვე მიხვდა, რომ სწორედ ეს არის მისი მომავალი მოსწავლე და, უკან რომ მიჰყვებოდა, გაიფიქრა: „ამას ტაკუნები მალეიდან, ბედ წელთან ეწყება“.

ცოლ-ქმარმა სიმონოვიჩებმა სამფეხა სკამზე დასვეს და უპირველესად ის აცნობეს, რამდენის გადახდას აპირებენ გაკვეთილებში ყოველთვიურად. თითო ბავშვისთვის ათასი ღინარი მიმზიდველად ჟღერდა და ისიც დათანხმდა.

ჰერო იჯდა, ნაწნავშემორცმული, ენით კბილებს ითვლიდა და აკვირდებოდა, როგორ აპაჭუნებდა სიმონოვიჩი მარცხენა თვალს ყოველთვის, როცა ბგერა „რ“-ს წარმოთქმა უწევდა.

ისინი დაელოდნენ, ვიდრე შებინდებოდა და სამ წვრილ ჭიქაში რაღაც მაგარი სასმელი ჩამოასხეს.

„ჯანმრთელობას გისურვებთ!“ — მიმართა ოჯახის უფროსმა და ორჯერ ჩაუკრა მარცხენა თვალი, თითქოს ენაში ძვლებს ითვლისო. ჰერომ იმის გაფიქრებაც ვერ მოასწრო, დროს ცუდუბრალოდ ვკარგავო, რომ მისი დამჭირავებელი დიასახლისის ბაგებზე უცნაური, მავლურებელი ღიმილი შენიშნა. ის ქალის სახეზე ისე ცახ-ცახებდა, როგორც პაწაწუნა დაფეთებული მხეცი.

„ცხადია, ბავშვები ნამდვილი შგერები უნდა იყვნენ, თუ ღელას ასეთი რამ სჭირს“, — დაასკვნა ჰერომ და ამ დროს ხელი ჭიქაზე მოუხვდა. რამდენიმე წვეთი კაბაზე დაეცა. იმ ადგილს დახედა, შენიშნა, ლაქა ქსოვილზე ფართოვდებოდა და აჩქარებით შეუდგა გამომშვიდობებას. ამასთან, ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს ფრჩხილები თაბურულამხვევი სისწრაფით ეზრდებოდა.

ვასიას ქუჩაზე ჰერომ ორი დიდი რვეული იყიდა და იმავე საღამოს გაამზადა მომავალ მოწაფეებთან სამეცადინოდ.

სახელმძღვანელოდ გამოიყენა, თუ როგორ ასწავლიდნენ თვითონ მას ბავშვობაში და ამიგომაც ყველა გვერდი

ვერტიკალური ხაზით ორ-ორ ნაწილად გაყო. მარჯვენა სვეტში ფრანგული ზმნების ახლანდელი და წარსული დროები უნდა ჩაეწერა, მარცხენა სვეტი განკუთვნილი იყო მომავალი დროისთვის, კავშირებითი კილოსა და პარტიციპისთვის, რომელიც იმ მოქმედებას აღნიშნავს, დროში მთავარ მოქმედებას რომ ემთხვევა.

ქუჩაში მამთრის სინესგე ბაფხულისას ერწყმოდა და ყველა სახლის ოთახები შარშანდელ სუნს გაუმოსუცემდა.

ჰერომ რვეულები აიღო და დობრიზინის ქუჩისუკენ გასწია პირველი გაკვეთილის ჩასაგარებულად. როცა მესამე სართულზე, სიმონოვიჩების ბინისკენ აღიოდა, ქუსლებზე „ემშაკის ნაკბენები“ სტკიოდა.

— მითხარი, დღეს რა დღეა, ოღონდ პაგიოსნად! — ჰკითხა თავის აღსაზრდელს, რომელსაც ისე მისჩერებოდა, როგორც გველი ბაყაყს. ის შეცბუნებისაგან გაშტერდა და ჰერომ დაინახა, როგორ დაასხა რაღაც უცნაურმა ოფლმა ბიჭს, მისკენ კვლავ მურგით რომ შეგრიალდა. ბიჭმა ჰერო მაგიდასთან მიიყვანა, რომლის გარშემო სამი მწვანე სკამი იდგა. ნახევრად ბნელ ოთახში დღისით სანათი ენთო, ღამით კი აქრობდნენ, რადგან ღამღამობით იქ არავინ იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩაის სვამდნენ და ქალი უყურებდა, როგორ ფხენის ფრჩხილებით ბიჭი შაქრის ნაგებს ფინჯანზე, მერე თითებს იწუნის, მერე ახალ რვეულში პირველი ფრანგული ზმნების შეტანა დაიწყო. მაგიდაზე მათი ფინჯნების გვერდით მესამეც იდგა, ოღონდ ის არავის გამოუყენებია.

— სიკვდილის გეშინია? — მოულოდნელად ჰკითხა ჰეროს ბიჭმა.

— სიკვდილზე არაფერი ვიცი იმის გარდა, რომ თორმეტი საათსა და ხუთ წუთზე მოვკვდები.

— როგორ თუ თორმეც საათსა და ხუთ წუთზე?

— ისე, უბრალოდ.

ჩემს ოჯახში ყველა ბუკური მენალმე იყო. ნაღმებს ისე აწყობდნენ, რომ ისინი შუაღლისას ფეთქდებოდა და იქ, სადაც ისინი მუშაობდნენ, ეს ამბავი ყველამ იცოდა — საბალოებზე, რკინიგზის მშენებლობაზე და ასე შემდეგ, ამიგომ ადამიანები სულ იმალებოდნენ, როგორც კი შუაღლის მარი ჩამორეკდა. თუ ნაღმი არ აფეთქდებოდა, რომელიმე ბუკური თორმეც საათსა და ხუთ წუთზე უნდა წასულიყო და ენახა, რა მოხდა, ჰოდა, ჩვეულებრივ, ასეც იხოცებოდნენ.

— კი მაგრამ, შენ როგორღა მოკვდები თორმეც საათსა და ხუთ წუთზე, მენალმე რომ არა ხარ?

— სულ იოლად, თორმეც საათზე იკვებება ქიმიის ინსტიტუტი, სადაც მე ვმუშაობ. ყველა სახიფათო ცდას, რომელთა ჩატარებასაც გვიკრძალავენ, თორმეცი საათისთვის გადავდებ ხოლმე და როცა ყველა მიდის, პირველ სანთურას ვანთებ. ყველა მეუბნება, ერიდე, შენც თორმეც საათსა და ხუთ წუთზე არ აფეთქდეთ... ახლა კი, კეთილი ინებე და გაკვეთილს მიხედე, თორემ ვერასოდეს დამოუკიდებელ ადამიანად ვერ იქცევი: სიბერემლე მამისებურად დააცემინებ და დედისებურად დაამთქნარებ...

ამას რომ ამბობდა, ჰერო მესამე, გამოუყენებელ ფინჯანს და მეორე რვეულს მისჩერებოდა, რომელიც მაგიდაზე მესამე სკამის წინ იდო და იმედგაცრუებას გრძნობდა იმის გამო, რომ მეორე ბავშვი არა და არ ჩანდა, რადგან გაბეთშიც, მშობლებთან საუბრისასაც ბავშვებს მრავლობით რიცხვში ახსენებდნენ და ფულადი ანაზღაურებაც ამისი შესაგყვისი იყო. „ესენი რაღაცას ხლართავენ“, — გაიფიქრა ჰერომ, საშინაო დავალებად მომდევნო გაკვეთილი მისცა და წვიმიან ქუჩაში გამოვიდა, თან „ემშაკის ნაკებნზე“ იბიჯებდა და კიდეც უფრო ასტკივდა.

ქუსლებზე ცეცხლი წაჰკიდებოდა.

მაგრამ ვიდრე ქუსლები დაწვას მოასწრებდა, რაღაც სრულიად მოულოდნელი მოხდა. თვე იწურებოდა, ძაღლების ქორწილების ღრო დაღვა და ერთ დილას დობრიჩინის ქუჩის ბინაში მაგიდაზე ფულიანი კონვერტი აღმოაჩინა. ათასის ნაცვლად, შიგ ორჯერ მეტი იდო. ესე იგი, ერთის კი არა, ორი მოსწავლის მეცადინეობის საფასური გადაუხადეს.

— ეს მეორე ათასი დინარი რაღას ნიშნავს? — ჰკითხა ბიჭს.

- ეგ კაჩუნიცასთვის.
- კაჩუნიცა ვინლაა?
- ჩვენ კაჩუნიცა გვყავს.
- ახლა ისეთს მოგაყოლებ! ვინ არის კაჩუნიცა?
- ჩემი და, — უპასუხა ბიჭმა და ისე გაიცინა, რომ ყურები კისერზე გაექცა.
- კარგი და, ეგ შენი კაჩუნიცა გაკვეთილებზე რაგომ არ მოდის?
- ეგ მეც მაინტერესებს.
- ნუთუ არ იცი?
- არა.

კაჩუნიცა თვალითაც არ მინახავს.

„ამისგან სიკეთეს ნუ გამოელი“, — გაიფიქრა ჰერომ და ხმამაღლა დაუმატა:

- მოკლედ, ეგ შენი კაჩუნიცა არსებობს თუ არ არსებობს?
- მე რა ვიცი? მშობლები ამბობენ, რომ არსებობს. დედა საშინლად ბრაზობს, როცა ვინმეს ამაში ეჭვი ეპარება. მხოლოდ ეს ვიცი, რომ სუფრას ყოველდღე ოთხ კაცზე შლიან, თუმცა კაჩუნიცას ადგილი სულ ცარიელი რჩება.

საუბრებზე კაჩუნიცასთვის ყოველთვის ხარშავენ მეოთხე კვერცხს და ჩვენს ძაღლზე, კოლიაზე, ამბობენ, თითქოს მისი ძაღლია... ამ ზამთარს ჩვენი, ბავშვების, ოთახიდან გამომასახლეს, მშობლებმა მითხრეს, რომ ცუდია, როცა ამ ასაკის ბიჭი და გოგო ერთ ოთახში იძინებენ...

ბიჭი დაღუძდა და ჰერომ შეამჩნია, რომ ის თვალმოუშორებლად მისჩერებია მესამე, თავისუფალ სკამს, მრგვალ მაგიდასთან რომ დგას.

- უცნაურია, არა? — დაუმატა ბიჭმა და ჰერომ უკვე იცოდა, რომ მარცხენა თვალი მაშინვე მოექუცება, როგორც კი ენა ასო „რ“-სგან აკანკალდება.

„ეს ხალხი ისეთი ამოუცნობია, როგორიც ამინდი“, — გადაწყვიტა ქალმა, მთელი ფული აიღო და გასასვლელისკენ დაიძრა.

მაგრამ როცა მომდევნო გაკვეთილის ჩასატარებლად მოვიდა, მინებიან კართან ბიჭის მაგივრად დედა დახვდა. ნესტისგან თავის დასაცავად ქალი, აივანზე რომ მოაბიჯებდა, ჩამოშლილ თმაში სუნთქავდა და ოთახში შემოსული ისეთი ფრანგულით არაკრაკდა, როგორისთვისაც ჰეროს ჯერ კიდევ ოთხწლიანი სწავლის შემდეგაც ვერ მიეღწია. სტუმარი

მრგვალ მაგიდასთან დასვა და სთხოვა, გაკვეთილებზე განსაკუთრებული ყურადღებით მოჰკიდებოდა საკითხებს, რომლებიც ბავშვებს უძნელდებოდათ. საუბრისას რამდენჯერმე ისე დაცქვიტა ყურები, თითქოს რაღაცას აყურადებსო. შვილებზე მრავლობით რიცხვში ლაპარაკობდა, მისი ღიმილი ახლა უფრო მეტად თრთოდა, ვიდრე წინა შეხვედრაზე, ერთი ხელის ფრჩხილები კი პირდაპირ მაგიდის კიდეზე ჰქონდა ჩარჭობილი. თავზე ისე აშკარად მოუჩანდა გკივილი, როგორც თმის გამყოფი ბოლი.

ფრანგული ენის გაკვეთილების შესახებ ისე ლაპარაკობდა, თითქოს საქმე სიკვდილ-სიცოცხლეს შეეხებოდა.

„სიბრაულისგან ყურები პირდაპირ ჭკნება“, — გაიფიქრა ჰერომ, როცა მას უსმენდა.

— ცხადია, ძალიან კმაყოფილები ვართ იმ წარმატებებით, რასაც ბავშვებმა მიაღწიეს, — ამშვიდებდა ღიასახლისი. მაგრამ, როგორც გაირკვა, აწმყო და წარსულ ღრობებთან დაკავშირებით რაღაც უჭირთ, მომავალი დრო, მინდა გამოვყო, კარგად იციან. ასე რომ, შეიძლება, მის შესწავლას მაინცდამაინც დიდი დრო არ დაუთმოთ...

იჯდა ჰერო თავის გრძელ ნაწნავზე და ვერაფრით გაეგო, ეს ქალი, რომლის შესანიშნავ ფრანგულსაც ახლა ისმენდა, შვილებს რაგომ თვითონვე არ მიხედავდა და ამის ნაცვლად რაგომ კვებავდა მათ ცოდნის ნამცეცებით. ამ დროს ოთახის ბინდბუნდში, სადაც საუბრობდნენ, სახლის მზით განათებული მხრიდან ბიჭი შემოვიდა. დედა შეუმჩნევლად გაქრა, ჰერომ კი მთელი ყურადღება საუბრის გმირზე გადაუიგანა. ნიკაპის მოძრაობით ანიშნა ბიჭს, დამჯდარიყო, მაგიდის ქვეშ ფეხები ფეხით გაუწია და ხელი დაავლო რვეულს ფრანგული მშნებით — მგკიცე გადაწყვეტილებით, გაეგლო მთელი მასალა აწმყო და წარსულ ღრობებზე. ამ წამს კვლავ იგრძნო, როგორი სისწრაფით ემრდებოდა ფრჩხილები.

თითებზე რომ დაიხედა, ჰერომ აღმოაჩინა, რომ ფრჩხილები ნამდვილად ემრდებოდა და რომ საერთოდ დავიწყებია რვეულის მარჯვენა სვეტზე მოცემული ყველა ფორმა, რომელთა გამოკითხვასაც აპირებდა. რომ გაეხსენებინა, რვეული გადაშალა და ფურცვლა-ფურცვლით დაუწყო ბიჭს ფრანგულის დამხმარე მშნების აწმყო და წარსული ღრობების ფორმების გამოკითხვა. ბიჭი ბრწყინვალედ პასუხობდა და ჰერო გაკვირვებული იყო.

— ყველაფერი იცი, სკოლაში კი ენაგადაყლაღპულივით მიხარ. რა გემართება? დედა გემდურის.

— მე კი არა, კაჩუნცას ემდურის.



— ისევ შენსას გაიძახი?

— კაჩუნცამო, დედა ამბობს, შესანიშნავად იცის მომავალი დრო და ვერაფრით აწმყო და წარსული ვერ უსწავლიაო. მეც ვერ გამიგია, ეს როგორ ხდება, იმიტომ, რომ ძალიან იოლია, გაცილებით იოლი, ვიდრე მომავალი... მაგრამ დედა ამბობს, თქვენ იმისთვის მოგიწვიეს, რომ კაჩუნცას ამის გაგებაში დაეხმაროთ...

ჰერომ ყურადღებით შეხედა ბიჭს, ნაწნავი წელზე შემოირგცა და წავიდა. შემდეგ მოსვლაზე მოდის მიხედვით ორფრად შეღებილი თმით გამოცხადდა და ბიჭს დაავალა, ეთარგმნა ათი ლექსი გაკვეთილიდან ჰეროსა და ლეანდრზე, რომლის რიგმაც ფრანგული ენის სახელმძღვანელოს მიხედვით მოუწიათ.

ბიჭი დინჯად კითხულობდა ფრანგულ ტექსტს, რომელიც სინამდვილეში ერთი ძველი ბერძნული პოემის თარგმანი იყო:

თანგ ქუე ჰერო გინგ სონ რეგარდ ბაისსე

ვერს ლა გერრე,

ლეანდრე, დე სეს ყეუხ დ'ამოურ,

ნე სე ლასსა პას

დე რეგარდერ ლე ცოუ დელიცაგ დე ლა ჯეუნე

ფილლე...

ამ ადგილას სახელმძღვანელოში ტექსტს სურათი მოსდევდა, ამიტომ ბიჭი გაჩუმდა.

— და რაზე ცურავს ის? — იკითხა მან.

— რა სულელური შეკითხვაა? რაზე შეიძლება იცურო, გარდა მღვის გაღლებისა?

— შენკენ მოცურავს? შენ ხომ ჰერო ხარ?

— ჰო, ჰერო ვარ და ხელებსა და ფეხებზე ფრჩხილებს ვიკუნეგ, შენთვის კი, ახალგაზრდა ბაგონო, ეს აკრძალულია.

— ლეანდრმა შენკენ რაგომ გამოცურა?

— იმიტომ, რომ ჰერო შეუყვარდა. ქალი კი, ვიდრე ის მოცურავდა, უნათებდა.

— მერე, არ გეშინია იმისი? რა მოხდება, შენამდე თუ მოცურდება?

— კიდევ რომ გიპასუხო, ვერაფერს მიხვდები, — უპასუხა ჰერომ, რომელსაც წყვილი მკვრივი ტუბუ ჰქონდა, როგორც ყური, ისეთი ღრმა ჭიპი და ბეჭდები ფეხის თითებზე.

— ბოლოს რა დაემართა? გაცურა?

— წაიკითხე და გაიგებ... ვერ გაცურა. ამბობენ, რომ ჰეროს ძმამ ნავის ანძაზე ლამპარი აანთო და ამ შუქით ლეანდრი ღია ბღვაში გაიტყუა, მერე ლამპარი ჩააქრო და ნაპირზე დაბრუნდა, ლეანდრი კი სიბნელეში დასახრჩობად მიაგოვა ჰეროსგან შორს, შორს.

— აი, ეს მომწონს! ძმამ დაგიცვა!

— სულ სისულელეებს გაიძახი. ჩემი ძმა პრადაშია, იქ მუსიკას სწავლობს და გიჯობს, თავი დაანებო. კითხვა განაგრძე და ყურადღებით იყავი, თორემ ხვალ ცულ ფეხზე ადგები...

მაგრამ მეორე დღეს თვითონ ჰერო ადგა ცულ ფეხზე, მარცხენაზე. იმ შეგრძნებით გაიღვიძა, რომ ენა ორად გაეყო, როგორც გველს, მგრძნობელობა კი მხოლოდ მარცხენა ნაწილს შემორჩა.

მარჯვენას გამოყენება შეუძლებელი იყო. ადგა, ოდეკოლონი „ველური წყალი“ იპკურა, მაგიდიდან ნაწნავით მგვერი გაღმობასუფთავა და გამოსაშვები, სადიპლომო გამოცდისთვის მზადება დაიწყო. მეცადინეობა თავიდან კარგად აეწყო, მაგრამ მერე შეფერხდა. მაშინ ჰერომ გადაწყვიტა, მოწაფეების რეველები შეემოწუმებინა. და აქ აღმოაჩინა, რომ თვითონაც ვეღარ ერკვევა აწმყოსა და წარსულ ღროებში.

უფრო ბუსტად თუ ვიცხვით, რეველის გვერდის მარჯვენა მხარის ყველა ფორმა ნამდვილ თავსაგებად ეჩვენებოდა. მარცხენა მხარე კი, პირიქით, გაცილებით უფრო გასაგები გახდა; შეიძლება ითქვას, ასე კარგად არასოდეს სცოდნია არა მარგო ფრანგულის, არამედ თვით მშობლიური ენის მომავალი ღროც კი.

მის განსაკუთრებულ ყურადღებას ეგრეთ წოდებული მეორე მომავალი ღრო იპყრობდა. იგრძნო, რომ ზოგი ადამიანი ღროს იმ ბოლოდან გამოხრავს ხოლმე, რომლითაც ყველაზე ახლოს არის აწმყოსთან და მერე გზას აქედან იკვლევს, სხვები კი, ხოჭოსავით, იმთავითვე გულში უძვრებიან და მერე ნახვრეგებს ტოვებენ. ამ ფიქრების გადამკიდე ჰეროს მოეჩვენა, რომ თავზე ორნაირი თმა აქვს და ცოტას ამოვისუნთქავო, გადაწყვიტა.

თაროზე ღობრიჩინის ქუჩაზე პირველად მისვლისას დალაქული კაბა იპოვა და გასაწმენდად წაიღო.

„აღამიანს მოულოდნელად წაადექი თავს და იხილავ ცხოველს! — ფიქრობდა გზად, ხოლო თუ ვინმე შენ წაგადგება თავს, როცა არ ელი, დაუკვირდი, შენში ყველაზე ადრე და სწრაფად რა გამოეხმაურება საფრთხეს და მოულოდნელობას: ხმა, ხელი, ფიქრი, გამოხედვა, თმა, ნერწყვი, სხვა გემო რომ მიეცა, თუ ოფლი, რომელმაც სუნი შეიცვალა... და შეეცადე, დაუაღწხრო ეს, თუ უკვე გვიან არ არის. ეს ავანგარდია, მოწინავე რაზმი, პირველი ნიშანი იმისა, რომ საფრთხე გემუქრებაო...

საქმე ის არის, რომ მაშინ, როცა სიმონოვიჩების მაგიდასთან სასმელი გადაეცხა, ჰეროს სხეულის არც ერთ ან თითქმის არც ერთ ნაწილს რეაქცია არ ჰქონია, მხოლოდ ხელი მოუხვდა ჭიქაზე შემთხვევით და ამ ხელზე უჩვეულოდ სწრაფად დაეწყო ფრჩხილების მრდა. ეს იყო ერთადერთი საგანგაშო ნიშანი, რომელიც ახლა, ნახევარი წლის შემდეგ გააცნობიერა. ახლა, როცა, ყველაფრიდან გამომდინარე, უკვე გვიან იყო და ჰერო მოულოდნელობამ გააოგნა, ცულ ფეხზე მდგომი შიშით შეჰყურებდა წამომრდილფრჩხილებიან ხელს, რომელსაც თავის დროზე ყური არ მიუგდო.

— ღრუბლებში დაფრინავ? — ღვარძლიანად ესროლა ერთ-ერთმა კოლეგამ ფაკულტეტიდან და, რომელი საათიაო, ჰკითხა.

ჰეროს უნდოდა, კითხვაზე პასუხის გაუცემლად გაეგრძელებინა გზა ქარის ორ ნაკადს შორის, კალემგდანადან რომ უბერავდნენ, მაგრამ უცბად პასუხი წამოცდა, თანაც მომავალ დროში:

— მალე თორმეტი საათი და ხუთი წუთი იქნება.

— ფრთხილად, თორმეტი საათსა და ხუთ წუთზე რამე არ მოგივიდეს, ღღეს მეგისმეგად დაბნეული ხარ, — უპასუხა კოლეგამ და გამორდა. ჰერო კი მთლად გაოგნებული დაგოვა. უეჭველია, მისი ფრანგული ენის დაავადება, აწმყო დროის დამბლით რომ გამოიხატებოდა, მშობლიურ ენასაც გადაედო.

„რა დაემართება ახლა ჩემს ახლანდელ დროს, რაკი მე მას ვგოვებ? — თავის თავს ეკითხებოდა შეშინებული ჰერო, — ვინმე სხვასთან ხომ არ გადაინაცვლებს? ნუთუ ვიღაც უცხო მასთან ერთად ჩემს მოგონებებსაც მიიღებს, მემკვიდრეობით გადაეცემა ჩემი წარსული?..“

და მართლაც, ჰერომ რაღაც სხვა ენაზე დაიწყო მეტყველება, მისი თანამედროვეების ენისგან განსხვავებულზე, თუმცა ეს ენა იგივე იყო. თავს ისე გრძნობდა, თითქოს

ხომალდზე იყო, რომელიც გაშლილ მღვაში ერთ ადგილას იდგა იმის გამო, რომ „სამკაპა“ — ჩიტი მისი სიმბრებიდან — თავისი ვეებერთელა ფრთებით ხელს უშლის ქარს, მისწვდეს აფრებს, რომლებმაც გემი უნდა აამოძრაონ. განსაცემელზე ღილების მაგივრად პაგარა საათების მიკერება დაიწყო, მაგრამ ამანაც ვერაფერი უშველა. სადიპლომო გამოცდა ვერ ჩააბარა, რადგან ბილეთში მოცემული ცდა ისე აღწერა, რომ ვერაფრით გაიგებდი, რომელი მოქმედება აღრე ხდეუბოდა და რომელი გვიან. ფრჩხილებს, ცოფიანებივით რომ ემრდებოდა არანორმალური სისწრაფით, ყველგან იჭრიდა, სტუმრად ყოფნისასაც კი.

თუმცა მასპინძლები აპროგესგებდნენ, აქაოდა, ეს უბედურებას მოგვიგანსო.

ღობრიჩინის ქუჩაზე აღარ დადიოდა, რადგან ბიჭუნამ რვეულის მარჯვენა მხარე მასზე გაცილებით უკეთ იცოდა.

თავი კი იმაში დაიჭირა, რომ უფრო და უფრო ხშირად დაუწყო ბიჭს გამოკითხვა თავისთვის ახლობელ და კარგად ათვისებულ მომავალდროიან მარცხენა მხარეზე. მაგრამ უმთავრესი მიზეზი, რისთუვისაც ღობრიჩინის ქუჩის სახლში სიარული შეწყვიტა, სხვა იყო, თანაც გაცილებით მნიშვნელოვანი. ეშინოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მრგვალ მაგიდასთან ბიჭს კი არა, კაჩუნიცას დაინახავდა, რომელიც პირის ნახევრით მოლიმარი ხელში ათამაშებს ბეჭედს და ამ ბეჭდის ქვა თავის ანარეკლს პირდაპირ ჰეროს თვალისკენ ისვრის. ჰეროს ეშინოდა, რომ ეს არ გააკვირვებდა და, თითქოს არაფერი მომხდარაო, გოგონას გაკვეთილის ახსნას დაუწყებდა. იმისიც ეშინოდა, რომ ვერ შეძლებდა, კაჩუნიცასთვის აწმყო დრო ესწავლებინა, რადგან ამისი თვითონაც ვერაფერი გაეგო და არა მარტო ეს აშინებდა. ისინი, ორივენი — ჰერომ კი ეს იცოდა და აშინებდა — სულ იოლად იპოვიან საერთო ენას თავიანთ მომავალ დროში, უკვე განსაზღვრულ, მაგრამ ჯერ კიდევ დაუწყებულ საქმეებში, გართულები ებრაული ბლის ღვინის დამზადებით, რომელსაც არავინ სვამს, რადგან იმით სხვა ღვინოებს ფერავენ. და მესამე სკამი, ის, რომელზეც ახლა ბიჭუნა მის, აწმყო დროის სკამი, თითოეული მათგანისთვის სამუდამოდ ცარიელი დარჩება.

ყოველივე ამამე რომ ფიქრობდა, მზერა შემთხვევით წიგნის თაროსკენ გაექცა და იქ სიმბრების საინუენტარიზაციო წიგნი დაინახა.

ნაწნავით აბლაბუდა მოაცილა, გადაშალა და მეხდაცემულივით გაშეშდა. ყველაფერი აშკარა იყო. სიების შესწავლისას ჰერომ აღმოაჩინა, რომ სიმბრებში აწმყო დრო არ არსებობს, იქ ჩნდება რაღაც მიმდროისნაირი, სიმბრის მხილველის აწმყოში მოცემულ რეალობას რომ

შეესაბამება, ჩნდება იმ მოქმედების სახით, რომელიც სიმშრის ღრვის თანხვედნილია. სიმშრების ლინგვისტიკა არაუროზროვნად მიანიშნებდა, რომ არსებობს სიმშარში მიმდინარე ღრვის მიმღობა და რომ გზა რეალობაში მიემართება მომავლის გავლით, თანაც სწორედ სიმშრის სახით. სიმშრებში ხომ წარსული ღრო არ არსებობს. იქ ყველაფერი გახსენებს რაღაც ჯერ კიდევ არმომხდარს, რაღაც უცნაურ ხვალეს, რომელიც ამ მზნეუბამდე დაიწყო. გაგონებს ავანსს, მომავალი ცხოვრებიდან აღებულს, რაღაც მომავალს, რომელიც ხორცს ისხამს იმის წყალობით, რომ მძინარე (იზოლირებული მომავალ ღროში) გაექცა გარდაუვალ „ახლა“-ს.

ასე და ამგვარად, ყოველივე მარგივი და ნათელი გახდა.

ჰეროს ენაში იყო განმასხვავებელი შტრიხები და ნაკლოვანებები სიმშრების გრამატიკისა, რომელსაც გულდასმით იკვლევდა საინვენტარიზაციო წიგნში. არ არსებობდა აწმყო ღრო. ასე მიხვდა ჰერო, როგორ წარმოიშვა მისი ენობრივი დაავადება, რისი მიზეზიც ის იყო, რომ მას სულ სძინავს და არ შეუძლია, სიმშრიდან ცხადში გამოაღწიოს.

ჰერო ყველა შესაძლო საშუალებით ცდილობდა გამოფხიზლებულიყო, მაგრამ ყოველივე ამას გამოდგა და მან, პანიკით შეპყრობილმა, გადაწყვიტა, რომ განთავისუფლების მხოლოდ ერთი გზა რჩება. თორმეც საათისა და ხუთ წუთზე, როგორც კი ქიმიის ინსტიტუტი დაიკვება, ის მას ჰაერში ასწევს და მაშინ გაიღვიძებს, რათა, თუ ფხიზლობს, მოკვდეს ან რათა იცოცხლოს, თუ სძინავს.

— ეს უნდა გავაკეთო, — ცხვირში ღუღუნებდა ჰერო, რომელიც ჩიკა-ლუბის ქუჩაზე მიაბიჯებდა. აქ შენიშნა, რომ ჯერ აღრეა და თორმეც საათისა და ხუთ წუთამდე მთელი ნახევარი საათია დარჩენილი.

ამ ღროს სწორედ იმ ქიმწმენდას უახლოვდებოდა, სადაც კაბა ჩააბარა.

„შევივლი და ფულს გადავიხდი, სულერთია, ღრო მაქვს“, — გაიფიქრა და ასეც მოიქცა.

— აი, მზად გახლავით, — უთხრა კაცმა ქიმწმენდიდან, — მხოლოდ, მინდა, ყურადღება მიაქციოთ, რომ ლაქა არაფერ შუაში იყო. ის, რაც თქვენ ლაქა გეგონათ, აი, აქ, მარჯვნივ, უბრალოდ, ერთადერთი სუფთა ადგილი იყო მთელ კაბაზე...

„ეს გიპი, შეიძლება, მართალიც არის, — გადაწყვიტა ქუჩაში გამოსულმა ჰერომ, — ეშმაკსაც წაუღია ეს რვეულის მარცხენა მხარე! სულერთია, ის ყოველთვის უფრო ჭკუყიანი იქნება, ვიდრე მარჯვენა!“ ეს დასკვნა რომ გამოიგანა, ჰერომ გეგმები შეცვალა და, იმის

ნაცვლად, რომ ინსტიტუტში წასულიყო და ზუსტად თორმეც საათსა და ხუთ წუთზე აეფეთქებინა, პირდაპირ დობრიჩინის ქუჩაზე, სიმონოვიჩებისკენ გასწია ფრანგული ენის გაკვეთილის ჩასაგარებლად.

ქალბატონმა სიმონოვიჩმა გამარჯვებულის სახით, თავმოყვარეობა დაკმაყოფილებულმა და საზეიმოდ, როგორც ეკლესიასთან, მიიყვანა ბაგონ სიმონოვიჩის ღიმილთან; ჰეროს დაბრუნება ორივემ გამარჯვებულ მიიჩნია, ბიჭუნა მთელი ოჯახის თანდასწრებით მიუსვეს მრგვალ მაგიდას პირქუშ სასტუმროში, ხოლო მესამე სკამი, კაჩუნიცასთვის განკუთვნილი, როგორც მუდამ, ახლაც თავისუფალი დარჩა და აი, აქ, ყველასთვის მოულოდნელად, ჰერომ მაგიდისკენ მიაჩოჩა მეოთხე სკამი, თავში კი გაუელვა: „მოგიწევს ჩემი ხუმრობის გადახარშვა!“

— ეს ვისთვის გინდათ? — დაბნეულად იკითხა ბიჭუნას დედამ და მისი ღიმილი ისე აცახცახდა, როგორც შეშინებული მხეცუნა.

— ლეანდრისთვის, — მშვიდად უპასუხა ჰერომ, — უკვე მოცურდა და დღეიდან გაკვეთილებს ჩემთან, კაჩუნიცასა და თქვენს ბიჭუნასთან ერთად ისიც დაესწრება.

ახლა მე ყოველ დილას, საუბმებზე, ლეანდრისთვისაც ვხარშავ ერთ კვერცხს.

და ამ დროს ჰერომ იგრძნო, ჯადოქრობა, სიმზარი თუ ფანგაბია, — ვინ იცის, რა იყო ეს, — სულ თან რომ სდევდა, უცბად საპნის ბუშგივით გასკდა.

— შენ რას მომშტგერებიხარ? — თქვა, ბიჭს მიმართავედა, გაიცინა და იმავე დღეს პრალაში, ძმასთან გაემგზავრა.

## 2.

ჰეროს გადაწყვეტილება პრალაში წასულიყო და სწავლა გაეგრძელებინა, სულაც არ ყოფილა ისე ნაუცბადევი, როგორც ჩვენ გვეჩვენება. უკვე დიდი ხანია, გრძნობდა იმის აუცილებლობას, რომ ცხოვრების წესი უნდა შეეცვალა. მართალია, ჰერო ულამაზესი ქალიშვილი იყო, საოცარი, გედივით გრძელი კისერი ჰქონდა და მისი ერთი თვალიდან დღე იყურებოდა, ხოლო მეორედან ღამე, ის მარგოსული იყო. უკვე დიდი ხანია უნდოდა, მარგოხელას ცხოვრებიდან, ბელგრადაში რომ ჰქონდა, ყველა მისი სიმზრით, ხეგიალითა და უცნაურობით, მეოთხე კვერცხითა და მესამე სკამით, მოწესრიგებულ ოჯახურ ყოფაში გადაენაცვლა, რისი შესაძლებლობაც პრალისკენ ეწეოდა, სადაც მისი ძმა, პრალის

კონსერვატორიის სტუდენტი მანასია ბუკური, ამქვეყნად მისთვის ერთადერთი ახლობელი ადამიანი ცხოვრობდა. ჰეროს ის უკვე სამი წელი არ ენახა და ამის აგანა უჭირდა. სხვათა შორის, იმიტომაც, რომ მათი შგოს ბუკურების უკანასკნელმა წარმომადგენელმა რომელიღაც ქვასაგებზე დიდი ხნის წინ დაასრულა თავისი ცხოვრების გზა მუსგად თორმეც საათსა და ხუთ წუთზე. მარგობისგან გადაქანცული ჰერო ძმას წერილებით უკავშირდებოდა, თუმცა ეს მიმოწერა, სულ ცოგა, უცნაური მაინც იყო.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ ჰეროს მწერლობის ამბიცია ჰქონდა, ოღონდ გამომცემელთაგან არავის მისი ხელნაწერები არ აღაფრთოვანებდა.

მაშინ გადაწყვიტა, ხელი მთარგმნელობისთვის მიეყო და აქ უფრო გაუმართლა. ეს კია, ყოველ წიგნში, რასაც თარგმნიდა, ანუ ანაგოლ ფრანსის, პიერ ლოგის თუ მუზილის რომანებში, ჰერო მისგანვე შეთხზულ და გამომცემლებისგან უარყოფილ რომელიმე ნოველას ან მათ ფრაგმენტებს ჩაურთავდა ხოლმე და, ბოლოს და ბოლოს, სხვა მწერლების რომანების თარგმანებში გამოქვეყნებული აღმოაჩინა მთელი თავისი კრებული.

როგორც კი მისი ნათარგმნი მორიგი რომანი გამოუვიდოდა, სულერთია, ცალკე წიგნად თუ გაგრძელებებით ნაბეჭდი, გაზეთის ლიტერატურულ ჩანართსა ან ჟურნალში, ჰერო სხვის გექსტში ჩართულ ნაწყვეტს გუჩსაცხით მონიშნავდა და ძმას პრალაში უგზავნიდა. საინგერესოა, რომ ამ ნაწყვეტებს ყოველთვის რალაც ფარული აზრი გასდევდა, მხოლოდ ამ ორისთვის გასაგები. ჰეროს პოეზია არ უყვარდა. ამბობდა, რომ მწერლისთვის ლექსი განაჩენია, ხოლო პროზა — შეწყალება. და-ძმის მიმოწერის მაგალითად გამოლუგებოდა ნოველა, რომელიც ჰერომ — გუგუღლივით, კვერცხს სხვის ბუღეში რომ ღებს — ანაგოლ ფრანსის ერთ-ერთი რომანის თუ რომელიღაც სხვა წიგნის მისეულ თარგმანში ჩადო:

მთხრობა კაპიგან ფონ ვიგკოვიჩზე

„1909 წლის იმ აღრიანი შემოდგომის დილით ავსტრია-უნგრეთის არმიის საინჟინრო ჯარების კაპიგანმა, მისმა კეთილშობილებამ, ბაგონმა პეგარ ფონ ვიგკოვიჩმა სამხედრო საყვირის ხმაზე თავისი ლოგინის ნაცვლად ვიდაცის უცხო სულში გაიღვიძა.

ერთი შეხედვით, ეს სული ფართო იყო, ცუდად განიავებული და გვარიანად დაბალჭერიანი, მოკლედ, ჩვეულებრივი სული იყო, მაგრამ, ამასთან, უეჭველია, სხვისი. განათება აქ ცოგა უკეთესი იყო, ვიდრე წინაში, კაპიგან ფონ ვიგკოვიჩის საკუთარ სულში, მაგრამ, ამისდა

მიუხედავად, კაპიტანი სულაც არ იყო დარწმუნებული, ამ სხვის სულში უცბად შევირის ან კედელს რომ არ მიეჯახებოდა.

თუმცა ბატონი კაპიტანი მიიჩნევდა, რომ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია, თავის დროზე შეაბიჯო მეხუთე ათეულ წელში, ახლა თავს მაინც უხერხულად გრძნობდა. ბუნებრივია, მაშინვე შენიშნა ცვლილება, რასაც ვერ იტყვი მის მხლებელ სამხედროფორმიან, შამხანებიან ორ მამაკაცზე, რომლებიც ვერაფერს ამჩნევდნენ. ზუსტად ასე ვერ შენიშნეს ცვლილებები სამხედრო პროკურორმა, ბატონმა პოლპოლკოვნიმა კოხმა, გამომძიებელმა, მაიორმა ფონ პალანსკიმ, რომელსაც კაპიტან ფონ ვიგკოვიჩის დაკითხვებზე უწინდებურად ეწყებოდა სულის ხუთვის შემოტევები. ყოველთვის, როდესაც გამოძიების ქვეშ მყოფი თავის ჭეშმარიტ სახელებს არქმევდა იმ მოვლენებს, პირებს და საგნებს, პროცესს რომ უკავშირდებოდნენ.

საგამომძიებო და სასამართლო ორგანოების სიუზხიმოლის ესოდენ მოღუწების მიუხედავად, ანდა, იქნებ, სწორედ ამის წყალობითაც, კაპიტან ფონ ვიგკოვიჩის საქმე სულ უფრო მეტად იხლართებოდა.

გარდა იმისა, რომ სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი (უცხო სახელმწიფოს, კერძოდ, სერბეთის სამეფოს სამხედრო წრეებთან კონტაქტისათვის) და ძალიან მალე მაგარებულთ გადაიყვანდნენ ვენიდან პეტროვარადინში, იმ ადგილას, სადაც სასჯელის მოხდა მოუწევდა, ახლა სხვის სულთან დაკავშირებული დამატებითი უხერხულობებიც შეექმნა. ამასთან, უხერხულობა, სულ ცოცხა, ორი იყო. უპირველესად, თავს უსვამდა შეკითხვას — რისი უფლებაც, ბუნებრივია, ჰქონდა, — სად არის მისი საკუთარი სული და რა სჭირს მას იმ დროს, როცა თვითონ, გრძელი წვრილი ჯაჭვით დაბორკილი, ორი ბადრაგის თანხლებით სხვისი სულის გავლით (რომელიც ახლა მას გადაეცა) პეტროვარადინისკენ მიემართება.

ამ უცხო სულში თავს სულ უფრო და უფრო ცუდად გრძნობდა (და ახლა ამაში საეჭვოც აღარაფერი რჩებოდა). არ იცოდა, ამ სულში გზა როგორ გაეგნო. წარმოდგენა არ ჰქონდა, არსებობს თუ არა სამხედრო კომპასი, რომელიც სხვის სულში გადაადგილებისას ორიენტირებისთვის არის განკუთვნილი.

ამ ფიქრებისგან შემკრთალმა ბატონმა კაპიტანმა ფონ ვიგკოვიჩმა უცბად ვაგონის ფანჯრის მინაზე საკუთარი სახის ანარეკლში თავისი მამის დაღლილი თვალები დაინახა და იმავე წამს შეკითხვაც დაებადა: მაინც რა ხდება ამ სულის პაგრონის თავს, სულისა, რომელიც ახლა



მისი კომპეტენციის სფეროში აღმოჩნდა? რას საქმიანობს, ვინ არის, სად ცხოვრობს ის და როდის გამოაძევეს საკუთარი სულიდან, რომელიც მერე სხვას გადასცეს? ყველაზე უსიამოვნო კი ის იყო, რომ ბატონ კაპიტანს წარმოადგენაც არ შეეძლო — ამ სხვის სულს, რომლის ფსკერზეც ახლა თავისი ციხის მკბენარებიანად მაგარებლით მგზავრობს, როგორი რეაქცია ექნება მის ჩვევებსა და ახლანდელი, ახალი ყოფის არცთუ მარტივ დეტალებზე.

უცნობი იყო, მაგალითად, როგორი დამოკიდებულება ექნება ამ სულს მისი ქრონიკული კბილის ტკივილის ან იმ ფაქტის მიმართ, რომ იძულებულია, დროდადრო ნახშირზე შეწვას და ჭამოს ციხის თავგები?

ამ დროს ბატონ კაპიტანს ფიქრი ვიღაცის მაღალტემბრიანმა ხმამ გააწყვეტინა, რომელიც მაგარებელში მის ზურგს უკან ისე სევდიანად ამღერდა, როგორც სუფთად დაბანილ თმებს შორის. და, თითქოს ამ ხმას გამოეპასუხაო, ბატონ კაპიტან ფონ ვიგკოვიჩს კბილის ტკივილმა უმაგა, სხვისი სული კი, ამჟამად მისთვის ბოძებული, ყველა სიმიტ აქლერდა. ასე შეიგყო ბატონმა კაპიტანმა, რომ ეს სული მუსიკალურია, რასაც ვერაფრით იგყოფით მის საკუთარზე... და მაშინ მისმა კეთილშობილებამ, კაპიტანმა ფონ ვიგკოვიჩმა გადაწყვიტა, გაერკვია, მაინც რას წარმოადგენს ეს ახალი სული; მოეჩხრიკა მისი უცნობი კუნჭულები, რომლებიც, უეჭველია, ექნებოდა და რომლებიც კაპიტანისთვის, ბუნებრივია, საერთოდ უცხო იყო და აი, ჯაჭვშებუელი, ვაგონის სკამზე მჯდომი, მის დათვალიერებას შეუდგა.

სხვის სულში გადაადგილება რომ დაიწყო (არსები-თად ბრმად, მოცემულ სიგუაციაში ერთადერთი შესაძლო საშუალებით), ბატონი კაპიტანი ფონ ვიგკოვიჩი ფანჯარას წააწყდა. უჩვეულებრივესი ფანჯარა („ვახ, ვახ, სულს, როგორც ჩანს, შეიძლება ფანჯარები ჰქონდეს“, გაიფიქრა და ფანჯარაში გაიხედა).

იქითა მხარეს არაფერი იყო. აბსოლუტურად არაფერი. ოღონდ თვითონ ფანჯარას, სხვის სულში გაჭრილს, სულ ახალი დანიშნულება ჰქონდა, ისეთი, როგორიც კაპიტან ფონ ვიგკოვიჩის ცხოვრებაში არც ერთ სხვა ფანჯარას არ ჰქონია. ეს, უბრალოდ, ფანჯრის ჩარჩო კი არ იყო, ჯვრის ფორმის ხის ალათით, შუაში კი საკეგით (ანუ სახელურით) — ფანჯარა წარმოადგენდა ბატონ ფონ ვიგკოვიჩის და საერთოდ, დედამიწაზე მცხოვრები ნებისმიერი ადამიანის დროისა და ცხოვრების ახსნა-განმარტებას. გაუსის თანამედროვემ, XVIII ასწლეულის ცნობილმა ფიზიკოსმა ათანასიე სტოიკოვიჩმა ჯერ კიდევ ორი საუკუნის

წინ იცოდა, რომ არსებობს არა ერთი მარადისობა, არამედ ორი და იგივე მშვენივრად უწყობდა კაპიტანმა ფონ ვიგკოვიჩმა, რადგან ფიზიკა სამხედრო სასწავლებლის პროგრამაში შედიოდა. ახლა ეს ორი მარადისობა ფანჯრის ჩარჩოს ცენტრალური შვეული თამასით იყო წარმოდგენილი. დრო კი ჰორიზონტალურით.

მარადისობისა და დროის გადაკვეთის ადგილი აღინიშნებოდა სახელურით, ანუ ფანჯრის საკეგით. აქ იყო საიღუმლო, იმავე ცხოვრების გასაღები. ბუსგად აქ, ფიქრობდა ბატონი ფონ ვიგკოვიჩი, რადგან სწორედ სამყაროს ამ ნაწილში ისწავლა დრომ გაჩერება. შეიძლება ბუსგად აქ საქმე გვაქვს რომელიღაც მოთვინიერებულ დროსთან. ცხოვრება მხოლოდ ისეთ დროშია შესაძლებელი, რომელიც წამით შეჩერდა და შეუძლებელია მაშინ, როცა ის მოუთვინიერებელი მიედინება.

თუ შევიმეცნებთ, რომ მარადისობა გარდამოდის ჩვენზე, როგორც ღვთის წყალობა, როგორც ნათლის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც არ ბერდება (ასე მიიჩნევენ ბიზანტიელი ბერები), ხოლო დრო გამოდინდება საგანისგან, რომელიც გაძრის მარცხნივ არის, მაშინ ნათელი გახდება, რომ განსამღვრულ ადგილას უნდა არსებობდეს მარადისობა და დროის ოქროს კვეთი. ჯვრის იმ ადგილზე, სადაც ერთმანეთს კვეთენ დრო და მარადისობა, დრო წამით შეჩერდება იმისთვის, რომ მარადისობამ აკურთხოს... და ეს წამია აწმყო.

აწმყოს ფარგლებს გარეთ — როგორც წარსულ, ისე მომავალ დროში — სიცოცხლე არ არის, არასდროს ყოფილა და არც არასდროს იქნება.

მაშ, ასე, ჩვენ აქ ვიმყოფებით, რადგან სამყაროს ამ ნაწილში დრო ჩერდება და სწორედ ამით ხდის შესაძლებელს ჩვენს სიცოცხლეს. ალბათ, დასაშვებია, წარმოვიდგინოთ დროც, რომელსაც არა აქვს შესაძლებლობა, გადაიკვეთოს მარადისობასთან და აქედან გამოდინარე, შესაძლებლობა — შეჩერდეს. ამიგომაც მას არ აქვს აწმყო, რის გამოც უნაყოფოა. ჩვენ არ შეგუვიძლია სამყაროს ასეთ ნაწილში ყოფნა, რამდენადაც ჩვენი უმთავრესი განმასხვავებელი თვისება სიცოცხლეა, რაც შეეხება სიკვდილებს, მათ ძალუბთ, ისრიჯალონ დროის ღერძზე — როგორც ბევრით, ისე ქვევითაც.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კითხვაზე: „საიდან ჩნდება დრო?“, პასუხი ასეთია: დრო სიკვდილისგან მოდის, რადგან იქამდე, ვიდრე არსებობს სიკვდილი, იარსებებს

დროც. როცა სიკვდილი გაქრება, გაქრება დროც. ასე რომ, სიკვდილი თბობას, ძაფის მქსოვლის, მსგავსად ქსოვს ჩვენს დროს.

იმიტომ, რომ თუ სიცოცხლე იქ არის, სადაც დრო შეჩერებულია აწმყოს მომენტში, არ იძვრის, სიკვდილი იმ ნაწილში გვეუცხაულებს, რომელშიც დრო მიედინება. ესე იგი, დრო სიკვდილის გავლით მიედინება და ჩერდება სიცოცხლეში. ზუსტად იმ წერტილში, სადაც სულის ფანჯრის ალა-თის ჯვარედინზე გადაიკვეთება მარადისობა და დრო...

ამ დროს ბაგონმა ფონ ვიგკოვიჩმა იგრძნო, რომ ჯაჭვს კანი გადაუყვლეფია, და შემდგომი ძიებები შეწყვიტა.

იგი არ ეკუთვნოდა იმათ რიცხვს, ვისაც მსგავსი ფიქრები და ძიებები დიდხანს აწვალეს. სამ-დღიანი მგზავრობის შემდეგ ისინი, წვერმოთელილები და ფეხებგამეშებულები, პეგროვარადინში ჩავიდნენ. ვეებერთელა მდინარის სანაპიროზე გაშენებული ეს ქალაქი უკანასკნელი იყო, რაც თავის სიცოცხლეში ბაგონმა კაპიგანმა დაინახა. მაშინ ბადრაგთაგან ერთ-ერთისგან გაიგონა სიგყვები, რომლებიც ერთსა და იმავე დროს შეიძლებოდა აღგექვა, როგორც დამშ-ვიდება, მუქარა და მორალიც კი.

— ადამიანის ცხოვრება უცნაური რბოლაა: მიზანი გზის ბოლოს კი არ არის, არამედ სადღაც შუაში, შენ კი გარბიხარ, გარბიხარ, იქნებ კარგა ხანია, გვერდზე ჩაუქროლე, მაგრამ თვითონვე არ იცი, ვერ შენიშნე, როდის მოხდა ეს.

ჰოლა, ვერც ვერასოდეს გაიგებ. ამიტომაც განაგრძობ სირბილს...

პაგიმარს ჯაჭვი შეხსნეს და მისადგმელი კიბით ჩაუშვეს მიწისქვეშა საკანში, სადაც მუდმივი შემოდგომა გამეფებულიყო, უფრო სწორად, მუდმივი შემოდგომის დამე, რადგან აქ დღის შუქი ვერ აღწევდა. ვიდრე საკანს თავს დაახურავდნენ, ბაგონმა კაპიგანმა ფონ ვიგკოვიჩმა მოასწრო, დაენახა ჯარისკაცური საწოლი, ნესგისგან მთლად შეჭირხლული; კედელზე — კათოლიკური ჯვარცმა (თუმცა თავად ბაგონი კაპიგანი მარ-თლმადიდებელი იყო) და დიდი გისოსები, მთლიანად რომ ფარავდა სარკმელს, რომელიც ჩაბნელებულ მიწისქვეშა დერეფანს გაჰყურებდა. ფანჯარასთან მაგიდა იდგა, რომელზეც ჩამქრალი სანთელი, საწერი ქალაღლი და ფირმა „კორონას“ საბეჭდი მანქანა შენიშნა. საწოლზე იღო ბიბლია ჩეხურ ენაზე (თუმცა ბაგონი ფონ ვიგკოვიჩი სერბი იყო).

როცა ჭერზე თავსახური რახუნით დაეშვა, ბაგონ ფონ ვიგკოვიჩს ორი შემადრწუნებელი აზრი გაუჩნდა. ჯერ ერთი, აქვს კი ვინმეს უფლება ან შესაძლებლობა (იურიდიული

თვალსაზრისით), პატიმრობა მიუსაჯოს სხვის სულს (დაე, თუნდაც მასში ამჟამად პირადად მსჯავრდადებული იმყოფებოდეს?) და ხომ არ არის საჭირო, შესაძლო სერიოზული სასამართლო შეცდომის თავიდან ასაცილებლად გამომძიებლის ყურადღება გაამახვილოს მთელ ამ აბსურდულ ვითარებაზე? მეორეც, როგორია ის, ეს სხვისი სული, მის გარშემო სინათლის ორივე მხარეს კილომეტრებზე და მერე კიდევ მილებზე რომ განფენილა — მართლმადიდებლური, როგორიც წინა იყო, მისი საკუთარი სული, თუ პროტესტანტული, ან იქნებ სულაც კათოლიკური? ეს მნიშვნელოვანი საკითხი იყო, რამდენადაც ბაგონ კაპიტან ფონ ვიგკოვიჩს უნდოდა, წინასწარ გაეგო, რომელ სულს აწონიან ეშმაკები, როცა საშინელ სამსჯავროზე წარუდგება — აი, ამას, სხვისას, ვინ იცის, ვისას — იქნებ, მუსლიმანისას, ან ალრე იქნებ რომელიმე რაბინის კუთვნილებაც რომ იყო, — თუ მის საკუთარს, მართლმადიდებელ სულს, რომელმაც, როგორც კი სასამართლოს განაჩენი გამოცხადდა, მაშინვე მოუსვა.

აი, ასე გადაწყვიტა ბაგონმა კაპიტანმა ფონ ვიგკოვიჩმა, დაკვირვება ჩაეგარებინა ამ სხვის სულზე, რომელშიც ის თავისი საპატიმროთი და მის თავს ბევით პეგროვარადინით გამოემწყვდიათ, ამ ახალ და მისთვის უცხო სულზე, რომლის გავლითაც მიედინებოდა ახლა უხილავი ღუნაი და მისი საკუთარი ძლივს შესამჩნევი სიცოცხლე.

მაგრამ აკვირდებოდა არა მარტო ის.

აკვირდებოდნენ მასაც. რკინის საწოლზე რომ ჩამოჯდა, ბაგონმა კაპიტანმა, რასაკვირველია, იცოდა, რომ თუმცა განაჩენი უკვე გამოუგანეს, მისგან ელიან შემდგომ აღიარებებს და ამ საქმეზე არსებულ ყოველგვარ ინფორმაციას, საქმეზე, რომელიც სამხედროებს უკავშირდებოდა და რომელშიც თვითონაც იყო გარეული. სწორედ ამიტომ გასცა ბრძანება გამომძიებელმა, ბაგონმა ფონ მიოლკმა, საკანში სანთელი და საბეჭდი მანქანა დაეწყით — იმედოვნებდა, რომ მის მეურვეობაში მყოფი დამატებითი აღიარებებით შეაფასებდა იქვე, მაგიდაზე აკურაგულად დადებულ ქაღალდის დასტას. ბაგონი გამომძიებელი ახლაც, ღროდაღრო, საკნის თავსახურს ასწევდა ხოლმე და დაჰყურებდა პაგარა და სუსტ სხეულს, დაფარულს უხვი თმით, ახალაბიბინებულ შავ ჯეჯილს რომ აგონებდა. იყურებოდა ქვევით და ვერაფრით გაეგო, როგორ ხდება, რომ პატიმრის სახეზე, ამასთან, მას, რა თქმა უნდა, წარმოდგენაც არ შეეძლო, რომ სხეული, სამსახურებრივი ინტერესის საგნად რომ აქცია, ამ დაკვირვებისთვის ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ

სხვისი, ანუ ვიღაც მესამის სულის მეშვეობით, რომელსაც ამგვარად შეჰქონდა გაუთვალისწინებელი სიძნელეები ბაგონ კაპიგან ფონ ვიგკოვიჩის საქმეში და სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა მის ოფიციალურ გამოძიებას.

მცველებმა, რასაკვირველია, უმკაცრესი გაფრთხილება მიიღეს, დაუყოვნებლივ ეცნობებინათ ბაგონი გამომძიებლისთვის ჰაგიმრის ქცევაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილების თაობაზე. ასე რომ, ისინი ფხიშლად აღეწებდნენ თვალყურს თავიანთ მსხვერპლს, რომელიც თავის მხრივ, უკვირდებოდა სხვის სულს, რომლის ფსკერზეც თავად იმყოფებოდა. ამ დაკვირვებებში როგორც ერთი, ისე მეორე მხარისთვის დრო სწრაფად გადიოდა და აი, უკვე ნახსენები მზიანი დღეა დაღვა (როგორც ბაგონმა ფონ ვიგკოვიჩმა შენიშნა, სხვისი სულისთვის ცნობილი იყო, რომ მაღლა, მათ თავს ზევით ღილაა და მზე ანათებს, ამასთან, თვითონ მან ეს არ იცოდა და არც შეეძლო, სცოდნოდა).

მაშ, ასე, იმ დღით ბაგონი კაპიგანი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სხვისი სული, რომლის შიგნითაც ამწუთას იგი მაგიდასთან მჯდომი საუბრობდა, გაცილებით ნელი იყო მის ნამდვილ სულთან შედარებით. ხოლო ცოგა ხნის შემდეგ, ღამით (თუ ეს ნამდვილად ღამე იყო), კაპიგანი ფონ ვიგკოვიჩი ხველამ გამოაღვიძა. მისი საკნის მრუმე უკუნში ვიღაც ახველებდა. ახველებდა სხვისი სული, რომელიც რაღაც განსაკუთრებული მეგაფიზიკური გაციებით დაავადებულიყო. მაგრამ ამას კაპიგანი ფონ ვიგკოვიჩი სულ არ აუღელვებია. სხვა რამ აწუხებდა — ხველებით იოლად მიხვდებოდა, რომ ეს სული მამაკაცისა კი არა, ქალისა იყო.

„შეიძლება, მამაკაცისა და ქალის სულები ისე, როგორც სიკვდილები, წყვილ-წყვილად დადიან“, — გაიფიქრა ბაგონმა ფონ ვიგკოვიჩმა და პირველად მიუჯდა საბეჭდ მანქანას. ბეჭდვა დაიწყო და ღაცვა, რომელსაც მიღებული ჰქონდა უმკაცრესი ბრძანება (იმ შემთხვევისთვის, თუ გუსალი საქმეს შეუღებოდა), არანაირი ფორმით, თვალთვალთაც კი, ხელი არ შეეშალა მისთვის, გამოცოცხლდა და კმაყოფილი სახით აყურადებდა მანქანის ხმას.

— როგორც იქნა, — წამოიძახა ბაგონმა გამომძიებელმა ფონ მიოლკმა, ცხვირში ისეთი ბუებუყი დააწყებინა, როგორც მუცელში და საკნისკენ გაიჭრა, რათა ყოველივეში პირადად დარწმუნებულიყო.

მანქანა სწრაფად კაკუნობდა, თუმცა ხანდახან მოკლე-მოკლე შესვენებებით — ზოგჯერ რომელიმე ასოს შემდეგ კაპიტანი ფონ ვიგკოვიჩი დიდხანს ჩერდებოდა, ზოგჯერ უცბად ურტყამდა რამდენიმე კლაუვიშს და მანქანა იჭედებოდა, მაგრამ საქმე, საერთოდ, წინ სწრაფად მიიწევდა, რაც გასაკვირი სულაც არ იყო ბატონ ფონ ვიგკოვიჩის შემთხვევაში, რომელსაც სწრაფი ხელები ჰქონდა, აქამდე რომ ინახავდნენ ხსოვნას მისი მეუღლის განის ყოველი ნაკვთისას.

პატიმრის ყურადღება რომ არ მიეპყრო, დაცუვამ ბრძანება მიიღო — არავითარ შემთხვევაში არ გამოეგანათ საკნიდან იმ დასმენის თუ აღიარების თუ კიდევ რაღაცის არც ერთი ფურცელი, რასაც ბატონი კაპიტანი ყოველ დილას კენკავდა მანქანაზე, ახალი სანთლებით კი შეუფერხებლად მოემარაგებინათ.

მაგრამ აქ მოხდა რაღაც გაუთვალისწინებელი, რამაც კინალამ წყალს გააგანა ბატონი გამომძიებლისა და მისი ხელმძღვანელობის იმელები.

ერთ-ერთმა დაურაჯმა (მოსულებომ, მაგრამ, იქნებ სწორედ ამიტომაც მიხვედრილმა, რომ სარდაფში სანთელს არავინ ჩააქრობდა), აკრძალვის მიუხედავად, სათვალთვალოდან საკანში სწორედ იმ დროს ჩაიხედა, როდესაც ბატონი კაპიტანი ფონ ვიგკოვიჩი სხვისი სულის, რომელშიც თვითონ იყო გამომწვევდელი, სულ წკიპზე იჯდა და მანქანაზე ბეჭდავდა. დარაჯი იმდენად გააოცა იმან, რაც დაინახა, უფრო სწორად, იმან, რაც ვერ დაინახა, რომ სასწრაფოდ ბატონ გამომძიებელს უხმო. ბატონი კაპიტანი ფონ ვიგკოვიჩი აბსოლუტურ სიბნელეში ბეჭდავდა. სანთელი საერთოდ არ აუნთია და წყვდიალში აგარებდა ღვებებს და ღამეებს, მანქანას ბრმად აკაკუნებდა სრულ უკუნეთში.

„სანთელი რისთვის მინდა, — ფიქრობდა ის, — თუ იბულებული ვარ, ჩემ ირგვლივ მყოფი სხვისი სული ხელის ცეცებით ვიკვლიო სიბნელეში?“

რაც შეეხება ბატონ გამომძიებელ ფონ მიოლკს, მას, ბოლოს და ბოლოს, დიდად არ აწუხებდა საქმის ამგვარი შემობრუნება. იგი იმედოვნებდა, რომ ამ აბურღული საქმის სხვა ეჭვიმგანილებზე გაჭიანურებულ ძიებაში შეიძლებოდა გამოსდგომოდა თვით ბნელში ნაბეჭდი გვერდებიც კი, ამიტომ განკარგულება გასცა, ბატონ ფონ ვიგკოვიჩისთვის ციხის რეჟიმი არ შეეცვალათ. იგი კარგად იცნობდა სამხედრო სამსახურის ოქროს წესს: რაც უნდა მოხდეს, ოფლი შეიმშრალე და ჭაპანის წვევა განაგრძე. ბატონი კაპიტანი ფონ ვიგკოვიჩი ძველებურად ყოველ საღამოს წვებოდა ჯარისკაცურ საწოლზე, მაგრამ ჩასჭიდებდა ხელს

რკინის სკამს, გვერდით რომ ედგა და სხვისი სულის გავლით იძირებოდა სიმბარში; როგორც ყველა სერბი, ისიც არავის არაფერს ჰაგიობდა, მაგრამ არც ბოლმას იღებდა გულში, ასე რომ, ყოველთვის მშვიდად ეძინა.

მაგრამ ერთხელაც ასეთ ცხოვრებას ბოლო მოეღო: სერბეთ-ავსტრიას შორის კონფლიქტი გაჩაღდა, რომელიც მერე პირველ მსოფლიო ომში გადაიზარდა, კაპიტან პეტარ ფონ ვიგკოვიჩის საქმე გადახედვას დაექვემდებარა და განაჩენი შეიცვალა.

ერთხელ, ღლის ბოლოს, კაპიტანი ციხის მიწაყრილთან გამოიყვანეს და შამხანებით შეიარაღებული ჯარისკაცების ოცეულის წინ დააყენეს. მოასწრო, დაენახა, როგორ დაუმიზნეს და მალპიც გაიგონა. დახვრიტეს. მეორე მალპი აღარ დასჭირვებიათ, პირველსავე მკვდარი დაეცა. მიუხედავად ამისა, ერთი ოფიცერი მიუახლოვდა, რათა მის სიკვდილში დარწმუნებულიყო, მერე გამორდა. კაპიტანი შედეს ჯორბე, ოფლის მწკლარგე სუნი რომ ასლიოდა, მიიგანეს ხესთან, რომლის მახლობლადაც სამ ჯარისკაცს უკვე გაეთხარა საფლავი და მიწაში ჩაუშვეს. გვამს მიწას რომ აყრიდნენ, ღროღადრო ჩერდებოდნენ და ქულებით ოფლს იწმენდნენ.

ბოლოს საფლავის ორმო ამოიფსო, ქვევით ღუნაის გაღლები ხმაურით ეხლებოდნენ ციხესიმაგრის ქვის კედლებს, კაპიტანის კბილი კი ჯერ კიდევ განაგრძობდა სუსტ ყუყუნს.

საკანში, მაგიდაზე, იპოვეს ქალაქების გროვა, შევსებული საბეჭდი მანქანის ნიშნებით. ოღონდ ამ გვერდებზე, რომლებიც მაშინვე იქცა ყველაზე ცნობილი ავსტრიელი გამშიფრავების ანალიზის საგნად, უბრალოდ, უაზრო მწკრივები აღმოჩნდა სიბნელეში დაბეჭდილი ასოებისა, რომლებიც სრულიად არაფერს ნიშნავდა და რომელთა გაშიფვრა შეუძლებელი იყო თვით ყველაზე იშვიათი და საიდუმლო გასაღებითაც კი. ბრმად ნაბეჭდ ამ ასოებში არ იღო არანაირი საიდუმლო შინაარსი, არანაირი ფარული ან აშკარა ინფორმაცია. რა შეიძლებოდა, გამოგეწურა, მაგალითად, ასეთი ჩანაწერიდან: — ჯიჯკ, კოლ, ოჰჰმფე, წემგდ გეჰს...“

(და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ).

აი, ასეთი გექსტი ჩაუმაგა ჰერომ ლოგის თუ სხვა ვიღაცის რომანში, ვისაც თარგმნიდა და ტიპოგრაფიიდან წიგნის სასიგნალო ეგზემპლარის მიღებისა და კონგრატულად გაგანილი გექსტის მინდვრებზე პომადით ჩანიშვნის შემდეგ ძმას პრადაში გაუგზავნა. ეს,

როგორც უკვე ვთქვით, და-ძმის ერთგვარი საიღუმლო მიმოწერა იყო. ძმამ მაშინვე იპოვა ჩანიშნული ადგილი, თვალი გადააწვლი და შეჩერდა სულ ბოლოში, სადაც ჰეროს მოჰქონდა „კორონას“ ფირმის მანქანაზე ნაბეჭდი სტრიქონი, რომელიც საცოდავ კაპიტან ფონ ვიგკოვიჩის ჩანაწერი იყო.

მანასია ბუკურმა, ჰეროს ძმამ, გაიღიმა და დას მისწერა, რომ ეს სტრიქონი, მისი კეთილშობილების, ბატონ ფონ ვიგკოვიჩის დაწერილი, იყო იოჰან სეზასგან ბახის სამხშიანი ინვენცია ფა მინორი, თუმცა ამჯერად საბეჭდ მანქანაზე, და არა ფორტეპიანოზე, შესრულებული...

ამ მიმოწერის გარდა ჰეროს ერთ-ერთი მეგობრის ქაღალდებში აღმოჩნდა ბარათი, რომელიც ნათელს ჰფენდა მოგზაურობას იგალიაში, და-ძმა ბუკურებმა ერთად რომ მოაწყვეს.

„შარშანდელი გამთარ-გამაფხული ძმასთან ერთად იგალიაში, მოხუც და ახალგაზრდა წმინდა ნიკოლოზს შორის გაგაგარე, — წერდა ჰერო ამ ბარათში, — ცხოვრების სახსარი რომ ეშოვა, ძმა საღამოობით ერთ პაგარა რესტორანში უკრავდა, სადაც მხიარული სტუმრების თვალწინ ორი ახალგაზრდა გოგონა პაგარა სცენაზე ერთმანეთს ხდიდა და აცმევდა. როცა თავისუფალი საღამო ჰქონდა, ძმას კონცერტებზე და თეატრებში დაყავდი.

რომში ვცხოვრობდით და, როგორც წესი, იქაურ გეგოში ვსაღილობდით, პაგარა კაფეში. ერთ დღიას ძმა რომელიღაც გაზეთში თეატრის განცხადებას წააწყდა, იმდენად საინტერესოს, რომ მეც მაჩვენა. წერდნენ, რომ თეატრალური დასი „იბიკი“ მაყურებელს იწვევდა მუსეის პოემის მიხედვით დადგმული სპექტაკლის, „ჰეროსა და ლეანდრის სიყვარულისა და სიკვდილის“ პრემიერაზე.

— ეს, ალბათ, შენზეა, — გამეხუმრა და ბილეთებზე წავედით.

განცხადებაში მითითებული იყო ქუჩა, სადაც ის შენობა იდგა, რომელშიც სპექტაკლი იმართებოდა, გარდა ამისა, მოგანილი იყო რამდენიმე სტრიქონი ძველბერძენი ავგორის გექსტიდან. ისინი ასე ჟღერდა: „აღამიანი, მას შემდეგ, რაც ამქვეყნად არსებობს, იბულებულია, არჩევანი გააკეთოს ორ „არას“ შორის“. თეატრის სახელწოდებამ („საბავშვო“) გაგვაოცა, ეგუც არ იყოს, არც მე და არც ჩემს ძმას მის არსებობაზე აქამდე არაფერი გვსმენოდა. გაქსი დავიჭირეთ და მივალწიეთ ვიწრო, მიტოვებულ ქუჩამდე, უამრავი საფეხურით, რომელთაგან თითოეული განსხვავებულ ხმას გამოსცემდა, როგორც პიანინოს



კლავიშები, ჩვენს მძლოლს აქ რაიმე სახის თეატრის არსებობაზე თავის დღეში არაფერი გაეგო. განცხადებაში მითითებული მისამართი თან გვექონდა და მძლოლმა გაიხსენა, რომ ამ და მეზობელ, უფრო ფართო, ქუჩას შორის გასასვლელია, ასე რომ, შესაძლოა, სწორედ იქ უნდა მოგვეძებნა თეატრის შესასვლელი იყო.

და მართლაც, ის, რასაც ვეძებდით, სადღაც აქ იყო — ამას ამგვიცებდა ორი პლაკატი კედელზე, წარმოდგენის შესახებ რომ იუწყებოდა. პლაკატები ყურადღებით შევისწავლეთ; პირველი შეიცავდა ნაწყვეტს მუსეის პოემის დრამატიზებული ტექსტიდან:

„ლეანდრი: უკვე სამი დღეა, მკვდარი ვარ.

შენ? ჰერო: როცა თავიდან რაღაც ამოგვივარდება, როცა რაღაცა გვავიწყდება, ისე დაძაბულები ვიხსენებთ იმ დავიწყებულს, რომ სიცარიელე, რომელიც ჩვენი მეხსიერების ხარჯზე გაფართოვდა, არღვევს რეალურ ზომებს და შეფარდებებს, ჩვენი გულმაგიწყობის საბურველს მიღმა იცვლება, იზრდება, მსხვილდება და, მაშინ, როცა ბოლოს და ბოლოს ვახერხებთ დავიწყებულისა და თავიდან ამოვარდნილის გახსენებას, იმედგაცრუებულები ვრწმუნდებით, რომ ის სულაც არ ღირებულა იმ წვალეზად, რაც მის გასახსენებლად დაგვჭირდა. ასევეა ჩვენს სულთან მიმართებითაც, რომლის შესახებაც მუდამ ვივიწყებთ.

ლეანდრი: გარდაცვალების შემდეგ მხოლოდ სულს ძალუძს გაზრდა, ფრჩხილებივით. მხოლოდ დიდხანს, გაცილებით დიდხანს, იქამდე, ვიდრე ჩვენი სიკვდილი გრძელდება. ოღონდ დაიმახსოვრე, შენი სიკვდილი შეიძლება გაახალგაზრდავდეს, შეუძლია, შენზე ბევრად ახალგაზრდა გახდეს.

შეუძლია, რამდენიმე ასწლეულით დაბრუნდეს უკან, წარსულში. ჩემს სიკვდილს კი შეუძლია, ჩემზე გაცილებით უფროსი გახდეს, შეუძლია, გაგრძელდეს ამ წუთიდან მომავალი საუკუნეების განმავლობაში...“

მეორე პლაკატი, რომელიც „ჰერო და ლეანდრის“ დადგმაზე იუწყებოდა, კიდევ უფრო უცნაური იყო:

ხელნაწერები და გამოცემები

მუსეი გრამატიკის პოეტური მოთხრობისა

ჰეროსა და ლეანდრზე

(ნაწარმოების თეატრალურ დას „იბიკის“ მიერ წარმოდგენის გამო)

Baroccianus 50 saec.x.

a cuius familia:

Vossianus gr.Q. 59ca. 1500

Estensis III A 17 saec. XV.

Estensis III C 12 pars antiqua (u. 250-343) saec. XIV.

Harlaianus 5659 saec.

XV ex.

Parisinus gr. 2600 saec. XVI in.

Neopolitanus II D 4 saec. XIV

e cuius familia:

Palaltinus Heidelbergensis gr. 43 saec. XIV.

Vaticanus gr. 915 saec.

XIII ex. uel potius saec. XIV in.

Maricanus gr. 522 saec. XV vaticanus gr. 915 apographon

Praepent tantum u. 1-245:

Parisinus gr.

2763 saec. XV ex.

Leidensis B.P.G. 74 C saec. XV.

Ambrosianus S sup. saec. XV ex.

Perisinus gr.

2833 saec. XV ex.

Laurentianus LXX 35 saec. XV.

Riccardianus gr. 53 saec. XV.

Estensis III C 12 pars recentior (u. 1-245) saec. XV.

Estensis III C 12 pars recentior (u.

1-245) saec.. XV.

Codices deteriores:

Pragensis Strahoviensis 30 saec. XV

Barocianus 64 saec. XVI.

Ambrosianus E 39 sup. saec. XVI.

Gothanus B 238 saec. XVII in.

Editiones:

editio princeps Aldina, Venetiis excusa ca.

1494.

editio florentia Joh. Lascardi auctore ca. 1494.

ასე მივაგენით თეატრალური დასის „იბიკის“ კვალს, მაგრამ გაცილებით ძნელი გამოდგა „საბავშვო თეატრის“ მოძებნა, სადაც დასი თამაშობდა. ჩავედით სარდაფის სართულზე, სადაც გაქსის მძლოლმა სამჯერ თქვა „ამინ“, სხვენიც მოვიარეთ, მაგრამ ამაოდ. მართალია, შენობაში იყო „მამაკაცთა“ გასასვლელი და მეორე შესასვლელი მსახურთათვის, ასევე, „ქალების“ კარიც, რომლითაც შესაძლოა, კიდევ უფრო ფართო და ნათელ ქუჩაზე გავედით, მაგრამ თეატრი ვერც აქ აღმოვაჩინეთ. ასეთ თეატრზე, უბრალოდ, არავის არაფერი სმენოდა.

იმჯერად ჩანაფიქრზე უარის თქმამ მოგვიწია, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ძმამ მაჩვენა გაბეთი, რომელშიც კვლავ გამოქვეყნებული იყო ცნობა ჰეროსა და ლეანდრის პოეტური მოთხრობის წარმოდგენის თაობაზე. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი. ამჯერად გაბეთი აქვეყნებდა ვინმე ლეანე მონგიორნო-ს რეცენზიას თეატრალურ დას „იბიკის“ სპექტაკლზე, რომელშიაც ავტორი განსაკუთრებულად გამოყოფდა ახალგაზრდა სრენე პლარ-ის მთავარი როლის შემსრულებლის თამაშს. ახლა უკვე გადავწყვიტეთ, ბელი გვეცადა რომის ცენტრში მდებარე თეატრალურ სალაროში, სადაც ყველა ადგილობრივი თეატრის ბილეთები იყიდებოდა, და იქვე შეგვეცყო რაიმე „საბავშვო თეატრზე“. გვიპასუხეს, რომ ასეთ სპექტაკლზე ბილეთები არ აქვთ. თუმცა სალაროს თანამშრომელი იმდენად თავაზიანი გამოდგა, რომ უკანა ოთახიდან გამოიხმო მოხუცი ბაგონი, რომლის წარბები ზომით უღვაშს აღემატებოდა, რის გამოც ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ცხვირი სახეზე „ფეხებით გემოთ“ ეზრდება, და ბაგონმა რაღაც-რაღაცები გაიხსენა, იქ, სადაც ჩვენ ვეძებდით, ოდესღაც მართლაც ყოფილა თეატრი, მაგრამ „საბავშვო“ იმას კი არ ერქვა, ასე, მგონი, სპექტაკლს ეწოდებოდა. ძალიან დიდი ხნის წინ მოხუცს იქ უყურებია პირანდელოს რომელიღაც ნაწარმოებისთვის, უფრო ზუსტად თუ ვიგყვით, ის უყურებდა პიანისგს, რომელიც წარმოდგენას მუსიკალურად აფორმებდა და დაკვრისას ხან ინსტრუმენტის უკან იმალებოდა, თითქოს კლავიშებზე დადებულ წიგნს კითხულობსო, ხან ადგილზე ხგოდა,

თითქოს კლავიატურამ დაწვავო, ანდა, საერთოდ, უკან გადავარდებოდა ხოლმე და ისეთ სახეს მიიღებდა, თითქოს ცდილობდა, ფეხით მოეძებნა პიანინოს ქვეშ შევარდნილი ფეხსაცმელი...

დროდადრო კი, ისე, რომ თავის მბრუნავ ტაბურეტს არ შორდებოდა, ერთ ადგილას ფეხის წვერებზე სიარულს იწყებდა, თან იდაყვებსა და მუხლებს მაღლა სწევდა...

როგორც კი მოხუცი ბატონისგან თავის დაღწევა მოვახერხეთ, მე და ჩემი ძმა ახალ მისამართზე წავეუდით და ვნახეთ, რომ იქ მართლაც იყო „ჯიბის“ თეატრი. შესვლის უფლება მოგვცეს, თუმცა ჩვენი დანახვა გაუკვირდათ. შევედით და გავშეშდით, ეს იყო ნამდვილი თეატრი — ხომალდი, რომლისგანაც მხოლოდ ჩონჩხიღა შემორჩენილიყო. ძრწოლა და შიშის ბარი. სულ ცოცხა, ოცი წელი მაინც მას თაგვები ხრავდნენ. ეს იყო ერთი რომაულ სხვენთაგანი. ძმამ იკითხა, რამდენი ხანია, რაც ეს თეატრი არსებობსო და პასუხის გაგონებაზე შეაკანკალა.

თეატრი მისი გოლი იყო.

დაფეთებულები გამოეცვივდით იქიდან, ძმამ დამშვიდება დამიწყო:

— იცი, ბევრი რამ, რაც ცხოვრებაში დაუჯერებელი, იღუმალი და ფანტასტიკური ჩანს, მაგყარა გარეგნობის მიღმა ყველაზე ჩვეულებრივ რაღაცებს მაღაფს.

— ეს ნიშნავს, — ვუთხარი მე, — რომ უნდა ვუფრთხილდეთ ჩვეულებრივ ნივთებსა და მოვლენებს, რადგან მათ უკან იმალება საშინელება, დასასრული და სიკვდილი.

ასეც იყო. რამდენიმე კვირის შემდეგ ეს ამბავი ჩვენს რომაელ მეგობრებს ვუამბეთ და მათ სიცილით დაგვიდასტურეს, რომ ასეთი რამ მართლაც ხდება ხოლმე. „საბავშვო თეატრზე“, მართალია, არაფერი სმენოდათ, მაგრამ, მათი აზრით, თეატრალურმა დასმა „იბიკმა“, მუსეის პოემის მიხედვით დადგმული სპექტაკლის პრემიერა რომ გამოაცხადა, ამით მარჯვედ ისარგებლა, რათა საკუთარი რეპუტაცია გაემყარებინა. აბა, ვინ მოღგება და დაიწყებს იმის შემოწმებას, მართლა თამაშობდნენ თუ არა ამ სპექტაკლს. განცხადებები და დაუდგმელ სპექტაკლებზე ფულის ხათრით დაწერილი კრიტიკოსთა რეცენზიები ამტკიცებენ, რომ თეატრი რომში ან პარიზში გამოდიოდა, ჰოდა, ასეთ დასკვნებს და მტკიცებულებებს როცა ფლობთ, უკვე აღარ ჭირს, სადაც ვნებავთ, იქ მიიღო ნამდვილი ანგაჟემენგი, მსოფლიოს ნებისმიერ დედაქალაქში და იქ უკვე ნამდვილად ითამაშო შენი „სიყვარული და სიკვდილი“.

მე და ჩემმა ძმამ გულიანად ვიცინეთ, ოღონდ ამ უცნაური ამბის გამო კი არა, უბრალოდ, იმიტომ, რომ რომში თავს ძალიან კარგად ვგრძნობდით და ჩემს ძმას რომ ვუყურებდი, როგორც პურს, ჩემთვის ბურგი ერთხელაც რომ არ მოუქცევია და სადამოობით კაფეში მის შესანიშნავ დაკვრას რომ ვუსმენდი, ვფიქრობდი, რომ კაცები დაწყევლილები არიან, რადგან ვნების და ბედნიერების მწვერვალზე ტკბილი ქალური ნაყოფი მათ ხელში მოულოდნელად გადაიქცევა ხოლმე ორ სილით სავსე გომრად.

### 3.

ვიდრე ჰეროს ამბის მოყოლას მოვრჩებოდე, მინდა, ცოცხა რამ ჩემს თავზე გიამბოთ. ჩემს სახელს ამ მოთხრობისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და მე თვითონაც აქ მხოლოდ მეორეხარისხოვანი ადგილი მიჭირავს.

იმ მხარეში, საიდანაც ვარ წარმოშობით, ასეთი ჩვეულებაა: როცა ამ ქვეყანას ბავშვი მოველინება, ყველი ამოჰყავთ და სიგრილეში ინახავენ, ხოლო როცა აღამიანი კვდება, ამ ყველს მისი სულის შესანდობრად ჭამენ. ასე რომ, ჩემი ყველი ჯერ კიდევ რომელიღაც სარდაფში ელის თავის დროს. ვიმედოვნებ, ის არ დასჭირდება ამ სგრიქონების მკითხველს. განსაკუთრებული მოთხოვნები არასოდეს მქონია; როგორც ამბობენ, არასოდეს მიცდია, იმაზე მეტი დამენახა, რისი დანახვაც ჩემს ორ თვალს შეუძლია. როცა ვჭამ, თვალებს, როგორც თეთრი იხვი, ისე ვხუჭავ. ვიცი, რომ სიყვარული გალიაში გამომწყვდეულ ჩიგს ჰგავს: თუ ყოველდღე არ კვებე, დაილუკება. ეს ამბავი კი, უფრო ზუსტად თუ ვიცავით, მისი დასასრული, სწორედ სიყვარულზე გვიყვება.

იმ წლებში, როცა ჯერ კიდევ არ დამეწყო ჩემ შიგნით სიჩუმის შექმნა, მთელ დღეებს იმაში ვატარებდი, რომ ვწონიდი, რომელი უფრო მძიმე იყო ჩემი ხელებიდან.

სევდიან ხელობას ვსწავლობდი, რომელიც დღემდე მაჭმევს პურს, მაგრამ იმავე დროს (და თან სიხარულით) ვსწავლობდი მუსიკას და, ამასთან, გამოჩენილი ჩეხი მანესტროს, ოგოკარ შეფჩიკის კვალდაკვალ კივიდან ვენაში, ვენიდან პრაღაში გადავსახლდებოდი ხოლმე. მის გვერდით ჩემთან ერთად პარიზის კონსერვატორიაში თავი მოიყარა ყველა ჯიშისა და შეფერილობის მოწაფეების მთელმა ხროვამ, ასე რომ, აუდიტორიაში, სადაც ის მეცადინეობებს ატარებდა, სამი კონტინენტის სუნი იდგა. კონსერვატორიაში

დღეგამოშვებით დავდიოდი ილიაში ამოჩრილი მოგრძო ყუთით, თითქოს ბავშვის დამარხვას ვაპირებდი. შევდიოდი პირველი სართულის მოგრძო ოთახში, რომელსაც ისეთი დაბალი ჭერი ჰქონდა, რომ კარის ზედა ნაწილისგან სულ დაფხაჭნილი იყო. კარადებში, კუთხეებში და კედლებზე ეწყო და ეკიდა ვიოლინოები ხეშებით, სიმებქვეშ რომ იყო გარტობილი: მოწითალო მბრწყინავი მეოთხედები, ეჭვი არ არის, არანაირი ფასეულობის მქონენი; ბოლიანი, თითქოს გოჭებიანო, მთელი ვიოლინოები და ნახევრების უსახური ნაგეხები, ყოველგვარ ბრწყინვალეობას მოკლებულნი, რომლებზეც ერთი შეხედვით ვერაფერს იტყვი. ყოველთვის, როცა კი ამ ოთახში შევსულვარ, მეჩვენებოდა, თითქოს მათ ადგილები გაცვალეს და სხვანაირები ჩანან, თუმცა ისიც შესაძლოა, რომ სრულიად სხვა ინსტრუმენტებით შეცვალეს. მთელი ეს სიმრავლე (განსაკუთრებით, საღამო ჟამს, როცა ვლგავაში თევზი ანკესზე წამოგებას იწყებს) იმისთვის გამოიყენებოდა, რომ თავისთვის ეხმაურა და შეხშიანებოდა იაგაკის ფიცრებს, რომლებიც აჭრიჭინდებოდნენ, ზედ დაგებულ ფარდაგებს წამოწევდნენ და გაუთავებელ მოძრაობას იწყებდნენ.

ხეშები ინსტრუმენტების გვერდებს ეხახუნებოდნენ, ვიოლინოები — ერთმანეთს, სიმები ან მოშვებული იყო, ან წყდებოდა, კანიფოლწასმულ ხეშებს მოთეთრო მტვერი ასდიოდა, გალაქული დეკები იბერებოდნენ და სკდებოდნენ, ხოლო ანაგეხები თავისით იწყებდნენ შემობრუნებას.

შემოდგომის ერთ საღამოს ამ ოთახში ოთხნი შევიკრიბეთ — რეპეტიცია უნდა გაგვევლო. ყველანი, რა თქმა უნდა, შევჩიკის მოწაფეები ვიყავით, რომელშიც პარტიკურა მოგვცა. ყუთიდან ვიოლონჩელო ამოვიღე, მეორე მოწაფემ ფაგოტი მოიგანა, მესამე შავკლავიშებიან და თეთრნახევარტონებიან როიალს მიუჯდა, უკანასკნელი კი ჩვენ შორის ყველაზე ცნობილი მოვიდა — მევიოლინე. აქამდე ახლოს არასოდეს მენახა, გაგონებით კი ხშირად მსმენოდა ჩემს თანამემამულეზე ბელგრადიდან მანასია ბუკურზე და მის ულამაზეს დაზე, ჰერონეიაზე, რომელიც პირით და მკერდით ერთდროულად იცინოდა. იმ დროს მოდამი იყო შავი ქარსის ბეჭდების გარება და გარდაცვლილისთვის ნიღბების წინასწარ შეკვეთა. მანასიაზე ამბობდნენ, რომ ისიც ამ მოდის თაყვანისმცემელია. კიდევ ამბობდნენ, რომ დღესასწაულებზე ის ბოშურად ეზიარება — ძმრითა და პირშუშხათი, მერე კი რამდენიმე თვით ქრება და ყურს არ უგდებს მაესგრო შევჩიკის გაფრთხილებებს, რომელიც უკან მიაღვენებს ხოლმე ჯუფის ჯვალაში გამოხვეულ დალუქულ წერილებს.

მის გამოცდებს ყოველთვის განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით ელოდნენ და კონსერვატორიის დარბაზში იმ დღეებში, ჩვეულებრივ, ხალხს ვერ იტყვდა, ხოლო მანასიას კომპანიაში საღამოს გაგარება, როცა ის დროსგარებას გადაჰყვებოდა ხოლმე, ნორმალური გართობის მთელ თვედ ღირდა. როცა შემოვიდა, მართლაც შევნიშნე მის თითზე ქარსიანი ბეჭედიც და ისიც, რომ მარცხენა ხელის ყველა თითის ფრჩხილი სხვადასხვა ფერის ლაქით ჰქონდა შეღებილი, ამიგომ, როცა უკრავდა, ჩანდა, რომელი თითი რას აკეთებდა.

ერთმანეთი გავიცანით და რეპეტიციების შემდეგ ლუდხანაში დავიწყეთ სიარული, სადაც ლუდის სმისას მანასია სხვისი კათხებიდან ქაფს სულის შებერვით ფანგავდა. ერთ საღამოს, როცა ლუდის ქაფით გათეთრებული წამწამებიდან მიყურებდა, მკითხა:

— დარწმუნებული ხარ, რომ ლუწი რიცხვებისა არ გეშინია?

— არ მეშინია, — ვუპასუხე გაოცებულმა, — მაინც რაგომ უნდა მეშინოდეს?

— მაგრამ ლუწი რიცხვები ხომ გარდაცვლილთა რიცხვებია. ყვავილის კენგი რაოდენობა მხოლოდ ცოცხლებისთვის მიაქვთ, წყვილები კი სასაფლაოების კუთვნილებაა. კენგი — დასაწყისში, ლუწი — დასასრულს...

ღიღების ნაცვლად ვერცხლის ჩაის კოვზები ეკერა, მოხერხილი სახელურებით და ორ-ორი ნახვრეგით — მისაკერებლად. როცა დასვენება და გართობა მოუნდებოდა, გრიგონომეგრის ამოცანების ამოსახსნელად ჯდებოდა ხოლმე.

— იცი რა, — მითხრა ერთ საღამოს, თან ლაქით დაფარულ ფრჩხილებს ბაკენბარდებზე იპრიალებდა, — გყვილად როდი ამბობენ: „აქ ორი წყვილი თვალია საჭიროო“.

ბევრი ვიფიქრე ამაზე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეს გამოთქმა რომელიმე ოთხთვალა ურჩხულს კი არ ეხება, არამედ ორ ადამიანს, რომელთა თვალებსაც რაღაც საერთო აქვს. როგორც ეს არის შესაძლებელი, მარცხენა თვალიდან მარჯვენას გავლით დაინახო, ასევე სავსებით შესაძლოა, შენი თვალებით დაინახო სხვისი თვალების გავლით. საჭიროა, იპოვო მხოლოდ ის საერთო, რაც მათ აკავშირებს. თვალის ყოველ წყვილს, ეს თვითონაც ასჯერ მაინც გინახავს, თავისი სიღრმე და ფერი აქვს. ეს სიღრმე უდიდესი სიზუსტით შეიძლება გამოთვალო გრიგონომეგრის საშუალებით. რაღაც-რაღაც გამოკვლევები ჩავატარე და ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ერთი სიღრმისა და ფერის თვალებს ერთგვარად საერთო მნიშვნელი აქვთ...

მუსიკაშიც მუსტად ასეა, — განაგრძობდა იგი, — ისეთი რამეები, რაც ისევეა დაშორებული ერთმანეთს, როგორც ორი წყვილი თვალი, მხედველობაში მაქვს ოთხი ინსტრუმენტი, საჭიროა, დააკავშირო, დაუსახო საერთო ამოცანა.

ყრუს დაკვრა არ შეუძლია ისევე, როგორც შეუძლებელია, მუნჯს ეკლესიაში გალობა ასწავლო.

არ შეიძლება, მოიგო კარგში, თუ მხოლოდ ჯვრებითა და გულებით თამაშობ. აუცილებელია, აგურები და ყვავებიც გქონდეს, საჭიროა ყველა, ოთხივე ფერის კარგი, საჭიროა ყველა, ოთხივე თვალის გახელა.

და ფუტლარიდან ჩემი ვიოლონჩელო რომ ამოიღო, დამსწრეთა გასაკვირად, ისე დაუკრა კვარტეტიდან ჩემი პარტია, ერთი შეცდომაც არ დაუშვია. მეხსიერებით. როცა რაკრაკთან მივიდა, სადაც მოუწია, მორიგეობით და სწრაფად შეხებოდა სიმებს ხან შუა, ხან საჩვენებელი თითებით, რომელთა ფრჩხილები ცისფერი და ყვითელი ლაქით ჰქონდა დაფარული, ჩვენ მათზე მწვანე ფერი დავინახეთ.

— თუ ვერ გაიგე, ერთი ძალიან მარტივი მაგალითით აგიხსნი, — დაკვრა რომ მოათავა, მანასიამ გაკვეთილი განაგრძო, — იცი, საბერძნეთში ერთი ნახევარკუნძულია, ისეთი ვიწრო, რომ კამეჩებს, სრულიად ჩვეულებრივ ღუბაში შებმულებს, შეუძლიათ, სიგანეზე ისე გადახნან, რომ ხმელეთს მოწყვიტონ. ეს წმინდა მთაა, აღმოსავლური ქრისტიანობის ცივილიზაციის ცენტრი. აგერ, უკვე ათასი წელია, დასახლებულია ბერ-მონაზვნებით, არის დამოუკიდებელი, აქვს საკუთარი სამღვარო საბერძნეთის სახელმწიფოსთან, საკუთარი საბაჟო მონა, ჰყავს საკუთარი მთავრობა სამი მინისტრ-მონაზვნითა და პროგნოზირებით — მთავრობის თავმჯდომარით. თითოეულს იმ ბეჭდის მეოთხედი აბარია, რომლითაც დაამოწმებენ საბუთს, წმინდა მთის გერიგორიაზე შესვლის ნებართვას რომ იძლევა.

ამბობენ, რომ ბეჭდის სამი ნაწილი მამრობითია, ხოლო ერთი — მდედრობითი. ბეჭედს ძალა მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ შედგება ოთხივე ნაწილისგან, თითოეული ამ ბერისგან რომ მიიღეს და წითელი ძაფით აკინძეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში ამგვიცებს ის ათონზე შესასვლელი ვიზის უგყუარობას... ასევეა შენს მუსიკაშიც. ის წელიწადის ოთხივე დროში უნდა გააგარო და ზაფხულობით სხვანაირად იჟღერებს, ვიდრე შემოდგომობით. თუ გინდა, ამის არსს ჩაწვდე, მოგიწვს კვარტეტის ყველა, ოთხივე პარტიის შესწავლა,



რომლებსაც ჩვენ ვუკრავთ. უნდა იცოდე ოთხივე ინსტრუმენტის გამოყენება, თუმცა როცა ერთად ვართ, მხოლოდ ერთზე ვუკრავ.

— განა მუსიკა ისეთივე რამ არ არის, როგორც მათემატიკა? — შევეკამათე მანასია ბუკურს.

თუ რაიმე შესაბამისობაშია რომელიმე ინსტრუმენტთან, ესე იგი, ის შესაბამისობაშია ყველასთან.

აქ შევნიშნე, რომ მისი ცხვირის წვერზე, თითქოს კანქვეშიდან, თავი გამოყო რაღაც მეთერთმეტე ფრჩხილის მაგვარმა და მან ეს ცხვირის ფრჩხილი ისე მომაბჯინა, როგორც საჩვენებელი თითი:

— აქ ყურადღება უნდა მიაქციო იმ რიცხვების წარმოშობასაც, რომლებითაც მათემატიკა ოპერირებს. ხოლო თუ საკითხს ამ პოზიციიდან განვიხილავთ, მაშინ მოგიწევს, გაითვალისწინო იმ ელემენტების წარმომავლობაც, რომლებიც მუსიკას შეადგენენ. მაგალითად, აილე ინსტრუმენტი, რომელზეც მე ვუკრავ. ვიოლინო. იცი, რისგან შედგება ის? და მან მთელი ლექცია წამიკითხა:

— უპირველეს ყოვლისა, ეს არის ხე. ვიოლინოს ტანი ნაძვისაგან კეთდება, რომელსაც გაცილებით მეტხანს ინახავენ, ვიდრე ის ცოცხლობს, ვინც ხე მოჭრა. ტანის ძირი და ფერსო მთის ნეკერჩხლისგან მზადდება, ხემის თავს ალუბლის რბილი და ტკბილი ხისგან ჭრიან, ხოლო ებანობის ხის გრიფს ვიოლინოს ყელზე ამაგრებენ.

ყოველი ვიოლინოს შიგნით არის „სული“ — ჯოხი-განმბრჯენი, დამზადებული ნაძვის გოგისგან, რომელიც ბევრთა დეკას ქვევითაგან განაცალკევებს. განმბრჯენზეა დამოკიდებული ინსტრუმენტის ხმის დიაპაზონი. ასე რომ, ვიოლინოს სული მდებარეობითია. ხემს ქარზე გამრდილი ვარდის წნელისგან ამზადებენ და მერე წიწვოვანი ხეებით ფისით პოხავენ.

მაგრამ ვიოლინოს ზოგიერთი ნაწილი მცენარეული კი არა, ცხოველური წარმოშობისაა. ხემის ძუას ცხენის კულიდან იღებენ, ოდესღაც კი (ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ამქვეყნად ვიოლინო იარსებებდა) საუკეთესოდ მიიჩნევდნენ ქამანჩისთვის მარგორქის კულის ბეწვების გამოყენებას. ორ მსხვილ სიმს ცხოველების ერთმანეთში ჩაწნული ნაწლავებისგან აკეთებენ, ჯორა კი მზადდება ძელისგან, რომელსაც ერთობ უცნაურ ფორმას აძლევენ.

ძელისგანვე მზადდება ძუის სამაგრიც ხემის თავზე და, სხვათა შორის, ამბობენ, რომ ზოგჯერ (პაგანინისთან) ამისთვის ადამიანის ძვალს იყენებდნენ.

ირმის ძელისგან მზადდება ღილაკი, რომელიც დაჭიმული ძარღვით უერთდება ნახევარგრიფს. წებოც, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ინსტრუმენტის სხვადასხვა ნაწილს, ცხოველური წარმოშობისაა. მიიჩნევენ, რომ ამაგი ხმარობდა წებოს, რომელსაც საფუძვლად ედო მოხარშული ხორცი იქედნესი, რომელიც ჰაერში მშობიარობს და ამიგომ წებოს წონა თითქმის არა აქვს. ხემის ხუნდის ორივე მხარე სადაფით არის ინკრუსტირებული. სადაფი ყოველთვის ოდნავ გრილია ხეზე, ამიგომაც მისი დახმარებით თითებს უადვილდება, იგრძნოს ის ერთადერთი სწორი ადგილი, სადაც უნდა ჩაეჭილოს — არათითი ყოველთვის ამ სადაფის ხრახნზე უნდა დარჩეს.

და ბოლოს, ვიოლინოს ისეთი ნაწილებიც აქვს, რომლებიც წარმოშობას დედამიწის წიაღისეულს უნდა უმადლოდნენ. ორი წვრილი სიმი ლითონისგან კეთდება; კორა (უნაგირი), რომელზეც ისინია მიმაგრებული, ზოგჯერ ქვისაა, ხოლო ძუის დასახვევი, რითაც ხემის თავი ბოლოვდება, ვერცხლისგან მზადდება. ამ ყველაფერთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ცეცხლს, ძლიერს და რბილს, რომელზეც ხეს ხრიან და რომელზეც წებოს და ლაქს ამზადებენ.

ლაქი — ეს სრულიად ცალკე ამბავია. ის ყოველთვის სხვადასხვანაირია და ვიოლინოს ყველა ოსტაგი ინახავს ლაქის დამზადების სწრაფ და ნელ საიდუმლოს, რომელიც თავისი სულიერი მამისგან გადმოეცა. ვიოლინოს ლაქის ასეთი სწრაფი და ნელი საიდუმლოებები განაპირობებს ინსტრუმენტის წარმატებას, თუ ისინი მომავალს ეკუთვნის. თუ საიდუმლოებები წარსულიდან არის, მიიჩნევენ, რომ ლაქი ცუდია... საქმე ის არის, — თხრობა დაასრულა მანასიამ, — რომ ადამიანს ყოველთვის შეუძლია, სმენით გაარჩიოს, რომელი ხე ხმაურობს ღამით — ნაბვი თუ მთის ნეკერჩხალი. ინსტრუმენტი, მაშინაც კი, როცა შენს ხელში ედერს, არასოდეს კარგავს კავშირს თავის წარმოშობასთან, მასალასთან, რომლისგანაც დაამზადეს, იმ ხერხთან, რომელსაც ოსტაგი მისი დამზადებისას იყენებდა, თვითონ მუსიკა კი მხოლოდ ყოველივე ამის წყალობით არის გამართლებული. საქმე ის კი არ არის, რომ თითები ვიოლინომზე უკრავენ, არამედ ის, რომ მისი დახმარებით ეხებიან წყლის, ჰაერის, ცეცხლის ან მიწისქვეშა სამყაროს ძირითად ელემენტებს, მათ საიდუმლოებს, რომლებიც თითოეულ ინსტრუმენტში ერთმანეთს განსხვავებულად ერწყმის.

\* \* \*

ბევრმა დღემ და საათმა ჩაიარა მას შემდეგ, რაც ეს ამბავი მოვისმინე.

ამ დროის განმავლობაში, როგორც იცყვიან, ავიც ვნახე და კარგიც, ცეცხლშიც გავიარე, წყალშიც და სპილენძის საყვირებშიც, მაგრამ არასოდეს გამჩენია სურვილი, ჩვენი კვარტეტის დანარჩენი სამი პარტიაც შემესწავლა. მეჩვენებოდა, რომ ამბავი, რომელსაც მანასია მომიყვია, ძალიან რთული იყო და მისი ისევე არ მჯეროდა, როგორც არ მჯეროდა, რომ იმას, ვინც დიდი მარხვის მძიმე კვირაში არ დააცემინებს, ხანმოკლე ცხოვრება ექნება. ამასთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თვითონ ცრუმორწმუნე არა ხარ და არ გემინია, გზა შავმა კატამ რომ გადაგიჭრა, ზუსტად ვერასოდეს გაიგებ, ხომ არ იყო ცრუმორწმუნე თვითონ შავი კატა...

განვაგრძობდი კვარტეტში ვიოლონჩელოზე დაკვრას, ფეხს ვაყოლებდი ტაქტს, დარწმუნებული, რომ მათემატიკის ბაღეში მოვამწყვდიე მუსიკის კანონები და სულაც არ ვუღრმავებოდი წარმომობას რიცხვებისას, რომლებიც ნებისმიერი რიგმის, მაგალითად, სამი მეოთხედის, საფუძველში დევს. რასაკვირველია, ყოველივე შესანიშნავად დამთავრდა, მსმენელთა თანდასწრებით დაფუკარი გამოცდაზე ჩემი პარტია, თან ეს ისე მექანიკურად გავაკეთე, როგორც საათს ქოქავენ და თავსახურს აწკაპუნებენ, მერე კი სამუდამოდ დავმორდი მუსიკას, რადგან მარჯვენას კი არა, მარცხენა ხელს ვაყვევი.

მხოლოდ იშვიათად, დიდი სიცხეებისას, როცა ფეხსაცმელზე ღნება და მიწაზე წვეთავს გუგალინი, როცა ტანი ოფლით გაქლენთილ სამოსში მხოლოდ დილებს გრძნობს, მეჩვენებოდა, რომ მუსიკა ბრუნდება ჩემს ცხოვრებაში. ერთხელ მეც დავუბრუნდი მუსიკას, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ერთხელ.

1934 წელს ჩვენი მანესტრო შევჩიკი გარდაიცვალა და მოწაფეები მთელი წლის განმავლობაში ევროპაში მართავდნენ მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ კონცერტებს. მაშინ შუა გზაზე ვიყავი, არც უკან ჩანდა სინათლე, არც წინ; გათენებისა მეშინოდა და იმ რესტორნებს, რომლებშიც საუბრობენ, უპირატესობას ვანიჭებდი იმათთან შედარებით, რომლებშიც ვახშობენ. უძილობა მგანჯავდა.

წიგნებით ვიჭერდი ბუმებს — ფურცლებს შორის მოვჭყლეტიდი ხოლმე და მერე, წაკითხვისას, უამრავ ჩემსავე მსხვერპლს ვპოულობდი — გაბრწყელებულსა და გამოფიგულს. ამისდა

მიუხედავად, მანესტროს გარდაცვალების ცნობის მიღებისთანავე პრალაში გავემგზავრე, შევასრულე ასეთ შემთხვევებში მიღებული ყველა ფორმალობა და პირველსავე კონცერტზე დასასწრებად წავედი. უკრაინა შევჩიკის ერთ-ერთი მოსწავლე, რომლის სახელიც არ მახსოვდა.

სავიოლინო კონცერტი იყო. მევიოლინეს სწორი, მთლად შავი თმა ჰქონდა, ისეთივე, როგორიც ხემის ძუა. პირველი ნაწილი წყნარი იყო — ასეთ გემბზე ადამიანს შეუძლია, თვალი აღეწოს მაგიდიდან წიგნის ვარდნას და ცალკე იმასაც დაუკვირდეს, როგორ იკეცება მისი თითოეული ფურცელი. მეორე ნაწილი ფართო და მსუბუქი იყო, თითქოს მოგაგონებდათ, როგორ ერწყმიან წაბლის ფოთლები საუთარ ჩრდილებს. კალენციამ, აულაგმაგმა დაა ველურმა, თანმხლებთა გარეშე დარჩენილ მევიოლინეს საშუალება მისცა, ნიღაბი ჩამოეხსნა და მე გავიფიქრე: ასეთი კაცი ივლისში რომ აგირდეს, გირილის ხმას აგვისტომიც გაიგონებ-მეთქი და ბოლოს, თავბრუდამხვევი დასკვნითი ნაწილი, რომლის შესრულებაც მხოლოდ იმას შეეძლო, ვისაც სამ სხვადასხვა სიჩქარეზე სძინავს და ვისი სიმბრებიც ხან ვეებერთელა მამოძრავებელ ძალას ფლობენ, ხან ღიდ და მომწყველელ სისწრაფეს...

ვინც ჩემს წინაშე იდგა, ორფეოსიც კი არ იყო, მხეცებს, ქვებს, ნაკალულებს, ხეებს, ცეცხლს და ფისს, ნიჟარაში ქარის ქროლას და ცხოველთა ნაწლავებს რომ აიძულებდა, მისი მუსიკისტთვის ესმინათ. ის უფრო ძლიერი იყო — ყველა ესენი აიძულა, გამოხმაურებოდნენ, ალაპარაკებულებიყვნენ მის ინსტრუმენტში, როგორც საკურთხეველში, სადაც მუსიკას მსხვერპლად სწირავდნენ არა მარტო მათ, თავიანთი შიგნეულითა და ძვლებით, არამედ ქურუმის ხელსაც... და აქ მანასია ბუკური და მისი სიგყვები გამახსენდა.

მაგრამ, უნდა გამოგიცდეთ, თვით მანასია ბუკურს მისდღემში ვერ ვიცნობდი იმ შავი პარიკით, რომლითაც სცენაზე იდგა. მან კი იმ უამრავ ადამიანში, მის მოსასმენად რომ მოსულიყო, მაშინვე მიცნო. კონცერტის შემდეგ მისი თხოვნით მომძებნეს და მასთან მიმიყვანეს. სხვისი სახელით და სხვისი თმით გამოდიოდა, ის კი, რაც პარიკის ქვეშ აღმოვაჩინე, არაფრით ჰგავდა ახალგაზრდობის დროინდელ მის ლამაზ სახეს. ცალი თვალი სადღაც შუბლს ქვევიდან იყურებოდა, მეორეს, საერთოდ, წარმოდგენა არ ჰქონდა, სად იყო პირველი, მაგრამ მიუხედავად ამისა, თვალებს ისევე ახამხამებდა, როგორც აღრე: მარცხენას ორჯერ იმ დროში, სანამ ერთხელ დაახამხამებდა მარჯვენას.

— დიღხანს ღგომა აღარ შეგიძლია? მე კი წოლა აღარ შემიძლია, ჩემო კარგო, — მომიგო მან, — პირდაპირ საშინელებაა, ცხოვრებაში რამდენ ხანს ვიწექით! მთელი მარადისობა! მეგი აღარ შემიძლია, საკმარისია.

საერთოდ აღარ ვწვები...

ქუჩა გავიარეთ, იმ საღამოს ჩაღით რომ მოეფინათ, რათა მოძრაობით გამოწვეულ ხმაურს საკონცერტო დარბაზში მყოფთათვის მუსიკის მოსმენაში ხელი არ შეეშალა. დავსხედით, როგორც ახალგაზრდობაში, კაფეში და ლუდი შევუკვეით.

— მჭირდება, — მითხრა, როგორც კი დავსხედით, და შევამჩნიე, რომ ფრჩხილებზე ლაქი აღარ ესვა.

— შენ ხომ იცი, რომ მუსიკას თავი დავანებე.

— ვიცი. და ეს სწორედაც რომ ხელს მაძლევს. მუსგად ასეთი მჭირდები და არა ისეთი, უწინ რომ იყავი.

ამ სიგყებმა უბრალოდ კი არ გამაოცა, კიდევ შემაცბუნა. მას შემდეგ, რაც ჩემი პროფესიული მომსახურება შევთავაზებე, მიაბო, რა ტანჯავდა. მის მონაყოლს რომ ვუსმენდი, ის გავიგე, რაც გაცილებით აღრე და იმაზე უკეთ ვიცოდი, ვიდრე თვითონ. ამის მიუხედავად, მის სიგყებში იყო რაღაც მოულოდნელიც.

უკვე წლებია, იგი ერთი სულ ახლებური კვარტეტის პარტიტურას დაეძებს. ამ ახალ კვარტეტს და იმ ძალისხმევას, რაც მის დასაუფლებლად გაიღო, პირდაპირ ჭკუიდან გადაჰყავდა და მუსიკას აშორებდა. ლაპარაკი საერთოდ მუსიკას კი არა, კვარტეტის მოძიებას შეეხებოდა. მარცხენაფეხამოკეცილი ვუსმენდი მის აღსარებას, რომლისთვისაც შეიძლებოდა დაგერქმიათ მოძრაობა და-ძმაზე

„ხომ იცი, რომ და მყავდა, ჰერონეია. გახსოვს, რა ლამაზი იყო: ერთი თვალი — როგორც დღე, მეორე — როგორც ღამე და მან იცოდა, რომ ქვეყანაზე უფრო მეტია სილამაზე, ვიდრე სიყვარული. 1910 წელს დაიბადა და რამდენიმე კვირის შემდეგ, ერთ დღიას, იმ დღით, რომელიც არავის, მათ შორის, თვითონ მასაც არ დაუმახსოვრებია, ჰერომ მოკვდინება დაიწყო და შეუმჩნეველად კვდებოდა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში იმ საბედისწერო დღემდე, როცა კვდომა, ბოლოს და ბოლოს დამთავრდა. ვინ იცის, იქნებ, მისი კვდომა გაცილებით აღრეც დაიწყო, ჯერ კიდევ მანამ, სანამ ჰერო დაიბადებოდა და მის

დაბადებამდე რამდენიმე ასწლეულს გრძელდებოდა, ვიდრე იმ დასასრულამდე არ მიიყვანა, რაზეც ახლა ვილაპარაკებთ.

რაც შემეხება მე, ერთხელ, იმ დღის საღამო ჟამს, რომელიც ყველასგან შეუმჩნეველი დარჩა და რომლის სხვა საღამოებისგან გამორჩევას თვითონაც ვერ შევძლებდი, სავსებით გაუცნობიერებლად დავიწყე შეყვარება. შეყვარება არა ქალის, დედის, ძმის ან დის — მაშინ ხომ დაბადებიდან სულ რამდენიმე წელი შემისრულდა. დავიწყე შეყვარება საერთოდ, სიყვარულისთვის მზადყოფნის სახით. მაგრამ ერთობ გაბედული სიყვარულით, იმ გემივით, მტკიცედ რომ იღებს კურსს გაშლილი ზღვისკენ, საიდანაც დასაბრუნებელი გზა არ არსებობს. და ამ ჩემს სიყვარულში, ანუ ამ ხომალდის ბორცზე, მას შემდეგ ამოლიოღნენ და ჩადიოღნენ ჩემი ბედის თანამგზავრები, რომლებიც დროის ამა თუ იმ მონაკვეთს ჩემთან ერთად აგარებდნენ, ჩემთან ერთად ხედებოდნენ გაღლების დარგვებს, მიქცევებს, მზესა და ქარებს. მათ შორის იყო ჩემი და ჰეროც, ოღონდ მას ამ ხომალდზე განსაკუთრებული ადგილი ეკავა. კაპიტანის ხილურაზე კი არა — არა, ყველაზე ლამაზ სავარძელში.

და ეს ლამაზი სავარძელი ჩემს ხომალდზე ყველაზე მეტად სწორედ მას შეეფერებოდა. გემბანზე მღვარ ყველა დანარჩენ სავარძელზე ლამაზი ის, შეიძლება, სწორედ მას შემდეგ გახდა, რაც ჰერონეიამ დაიკავა. ეს რომ მოხდა, ჰერო სულ თხუთმეტი წლისა იყო და სუფრაზე სასაღილოდ სხვებთან ერთად უკვე აღარ ჯდებოდა. და ამის შემდეგ თვითონ მეც აღარასოდეს მინახავს, რომ ესაღილა ან ევახშმა. ოჯახში ჩუმ-ჩუმად ლაპარაკობდნენ, რომ ის სულ სხვა რაღაცებს ჭამდა და არა იმას, რასაც სხვები. ეკლესიაში პირჯვარს სწრაფი მოძრაობით იწერდა, თითქოს ბუმს იჭერსო, და ამბობდნენ, რომ ასევე სწრაფად ჭამდა. ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი იყო წვრილი ფეხებით და ბებერი, ბებერზე ბებერი სულით.

სულით, რომელიც იძულებული იყო, შეჰკუებოდა მის სხეულს, როგორც ახალ, მაგრამ უკვე ბრდასრულ ღმერთს, ჯერჯერობით თვითონაც რომ ვერ იგებს იმ ლოცვების ენას, რომლებითაც მას მიმართავენ. ღმერთს, რომელმაც ჯერ კიდევ უნდა ისწავლოს ლაპარაკი...

სულ მეჩვენებოდა, რომ ჩემ ირგვლივ მყოფი ქალები იყოფიან მზარეულებად, მოსამსახურეებად და მომვლელებად და ჯერ კიდევ ბავშვობაში მივხვდი, რომ ჩემი და ჰერონეია ამ უკანასკნელთა რიცხვშია. მან მთლად საგანჯველად უქცია უკანასკნელი წუთები ჩვენი შინაური ცხოველების დიდ ნაწილს, რომლებსაც ჰერო თავს აგებდა უამრო მოქმედებების ნაკადს. როცა ისინი ხელში ჩააკვდებოდნენ ხოლმე, გაწამებულები არა

მარტო უკურნებელი სენით, არამედ მისი პანიკური ცდებით, ეხსნა მათი სიცოცხლე, ჰერო უსიტყვოდ აქცევდა მათ ზურგს და მერე ამბობდა:

— თავი ოთხშაბათი მგონია. ყოველთვის ვიგვიანებ, ყოველთვის სამშაბათის მერე მოვდივარ...

ჰერონია ბელგრადში სწავლობდა და, როცა თევზის კანის შლაპით აქ, პრადაში ჩამოვიდა, რათა სწავლა გაეგრძელებინა, ბინა ქალაქის ძველი უბნის ერთ ვიწრო და ღრმა ქუჩაზე ვიქირავეთ. ბინას აქირავებდნენ სხვენთან ერთად, რომელზე ასასვლელადაც ოთახში ხის კიბე უნდა ჩამოგეშვა იმ მოწყობილობის დახმარებით, ლითონის ჯაჭვისა და ბორბლების სისტემისგან რომ შედგებოდა.

იმ დროს ახალგაზრდა კაცი ვიყავი, მომცრო და გამჭვირვალე, როგორც მთის ნაკადული. ენერგიას, მიღებულს მუსიკიდან, წინანდებურად ყოველდღე რომ მკვებავდა, უკვე აღარ ვხარჯავდი. ჩემს სულს ქონი ეღებოდა, აგროვებდა უსარგებლო სულიერ ცხიმს, როგორც სიმსუქნისკენ მიდრეკილი ადამიანი, რომელიც ვერ ასწრებს, გახარჯოს საკვებით მიღებული კალორიები. ჰერომ აივანზე დადგა ქოთანის ალოეთი, „რომელიც ეშმაკმა ალოკა“, რის გამოც მის ეკლიან ფოთლებს გრძივი თეთრი ბოლები შემორჩა. ეს მცენარე ბელგრადიდან ჩამოიგანა და თავის ოთახში ისე დადგა, რომ როცა თმას ივარცხნიდა, სარკეში მისი გამოსახულება დაენახა. ერთ დღით მან როგორღაც შენიშნა, რომ მის სარკეში თმას ივარცხნიდა და პირს იპარსავდა ახალგაზრდა პორუჩიკი, რომელიც ქუჩის გადაღმა მდგარ სახლში ამავე სართულზე ცხოვრობდა. მისი ფანჯარა ისე ახლოს იყო ჩვენს აივანთან, რომ პორუჩიკს შეეძლო, ჰეროს სარკეში საკუთარი თავი დაენახა; შინიდან გამოუსვლელად გაპარსულიყო ჰეროს სარკისა და საკუთარი ხმლის მეშვეობით.

საქმე ის არის, რომ პირს ერთობ მოხერხებულად იპარსავდა თავისი ოფიცრის ხმლით, ოქროს ფუნჯს კი, ვადაზე რომ ეკიდა, გასასაპნად იყენებდა. შეგვეძლო, ერთმანეთისთვის ანთებული ასანთის ღერი გადაგვეგდო და ის ისე მიფრინდებოდა, ჩაქრობას ვერ ასწრებდა. სადამოობით მე და პორუჩიკი ამ გზით ვაწვდიდით ერთმანეთს ცეცხლს ყალიონების გასაღვივებლად.

— ფრთხილად იყავით, არასოდეს მოუკიდოთ ასანთის ერთი ღერით მეორე სანთელს და მესამე ყალიონს! — მხიარულად გვეგყოდა ხოლმე ახალი ნაცნობი. პორუჩიკს, რომელსაც იან კობალა ერქვა, და ჩემს დას შორის რაღაც ისეთი დაიწყო, რასაც მე

ურთიერთდაყნოსვას დავარქმევდი. მაგრამ დრო ცალ ფეხზე არასოდეს დგას. საქმე წინ მიიწევდა. ყოველ საღამოს ის სწორედ იმ დროს ანთებდა სინათლეს, როცა ჰერო თავის ოთახში აქრობდა.

მე აივანზე ვიჯექი, ყალიონს ვეწეოდი, დროდადრო შლაპას ვიხდიდი და შიგ ვაბოლებდი და ვუყურებდი, როგორ იხდის ქუჩის მეორე მხარეს იან კობალა ჩექმებს. ერთს ერთ კუთხეში ისვრის, მეორეს — მეორეში, როგორ სვამს ბოთლიდან, რომელიც მხოლოდ კბილებით უჭირავს და ხმლით აჭრის ფეხს შემწვარ წიწილას, მაგიდაზე რომ უდევს, მერე საწოლში წვებოდა, ფეხს გამოხრავდა და ძვალს ისროდა პირდაპირ ჩექმაში, კუთხეში რომ იდო, მერე პერანგს იხდიდა და ამ დროს ნელა იღებოდა კარი და ოთახში იღვრებოდა მთვარის შუქი, რომელსაც შემოჰყვებოდა ჩემი და ჰერო. უძრავად, თვალდაუხამხამებლად მისჩერებოდა პორუჩიკს, თითქოს ვერ ხედავსო, საწოლთან მიდიოდა, დაიხრებოდა და კაცი მისი ბლუმის ღილების ენით გახსნას შეუდგებოდა. აქ ჰერო წამიერ მზერას ესროდა აივანს, სადაც მე ვეწეოდი, სანთლის ალს მიაფურთხებდა, თავისი ნაწნავით გამოლგავდა მთვარის შუქს, აუჩქარებლად შემოუვლიდა ლოგინს და შიგ ჩაწოლილ პორუჩიკს, მერე კი ნელა, როგორც მიწისკენ დაშვებული თოვლის ფანტელი, ისე ეშვებოდა თავის ნადავლზე...

ჩემი შლაპა და თმა მთლად თამბაქოს სუნით იყო გაჟღენთილი. მოგჯერ ვდგებოდი და კონსერვატორიაში სამეცადინოდ მივდიოდი, მოგჯერ ლუღსანებისკენ გავწევი, სადაც მაგიდები და სკამები ლუღით იყო გაწებილი, ან მივდიოდი იმის საყურებლად, როგორ მარხავენ ებრაელები წიგნებს, მაგრამ ჩემში რაღაც დულდა, ვგრძნობდი, რომ წვერი გაცილებით სწრაფად მებრღება ხელებზე, ვიდრე მათ გარშემო და მაშინ ვხდებოდი, რომ აუცილებელია, შევიცვალო და მე მართლაც დავიწყე ცვლილება და ამას აქამდე ვაკეთებ.

ერთხელ ჩემი და სადილის შემდეგ გამოჩნდა, თვალები გადამწიფებულ ხილს მიუგავდა, ხელები კი ისეთი ჰქონდა, თითქოს მუფთაში ჩარჩენიაო.

პორუჩიკი კობალა კარს აღარ აღებდა: ახლა ის თავისთან იღებდა რომელიღაც სხვა სიყვარულს. ჰერო არაფერს ამბობდა, მე კი, ჩვეულებისამებრ, ვიჯექი, ვეწეოდი და ველოდი. დგებოდა დრო, როცა ის თავის ოთახში სინათლეს აქრობდა, კაცი კი თავისას ანთებდა. აივნიდან ვუყურებდი, როგორ იძრობს ჩექმებს, ისვრის ქამარს, როგორ იჭრის ხმლით ქათმის ფეხს და ჭამს ლოგინში ჩაწოლილი და ბურგზე ჟრუანტელი მივლიდა, ხერხემლის გასწვრივ თმა ყალყზე მიდგებოდა, პერანგი შრიალს იწყებდა. თითით ისე ვაქრობდი



ყალიონს, რომ ღამწვარი ხორცის სუნი ღგებოღა. ჩუმაღ წამოვიწვეღი ღა ქუჩაში ჩავღიოღი, გაღაღჭრიღი ღა კობალას ბინაში ავღიოღი. ვაღებღი კარს, ოთახში მთვარის შუქი იღვრებოღა ღა ამ შუქის გავღით შვეღიოღი მე. ღავეყურებღი უღძრავაღ, თვალის ღაუხამხამებღაღ, ვუახლოვღებოღი, ვიხრებოღი ღა ის იწყებღა ჩემი შარვღის ღიღებღის ენით გახსნას. მაშინ მე მზერას ვაპარებღი ჩვენი აივნისკენ, საღაც ჰერო იჯღა, სანთღის აღს ვაფურთხებღი ღა კობალასთან ვწვებოღი.

იმიგომ, რომ ახღა ჰეროს ნაცვღაღ ის ყოვეღ საღამოს მე მეღოღა...

ერთ ღიღას ჰერო აღრე აღგა, თმა ისე ღაიხვია, რომ ვგრძნო, თითქოს ეზოში გაზაფხულია (თმას სხვაღასხვანაირაღ იკეთებღა ხოღმე ღა თუ ბაფთას ჩაიწნავეღა, მაფხუღის შვეგრძნება ჰქონღა, ხოღო თუ თმას ისე ღაიწნავეღა, როგორც მათრახს, ეჩვენებოღა, რომ გაზაფხული იღგა). იმ ღიღით ნაწნავი თავემე ღაიხვია ღა შინიღან აღრე გავიღა. ამის მეგაღ აღარ მინახავს. შემაგყობინეს, რომ ჰერომ თავი მოიკღა. იმავე ღღეს, თორმეგ საათსა ღა ხუთ წუთმე, ღაიღუპა ღაბორაგორიაში მომხღარი აფეთქებღისას, რომეღიც თვითონვე მოაწყო. ასე რომ, აღარასოღეს მომეცემა შესაღღებღობა, ვკითხო, მაინც ვინ გახღა მისი ასეთი ზღვარგაღასული საქციეღის მიზემი — იანი თუ მე. მისი კუბოში ნახვაც კი არ მეღირსა.

მას შემღევ ჯიბით ღამაქვს საათი ისრებით, რომღებიც მისი ღაღუპვის ღრომე გაიყინენ.

ისინი მუღამ თორმეგ საათსა ღა ხუთ წუთს უჩვენებენ ღა ყოვეღღღე ღგება წუთი, როცა მათი საშინეღი ღრო რეაღურს შეესაგყვისება. ხოღო საშინეღი კითხვა, ვისმა ორგუღობამ — პორუჩიკისამ თუ ჩემმა — უბიღგა მას სიკვღიღისკენ, ჩემთვის სიკვღიღ-სიცოცხღის საკითხაღ იქცა.

რა თქმა უნღა, მეშინვე შეწყღა ჩემი ურთიერთობა იან კობალასთან. ის უკვაღოღ გაქრა, მე კი მას შემღევ საკუთარ ჩრღიღმე ბორბიკით ღავეხეგები. შევიცვაღღე სახეღი ღა თმა, ღავეიწყე ბოშების ქორწიღებმე ღაკვრა, ვეზიარები ხოღმე — როგორც ოღესღაც — ძმრითა ღა პირშუშხათი ღა ერთაღერთი, რაშიც სიმშვიღეს ვპოუღობ — გრიგონომეგრის ამოცანებია. თავში გამუღმებით მიგრიაღებს ანღამა ორ წყვიღ თვაღმე ღა ვცღიღობ, ხეღახღა გავაცნობიერო. ჰეროს მზრწყინავი თვაღების სიღრმე უთვაღაღჯურ გამომიანგარიშებია ღა ეს ჯაღოსნური ციფრი ღღისითაც მახსოვს ღა ღამითაც. ვცღიღობ, ამოვიცნო ყვეღას თვაღის ფსკერის სიღრმე, თან ვფიქრობ, შეიღღება მოხღეს სასწაული ღა გამორღნღეს ვინმე ისეთივე ფერისა ღა სიღრმის თვაღებით, როგორიც მას ჰქონღა, მაშინ,

შეიძლება, იმედი ვიქონიოთ, რომ გავიგებ პასუხს კითხვაზე, რომელზეც და ვედარასოდეს მიპასუხებს.

და აი, კიდეც რა. მივხვდი, რომ მუსტად ისევე, როგორც არსებობს მამრობითი და მდედრობითი ინსტრუმენტები, — ხოლო კარგ კვარტეტად მხოლოდ ის იქცევა, რომელშიც ერთიც არის და მეორეც, — ყოველ სახეზე არის ერთი ქალის და ერთიც მამაკაცის თვალი. ჩაიხედე სარკეში და უწვალებლად აღმოაჩენ, რომელია შენი ორი თვალიდან მამაკაცისა და რომელი ქალისა. ჰეროს მარცხენა თვალი მამაკაცისა ჰქონდა და სწორედ ის გაუძღვა სიკვდილში. მარჯვენა, ქალის თვალი, ცდილობდა მისი სიცოცხლე ეხსნა. და ამისი დავიწყება არ ეგების... მაგრამ საქმეზე გადავიდეთ!

კრაკოვში კონცერტების გამართვისას ერთ ბაგონს გადავეყარე — ლოქტორ ალფრედ ვეუბიციკის.

ოღესლაც, დიდი ხნის წინ, მეც და ჰეროც, ჯერ კიდეც ბავშვები, კარგად ვახსოვდით. მან შინ მიმიპატივა, რათა იქ დამეკრა. საშუალება მქონდა, ერთგვარი დაკვირვება მომეხდინა და დავასკვენი, რომ ამ კაცთან უხიზლად უნდა იყო. ლოქტორს ისეთივე ფერისა და სიღრმის თვალები ჰქონდა, როგორიც ჩემს განსვენებულ დას. ერთ თვალში — ღღე, მეორეში — ღამე. შესაძლო ჩანდა, მისგან დავლოდებოდი პასუხს კითხვაზე, რომელიც ჰერომ დამიგოვა, და იან კობალასთან ჩემი ურთიერთობის შეფასებას. დიდხანს ვაკვირდებოდი ვეუბიციკის — მშვენიერ, გულითად აღამიანს, უტყვევ, როგორც წიგნს და ყურებაზე ყველა ღილშეკრულს, მაგრამ მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა: ერთი ხელის ფრჩხილები მეორე ხელის ფრჩხილებზევე ამოედო და თავაზიანად დუმდა.

ახლა ისევ პოლონეთში მივდივარ, სადაც, შეპირებისამებრ, კონცერტი უნდა გავმართო ლოქტორის ნათესავი ქალის მამულში. თუ შევძლებ, ვისარგებლო ამით და ვეუბიციკისთან რაიმე გავარკვიო, მაშინ აუცილებლად დამჭირდება შენი დახმარება, ამიგომ გთხოვ, შენც ჩემთან ერთად წამოხვიდე მოგზაურობაში, რომელიც, სხვათა შორის, — მე რომ არა, — შეიძლება, სასიამოვნოც კი გამოდგეს.

\* \* \*

ამ სიგვევებით დაამთავრა მანასია ბუკურმა თავისი ამბავი. იმ სამსახურისთვის, რასაც ჩემგან, როგორც პროფესიონალისგან გამოელოდა, მაშინვე გადამიხადა, თუმცა პოლონეთში მხოლოდ 1937 წელს გავემგზავრეთ. ჩემი მეგობარი თითქმის კარგ გუნებაზე

იყო. რაღაც უცნაური წინათგრძნობა დაუფლებოდა: როგორც სტუდენტობის დღეებში, ჩემი შლაპა თავისი შლაპის ბევიდან ეხურა და ვარშავაში დოქტორი ალფრედ ვეებიცკი გამაცნო. ვისხელით მისი კაბინეტის მისაღებში, პოლონურ არაყს ვსვამდით და დოქტორი ყალიონს აბოლებდა ისე, რომ ეჭვიც არ ჰქონდა ჩვენი ვიზიტის ნამდვილ მიზანზე. ისე კი, ვის შეეძლო წარმოედგინა, რომ გიჟური იმედი გვქონდა, მისი დახმარებით, უფრო სწორად, ვიდაცის თვალების დახმარებით, ჰეროს თვალების მსგავსი რომ იყო, ოთხივე თვალი აგვეხილა ჩემი მეგობრის მანასია ბუკურისთვის? ცხადია, შეიძლებოდა ყოველივე ეს მისი უცნაური ფანტაზიისთვის მიგვეწერა, ხოლო ჩვენი მოგზაურობის და პოლონეთში ყოფნის ჭეშმარიტი მიზანი, როგორც ვფიქრობდით და ვიმედოვნებდით, მაინც დოქტორის ნათესავი ქალის მამულში გასამართავი კონცერტი იყო.

ეს კია, ამ განზრახვას ერთი დეგალი ელობებოდა. და ეს დეგალი ვიყავი მე. თუ მოგზაურობის მიზანი კონცერტი იყო, მაშინ მანასიას მე რაღა ეშმაკად ვუნდოდი?

ჩვენი მასპინძელი ისე ცოგას ლაპარაკობდა, რომ ბაგეები ერთმანეთზე ეწებებოდა და საკმარისი იყო, სიგყვა დასცდენოდა, ისე სკდებოდა, როგორც მოწეული ყაყაჩო. მისი ავტომობილით მივდიოდით, ფანჯრებს იქით ბინდი წვეებოდა, მე კი დაძინებას ვცდილობდი. როცა მანქანა გაჩერდა და გადმოვედით, ვეებიცკიმ გვითხრა, მინდა რაღაც გაჩვენოთო.

უკვე ბინდებოდა, მაგრამ ის, რისკენაც ვეებიცკის ყალიონის ვერცხლისფერი ბოლი მიგვითითებდა, გარკვევით დავინახეთ. ჩვენ წინ იყო საზღვარი, რომელიც ორ სხვადასხვა კლიმატს ყოფდა.

მინდორზე გამავალი სწორი ხაზი, რომელიც ჰორიზონტს იქით იკარგებოდა, წარმოადგენდა საზღვარს თოვლსა და მშრალ მიწას შორის, ბალახს რომ დაეფარა. ცოგა ხანს შეეყრდით ამ სიმშრალესა და სითბოში, მერე კი ქარბუქში შევაბიჯეთ. და მაშინვე დავინახეთ ციხესიმაგრე. ჭიშკრის ორივე მხარეს თითო ფანარი ენთო და მიწისკენ მოფარფაგე თოვლი განათებული მხრიდან თეთრი, გაუნათებლიდან კი შავი ფერისა იყო.

რამდენიმე ხანში სასტუმრო ოთახში აღმოვჩნდით, რომელსაც ადამიანის ხელის ფორმის კარის სახელურები ჰქონდა. როიალთან მივედი, რომელმაც მანასია ბუკურმა თავისი ვიოლინო დადო, და მის თავსახურაზე წიგნები დავინახე. ამ დროს დიასახლისიც გამოჩნდა, რომელმაც ჯერ კარის სახელურს ჩამოართვა ხელი, მერე ჩვენ.

კაბა წინდებზე შეხებისას შარიშურობდა და ამ ხმამ ამაღელვა. თმა უკან სწორად გადაეწარცხნა და ისე გადაეჭიმა, რომ ყურები და ყელი სახის ნაწილები გეგონებოდათ.

იმ სადამოს მან მასწავლა, რომ მამთარში თეფშები, ვიდრე ბედ საჭმელს დააწყობდე, უნდა დაამარილო, რადგან ორგზის დამარილებული კერძი ორჯერ უფრო ძლიერად გათბობს.

ჩვენ უკან ორფა კარი გაიღო და მეზობელ დარბაზში ოთხ კაცზე გაშლილი სუფრა დავინახეთ. ორი სამ-სამ-სანთლიანი შანდალი გაცილებით მეტ სინათლეს გამოსცემდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო და შევნიშნე, რომ ფანჯრების გარეთა დარბაზები გაეხსნათ, რისი წყალობითაც შუქის ეფექტი ორმაგდებოდა — იქ, ფანჯრის იქით, თოვლიან ღამეში მინები აირეკლავდნენ თორმეტ ცეცხლს. ჩვენი სკამების საშურგეები ამ სინათლეზე ისე მქრქალად ლაპლაპებდა, თითქოს გაუსანთლავით.

დიასახლისმა, თეფშზე პირველი ნაჭერი რომ გადაიღო, ღმერთმა შეგარგოთო, გვისურვა და მზერა ღოქტორ ვეჰბიცკისკენ გაექცა, სხვათა შორის, მომეჩვენა, რომ კაცმა მალულად ანიშნა, გაჩუმებულიყო.

— უჰ, ჩემო საყვარელო ანგელოზო, ნუთუ სამუდამოდ მიმაგოვე? — მოულოდნელად ფრანგულად მომმართა ქალმა.

გაოცებულმა შევხედე, რადგან ამ წუთამდე ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება ერთი ბეწოთიც არ გასცილებია იმ ორი ადამიანის წმინდა ფორმალური ურთიერთობის საზღვრებს, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ. ღოქტორმა ვეჰბიცკიმ თავის კოვზს დახედა და კიდე უფრო დაუჯერებელი ფრაზით მიმართა მანასია ბუკურს:

— გელოდით, რადგან დარწმუნებული ვიყავი, დიდხანს არ დაუწყებდით ბრძოლას რაღაც ცრურწმენებს, ხოლო სინდისის ქენჯნას — მით უფრო ნაკლებად!

ამ წუთში მომეჩვენა, რომ ღოქტორ ვეჰბიცკის თვალები მართლაც ჰგავდა ჰეროს თვალებს: ერთში დღე იყო, მეორეში — ღამე. აშკარა იყო, მასპინძლებმა გადაწყვიტეს, გადაეხვიათ საყოველთაოდ მიღებული ნორმებიდან და აქ, ჩვენთვის უცხო გარემოში, მოეხსნათ ნიღბები და გადმოეშალათ კარგები, რომელთა შესახებ ეჭვითაც არაფერი ვიცოდით. მანასია იჯდა, თითებს იმგვრევადა, სახე გაუფითრდა და ხემის კანიფოლის ფერი დაედო. მე მომავლის განჭვრეტის მწირმა უნარმა მიხსნა.

თვალი კოვზს შევაფლე. ვერცხლისა იყო და გადავწყვიტე, რომ მისი გამოყენების ღროდ დავდგა. წვნიანს ვჭამდით, რომელიც თიხის ჭურჭელში მოეხარშათ, ცამბურინის ფორმა რომ

ჰქონდა, რისი წყალობითაც შეიძლებოდა ცეცხლზე გამუღმებით გექანავებინა, რათა ნალექს ბულიონი არ აემღვრია და არასიმეგრიული ჭურჭლის ძირში დაგროვილიყო. მერე ცხელი და თითქმის მშრალი სოუსი შემოიგანეს, მომწარო, ირმის რქის მარილით შებავებული. წამით თავი გესლიან და ფეთქებად ადამიანებად ვიგრძენით, ლოქტორ ვეჭბიცკის თვალებში კი ნაპერწკალმა გაკვესა. ნათლად დავინახე, რომ მისი მარჯვენა თვალი ქალისა იყო, მარცხენა კი კაცისა. უკვე ჩანგლებზე გადავედით, როცა ის მანასიას პირდაპირ სახეში მიაშგერდა და, თითქოს შეწყვეტილი საუბარი განაგრძო, ისევ ფრანგულად წარმოთქვა:

— ვფიქრობ, ჩემო სიყვარულო, რომ ეს მდაბალი, ცუდი საქციელი იყო! — და ამ დროს გუჩები ისე გაუსკდა, როგორც შემწვარი წაბლი.

ჩანგალს ხელი დავავლე, მაგრად მოვმუჭე და მივხვდი, რომ საქმე გაკეთებულია.

პასუხი იმ შეკითხვაზე, რომელიც ჩემმა მეგობარმა მანასია ბუკურმა თავის დას, ჰეროს დაუსვა, აქ, ლოქტორ ვეჭბიცკისა და მისი ახლობელი ქალის სუფრასთან, გაისმა. ისე ჩანდა, თითქოს ჰერომ, სხვა საშუალებების უქონლობის გამო, ლოქტორ ვეჭბიცკის სამეცყველო ორგანოები გამოიყენა.

ამ სიგყვების გაგონება იყო და მანასია გიჟივით წამოხტა და გარეთ გაფარდა, თან გაიყოლა ჩვენი გაოცებული მზერა. წამის შემდეგ შემოგვესმა როგორ გაჯახუნდა გასასვლელი კარი. ერთ წუთს მინდოდა, დავდევენბოდი, შემეჩერებინა, რადგან ვიცოდი, რაც განიზრახა. მაგრამ რაღაცამ შემაჩერა. რა თქმა უნდა, არა კეთილმოსურნე მასპინძლებმა, რომლებიც მამშვიდებდნენ, მეუბნებოდნენ, რომ მანასია, როგორც კი ღამეულ ქარბუქში სიარული დადღის, უკან დაბრუნდებო.

არა, იმის რწმენამ შემაჩერა, მანასიას ხსნის გზა თუნდაც არსებობდეს, მის საპოვნელად საჭიროა ჩავწვდე ამ სასტუმროს საიღუმლოს, საიღუმლოს ამ ადამიანებისა, ასე უცნაურად რომ იქცევიან. ახსნა აქ უნდა მოიძებნოს, სადაც გადამწყვეტი ფრაზა გაისმა და სადაც საუბარმა პირველივე წუთებიდან ისეთი ხასიათი მიიღო, რომ საკუთარ ყურებს არ ვუჯერებდი. ამიგომ დავრჩი, მოუსვენრობას არ ვამქლავნებდი და შევეყურებდი მანასიას ვიოლინოს, რომელიც ისევ როიალზე იდო.

შემოიგანეს ქანგისფერი ღვინო, მასთან ერთად — პაგარა, ვერცხლისძაფშემოხვეული გრაფინით — სხვა, ფისისსუნიანი, რომელიც, როგორც ითქვა, ხუთი წლის წინ პირველისთვის ფერის მისაცემად გამოეყენებინათ.

— იცით, — მომმართა ლოქგორ ვეუბიციკმ, — ამბობენ, რომ თუ თევზი იმ მდინარეშია დაჭერილი, რომელიც სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მიედინება, ის ყველა დანარჩენზე გაცილებით გემრიელია. თევზში, რომელსაც ახლა ვჭამთ, ჩაკერებული იყო საცობმოხადილი ბოთლი წითელი ღვინისა, რომელიც, ვიდრე ცეცხლზე იღო, თანდათან აორთქლდა და თევზი მთლად გაჟღინთა...

ვეუბიციკი ამ ჯერზე პოლონურად ალაპარაკდა და მის სიგყვებში არაფერი იყო უჩვეულო, ოღონდ ეს კი შევნიშნე, რომ ისიც და მისი ახლობელი ქალიც ისევ რაღაც უცნაურად მიყურებდნენ, თან ხელში ნელა აგრილებდნენ ბოკალებს. და ამ დროს, თითქოს სიმზრად ვიყავი, იქნებ სადილის მეორე, ნელი ნაწილის შედარებით გაწონასწორებული სუნთქვის წყალობით გავაცნობიერე, რომ აგერ თითქმის მთელი საათია, სუფრას ვუზივარ და საერთოდ ვერ ვამჩნევ, რითი მიმასპინძლებიან.

აქ მორთმეულ კერძთაგან არც ერთი აღრე არ გამისინჯავს. ახლა თევზზე მელო ორაგული. ის ზურგიდან გაეფატრათ და გაეწმინდათ, უკულმა ამოებრუნებინათ და ვარდის გოგებით დანთებულ ცეცხლზე შეეწვათ. მერე ირმის ხორცი მოგვართვეს, რომელიც სავსემთვარეობისას მოკლეს და მთელი ღამე გყეში ყინვაში დაგოვეს, ცივ, შავ, ხორციან ნაჭრებზე ნაწლავები დაეხვიათ, ძვლებზე კი ცხენის ძუა, რათა უფრო მოხერხებულად აგველო ხელში და თითები ძალიან არ დაგვსვროდა. ირმის ხორცის ალუბლის სოუსს თითქოს ორმაგი არომატი ახლდა. სევა დაგვეუფლა და ვერცხლის ჩანგლებს ფრთხილად ვადებდით ხორცსა და ძვლებს, დანები კი ხორცის შიგნით ჩანგლის კბილებთან შეხვედრისას ოღნავ ეხებოდა მათ... ვიჯექი და ველოდი. ყოველივე, რაც მერე ხდებოდა, ძალიან ნელი და ხანგრძლივი მეჩვენებოდა, თუმცა სინამდვილეში სულ რამდენიმე წუთი გავიდა, ვიდრე საიდუმლოს ფარდა აეხდებოდა.

ამ გრაპემზე ერთმანეთში იყო არეული მცენარეები, მიწის წვენები, მღვის ნაყოფი, წიაღისეული, ვერცხლი, ცეცხლი და ხორცი. ერთ-ერთი ყველაზე საოცარი კერძი გამოდგა ცომი ხამანწკით, გამომცხვარი პირშუმხას ფესვებით დანთებულ ცეცხლზე.

აი, აქ მომეჩვენა, რომ ხამანწკები ალაპარაკდნენ თვალთ უხილავი ოსტაგის ხმით, რომელიც ჩვენს გამასპინძლებებზე ბრუნავდა, რომელიც მთელი ცხოვრება ერთადერთ მუღმივ სადილს აჯახირებს და, თუკი ოდესმე დაამთავრებს, მაშინ სიცოცხლის ბოლომდე ვეღარ შეძლებს სადილის დამზადებას, ეს შეუძლებელი იქნება... და მისი დანახვა მომინდა.

— ვინ არის მეოთხე ჩვენს ოთახში? — ვკითხე მასპინძლებს.

— როგორც იქნა! — შვებით წამოიძახა დოქტორ ვეებიცკიმ. და ნიშანი მისცა. ამის შემდეგ სანთლების შუქზე გამოჩნდა პაგარა კაცუნა პერანგით, ნაკეცები საყელოსთან რომ უგროვდებოდა, ვეებერთელა თეთრი ჩაჩით. ჩაჩის ქვეშ მოჩანდა ორი ჭალარა თვალი, შეგუებული ცეცხლსა და წყალს, ხელებზე, დიდრონი ჭორფლით რომ დაჰფარვოდა, ცისფერი ძარღვები ასოებს მიუგავდა. მან თავი დაგვიკრა ღიმილით, რომელიც უცბად შეწყდა ერთ-ერთ ნაოჭზე, სახეზე რომ მოუყვებოდა. ისე ჩანდა, თითქოს თავს გვიკრავდა მანასია ბუკურის მაგივრად, ვისი ვიოლინოც უხმოდ იდო როიალზე.

— ჩვენთვის არასოდეს მოგიყოლიათ, — თქვა დოქტორ ვეებიცკიმ, — როგორ ახერხებთ თქვენი სასწაულების დამზადებას.

— არანაირი საიდუმლო არ არსებობს, — უპასუხა კაცუნამ, — საჭმლის გაკეთების ოსტატობა თითების სიმარჯვეში იმალება.

თუ ოსტატობის შენარჩუნება გინდა, ყოველდღიურად არანაკლებ სამი საათი უნდა ივარჯიშო. როგორც მუსიკოსმა...

და მართლაც, იმ დღეს კაცუნას ხელში გამოიარა იმავე საგნებმა, რაც მანასიას ფუგლარში ინახებოდა. ვერცხლი და წიაღისეული, ცხოველების შიგნეული და ძვლები, ნიჟარები, მინერალები და ცხენის ძუა — ყოველივე ეს მის ხელშიც მღეროდა. ახლა, როცა ჩემში მუსიკა კარგა ხანია აღარ იყო, მან სხვა გზით აამოძრავა იგივე ნივთები, კიდევ ერთი შესაძლებლობა მომცა, მეგრძნო მუსიკასთან კავშირი. ეს სადილი კი არა, ნამდვილი ჰიმნი იყო, მიძღვნილი დედამიწის, მის მთებისა და ვაკეების, მდინარეებისა და მღვების, ქარის, ცეცხლის, მცენარეების, მხეცებსა და ადამიანის ხელის ოსტატობისადმი, რომელსაც ძალუძს, მოკლას და სიკვდილით კვებოს სიცოცხლე.

ყავასა და ნამცხვრებთან ერთად, ელვის უსწრაფესად რომ გაიშალა მაგიდაზე პაგარა ჩინურ სასტუმრო ოთახში, ლაქით, სადაფითა და სპილოს ძვლით რომ ბრწყინავდა, მოგვართვეს — თუმცა ფანჯრებს იქით მამთარი იდგა — სამამთრო, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ინახებოდა იმის წყალობით, რომ კირი წაუსვეს და ხორბლით სავსე ყუთში ჩადეს. მას ღვიის ბუჩქის სუნი ასდიოდა და უცბად, თითქოს მუსიკალური ინსტრუმენტის სუნი შემესუნთქოს, ვიგრძენი, რომ შემეძლო, დიდი ხნის დავიწყებული კვარტეტის მეორე

პარგიაც დამეკრა. ვიოლინოს პარგია, რომელსაც ჩემი მეგობარი მანასია ბუკური ასრულებდა, მაგრამ გვიანდა იყო.

ჩვენი კვარტეტის დანარჩენი ორი პარგია, ღმერთმა იცის, სად დარჩა, სამუდამოდ მიუწვდომელი, და აშკარა იყო, რომ წითელი ძაფი ვერასოდეს შეკრავს ოთხ ბეჭედს — სამ მამრობითსა და ერთ მდედრობითს — იმ მიზნით, რომ ჩემთვისაც დაემოწმებინა ვიზა წმინდა მთაბე. აი, ასე იყო ჩემი საქმე... რაც შეეხება ბუკურს, აქ ძველებურად არაფერი გახლდათ გარკვეული, მე კი სწორედ ამას ველოდი.

ჩემმა სიჯიუტემ მწვერვალს მიაღწია და გადაიქცა საშინელ დაღლილობად, ისეთად, თითქოს მთელი ცხოვრება ცაბე ღრუბლებს და პირში ძვლებს ვითვლიდი. უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე და კვლავ ჩავერთე საუბარში, რომელიც, როგორც კი ხელში ნაყინის კოვზები ავიღეთ, მაშინვე გამოცოცხლდა.

— გირჩევთ, ჩემს ოთახში მოხვიდეთ და დამე ჩემთან გააგაროთ, — მითხრა ისევ ფრანგულად დიასახლისმა, ვერცხლის კოვზს ხელში რომ ათამაშებდა.

გაოცებისგან გავშემდი. დოქტორი ვეპიციკი იჯდა, წვერში იცინოდა, მაშინ საკუთარი კოვზი ამოვაგრიალე და სწრაფად ვუპასუხე ფრანგულადვე:

— როგორ? წითელი პარასკევის დამდეგს?

მასპინძლებმა გადაიხარხარეს. ბოლოს და ბოლოს ჩემთვისაც ყველაფერი ნათელი შეიქნა. ვახშმობისას ისინი არც ფიქრობდნენ, დაგვლაპარაკებოდნენ, ეს თამაში იყო, მათთვის ნაცნობი და ჩვენთვის უცნობი, რომლის დროსაც უნდა გეკითხა წარწერები, ამოგვიფრული ვერცხლის ჭურჭლეულობაზე, რითაც სუფრა იყო გაწყობილი.

ახლა ეს უკვე, ბოლოს და ბოლოს, მეც გავაკეთე, თან გავიხსენე, საიდან გაჩნდა ჩვენს ვერცხლის დანა-ჩანგალზე ეს წარწერები.

ეს იყო ფრაგმენტები დიალოგებისა იან პოტოცკის წიგნიდან „სარაგოსაში ნაპოვნი ხელნაწერი“, სწორედ ამით გააღამაბა გრაფიორმა მდიდრული ვერცხლის ნივთების მთელი ასეული. პოტოცკისგან ნასესხებ ამ ფრაგმენტს შორის, ჩანგლებზე, კოვზებსა და ხელსაწმენდი ქაღალდების ჩასაწყობ ვერცხლის რგოლებზე რომ იყო ამოგვიფრული, ისიც გვხვდებოდა, რაც მე და მანასიამ მისი შეკითხვის ჯადოსნურ პასუხად მივიჩნიეთ. პასუხად, რომელსაც ასე ელოდა თავისი დისგან, ჰეროსგან.

— ვფიქრობ, ჩემო სიყვარულო, ეს მდაბალი, ცუდი საქციელი იყო!



\* \* \*

მაშინვე დავემშვიდობე მასპინძლებს, რადგან ვიცოდი, რომ ბუკური ახლა სადღაც კვდებოდა ამ სიგყვებით ბაგებზე და რომ მხოლოდ მე შეძებლო მისი გადარჩენა იმით, რომ გამემხილა სუფრის ვერცხლეულის საიდუმლო.

ვარშავაში ძალიან გვიან ჩავედი, საშინელი ავდარი იყო, მაგრამ კიდეც უფრო საშინელი ის გახლდათ, რომ ჩვენს სასტუმროში მისულმა აღმოვაჩინე: მანასიას სიცოცხლის გადასარჩენად უკვე აღარაფრის გაკეთება შეძებლო. ლოგინში იწვა, გულზე დაკრეფილ ხელებში სანთელი სანახევროდ ჩაწვოდა.

მოსამსახურემ გადმომცა მოკლე წერილი:

„საკუთარი ნებით ვკვდები, ბელნიერი იმით, რომ მივიღე პასუხი კითხვაზე, ჩემი ცხოვრების უმთავრეს კითხვად რომ იქცა. ახლა ვიცი, მან ეს ჩემ გამო ჩაიდინა და არა იან კობალას გამო.

„ჩემო სიყვარულო, — თქვა მან და ეს შენც გაიგონე, — ვფიქრობ, ეს მდაბალი, ცუდი საქციელი იყო!“ ჰერომ იანი ამოირჩია, რათა მე დავეგანჯე, ისევე, როგორც მე ამოვირჩიე ის, რომ ჰერო დამეგანჯა, და არა მისი ღირსების გამო. ჩემთვისაც და მისთვისაც კობალას ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც შარშანდელ თოვლს! ჰერო გარდაიცვალა იმ ფიქრით, რომ ურთიერთშეთანხმება მაინც შეიძლება!

პ. ს. მადლობას გიხდით იმისთვის, რომ შენს გასაკეთებელს გააკეთებ. ვკოცნი შენს ნაბთითებს“.

წერილი იაგაკბე დავაგდე, მელ მძიმე საგზაო ყუთი დავადგი, თოფრაკებითა და ინსტრუმენტებით, რაც აუცილებელი იყო ჩემი სევდიანი ხელობისთვის. ლოგინისკენ დავიხარე და მის სახეს შევეხე. მარცხენა თვალი (ის მამრობითი გახლდათ) დაბლა ჩამოეუწიე, თავის ადგილას, ნაოჭები გავასწორე მეორის, მდელრობითი თვალის, ირგვლივ, რომელიც სიცოცხლეში ორჯერ უფრო ხშირად ხამხამებდა, ვიდრე პირველი და ამიგომ უფრო ბებერი და დაღლილი იყო.

სახე დავეუშე და ის ისეთივე ლამაზი გახდა, როგორიც უწინ. მერე რუხი ნაზავი დავაფინე და ნიღაბი ავუდე...

არაფერი იღუმალებით მოცული, სამწუხაროდ, ქვეყნად არ არსებობს. ქვეყანა სავსეა არა საიდუმლოებით, არამედ წივილით ყურებში. მთელი ისტორია ზუსტად იმდენ ხანს გრძელდება, რამდენსაც შოლგის დარგემის ხმაური! ეს კია, ჩემი პროფესიის ადამიანებს უნარი ებოძათ, ცოგა მეტი იცოდნენ, ვიდრე სხვა მოკვლავებმა.

ვიდრე ნილბის გამრობას ველოდი, ვფიქრობდი ჰეროსა და ჩემს საბრალო მეგობარზე. უნდა გითხრათ, ჩემთვის რა ხანია, ცნობილი იყო, რომ ჰეროს თავი არ მოუკლავს, ის მოკლეს. იგი ეჭვიანობის ან იქნებ სხვა რაღაცის შემოგვევისას მოკლა იან კობალამ. ამის შემდეგ კი ამ ამბის ის ნაწილი მოდის, რომელსაც საგულდაგულოდ უმაღავენენ ჰეროს ძმას, რადგან ეს ამას ნამდვილად ვერ გადაიგანდა.

სამ დღეს ინახავდა კობალა თავის ოთახში ჰეროს მოჭრილ თავს და მერეღა განუცხადა ამის შესახებ სამხედრო ხელისუფლებას, რომელმაც საქმის მიჩუმათება მოახერხა.

გაგიჟებული პორუჩიკის მტკიცებით, ჰეროს თავმა მესამე დღეს, საღამოთი, საშინელი, ღრმა და თითქოს მამაკაცური ხმით დაიყვირა.

1.

მომავალს ერთი დიდი ღირსება აქვს: სინამდვილეში ის არასოდეს არ არის ისეთი, როგორადაც წარმოგიდგენია, — ეგყოდა ხოლმე მამა ლეანდრს.

იმ დროისთვის ლეანდრი ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ყმაწვილი იყო, ჯერ კიდევ არ იცოდა წერა-კითხვა, მაგრამ ლამაზი იყო. მაშინ ლეანდრსაც არავინ ეძახდა, ეს მერე, მოგვიანებით მოხდა, დედამ კი თმა ისე ჩაუწნა, როგორც ჰოლანდიურ მაქმანს წნავენ, რათა გზაში დავარცხნა არ დასჭირვებოდა. როცა აცილებდა, მამამ თქვა:

— ისეთი ლამაზი, გრძელი კისერი აქვს, როგორც გელს; ღმერთმა არა ქნას, ხმლით დაილუპოს.

და ლეანდრს ეს სიგყვები მთელი სიცოცხლე ახსოვდა. ჩიხორიჩების გვარში ყველანი, გარდა ლეანდრის მამისა, თაობიდან თაობამდე მშენებლები, მჭედლები და მეფუგკრეები იყვნენ. ჩიხორიჩები ღუნაიზე, ბელგრადთან, მას შემდეგ დამკვიდრდნენ, რაც ჰერცეგოვინიდან გადმოსახლდნენ, იმ მხარიდან, სადაც უფრო ადრე სწავლობენ ეკლესიაში გალობას, ვიდრე ანბანს, და საიდანაც წყლები ორ მღვაში ჩაედინება: სახურავის ერთი ფრთიდან წვიმა დასავლეთს — ნერეგვას და მერე აღრიაგიკას ერწყმის, მეორიდან კი აღმოსავლეთს — ღრინას გავლით სავასა და ღუნაიში და შავ მღვაში ხედება. მხოლოდ

ლენდრის მამა არ გაპყოლია თავისი ჯიშის გზას — იმის, რომ ეშენებინა, გაგონებაც არ უნდოდა.

— საკმარისია, ვენაში ან ბუდიშში აღმოვჩნდე, იქაურ სახლებს შორის, ახლა რომ წამოჭიმეს, თავი აღარ მახსოვს და მხოლოდ ღუნაის ნაპირზე, სადაც ქარიყლაპია ყველაზე სულები თებერვალშია, გამოსული ვხვდები, სად ვარ და ვინა ვარ.

ეს კია, ჩიხორიხებმა არაფერი იცოდნენ, სად აგარებდა ღროს და რას აკეთებდა მამა, რითი იკვებებოდა მათი ოჯახი — მხოლოდ იმას ეუბნებოდა, რომ ცხოვრობს წყლისა და სიკვდილის წყალობით, რადგან მხოლოდ სიკვდილის წყალობით ცხოვრობენ. და მართლაც, ლენდრის მამა შინ გვიან ბრუნდებოდა, მთლად გალუმპული, ხან ღუნაიდან, ხან სავადან, რისი მიხვედრაც ძნელი არ იყო — ყველა მდინარეს ხომ თავისებური სუნი აქვს.

და ყოველთვის, შუაღამით, ჯერ კიდევ სველი, თითქოს ითვლისო, ათჯერ აცემინებდა ცხვირს.

ლენდრი, რომელსაც ბავშვობაში რადანას და მილკოს ეძახდნენ, პაგარაობიდანვე სამშენებლო საქმეს სწავლობდა პაპა-ბიძებზე, ეუფლებოდა ოჯახურ ხელობას. კარგი ღურგალი და ქვისმთლელი იყო, განსაკუთრებით — მარმარილოსი, ეხმარებოდა ხაგების დაკრძალვისას. გარდა ამისა, ფუტკრის სკების ნახაგებით სწრაფად და იოლად შელამაზების ან ფუტკრების გუნდის დაჭერის თანდაყოლილი ნიჭიც ჰქონდა. იმ ღროს, როცა ჯერ ისევ ჰერცეგოვინაში ცხოვრობდნენ, სიცხეში, მაფხულის მარხვისას, თუ მოხდებოდა და მდინარეზე ჩასვლა დასჭირდებოდათ, მათგან ოცი თოფის გასროლაზე რომ გაწოლილიყო, ყოველთვის ლენდრს აგზავნიდნენ და მხოლოდ ის ახერხებდა, დაეჭირა თევზი, გამოეწეა, ჭინჭრით დაეგენა და შინ მანამდე მიეგანა, სანამ სუნს აიღებდა. მოგვიანებით, ერთ-ერთი მოგზაურობისას, ნახა და სამუდამოდ დაამახსოვრდა, ღესპოგ ჯურჯა ბრანკოვიჩის მოსახსენიებლად როგორ მოჰქონდათ ავალზე ღუნაის წყლით მოზეილი და სმედერევის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის გაძარში ნაკურთხი პური. მთელი გზა ღუნაიდან ავალამდე ეგაპებად ჰქონდათ განაწილებული მალემსროლ მხედრებს, რომლებიც პურს ხელიდან ხელში გადასცემდნენ და ადგილამდე ისე სწრაფად მიჰქონდათ, რომ ის ისევ თბილი მიაღწევდა ხოლმე ღესპოგთა სუფრამდე, სადაც ნაგეხებად დამგვრეულს დამსწრეებს უნაწილებდნენ იმ მარილთან ერთად, რომელიც ჟრნოვთან იყო მოპოვებული.

— ჩვენ ყველანი მშენებლები ვართ, — ეგყოლა ხოლმე ლეანდრს, ჩვეულებრივ, ვახშობისას პაპა ჩიხორიხი, — მაგრამ სამუშაოდ საუკეთესო მარმარილო გვეძლევა: საათები, ღლეები და წლები; ხოლო ძილი და ღვინო — ეს სამშენებლო ხსნარია. ყველანი დროის მშენებლები ვართ, აჩრდილებს მივღევთ და წყალს ცხრილით ვხაპავთ: თითოეული ჩვენგანი საათებით იშენებს სახლს, დროსგან კრავს საკუთარ სკას და აგროვებს თაფლს; დროს დავაგარებთ ბეწვეულით, რათა იმით ცეცხლი გავაღვივოთ.

როგორც საფულეშია არეული სპილენძის მონეტები და ოქროს ღუკაგები, როგორც მღელღემ ირევა ერთმანეთში თეთრი და შავი ცხვრები, ასევე გვაქვს ჩვენც მშენებლობისათვის ერთმანეთში არეული თეთრი და შავი მარმარილოს ნაგებები.

ცუდად არის იმისი საქმე, ვინც საფულეში სპილენძის ფულთან ოქროსას ვერ ხედავს, და იმისიც, ვინც ღამის იქით ღღეს ვერ ხედავს. ასეთს ავდარსა და გაჭირვებაში შენება მოუწევს...

ლეანდრი ამას რომ ისმენდა, ხვალინდელზე კი არა, ზეგინდელ ღღემე ფიქრობდა და გაცოცხლებული აღმოაჩენდა, რომ ვიდრე მამა ერთი კოვში ცერცვის შეჭმას მოასწრებდა, თვითონ სამს მიაქანებდა პირში. ოჯახში ყველას საჭმლის წინასწარ განსაზღვრული ულუგა ეკუთვნოდა და არავის არასოდეს დაურღვევია ეს წესი. ლეანდრიც იმდენს ჭამდა, რამდენსაც სხვები, ოღონდ, უბრალოდ, სამჯერ უფრო სწრაფად. ნელ-ნელა ისიც შეამჩნია, რომ ცხოველების ერთი ნაწილი უფრო სწრაფად ჭამს, მეორე კი უფრო ნელა, რომ სწრაფად ან ნელა მოძრაობენ. ასე დაიწყო გარჩევა ირგვლივ მყოფ სამყაროში ცხოვრების ორი სხვადასხვა რიგმისა, სისხლის თუ მცენარეთა წველების პულსაციისა, იმ არსებათა ორი სახესხვაობისა, რომლებიც ერთი და იმავე ღლეებისა და ღამეების ჩარჩოებში მოექციათ, ყველასათვის ერთნაირად რომ გრძელდება, მაგრამ ერთ ნაწილს ისინი არ ჰყოფნიან, სხვებს კი თავზე საყრელი აქვთ.

და ძალაუნებურად გრძნობდა შეუთავსებლობას ადამიანებთან, ცხოველებთან თუ მცენარეებთან, რომელთა პულსაცია სხვანაირი იყო. უსმენდა ჩიგებს და მათ შორის იმათ გამოყოფდა, რომელთაც მისი სიმღერის რიგმი ჰქონდათ. ერთ დღილას თავის რიგს ელოდა — როდის მორჩებოდა მამა ღოქიდან წყლის სმას და მის ყლუპებს რომ ითვლიდა, მიხვდა, დადგა დრო, დაგოვოს მამის სახლი. უცბად აღმოაჩინა, რომ მამამ მასაც და მის ძმებსაც უკვე იმდენი სიყვარული და ცოდნა მისცა, რომ მას, ლეანდრს, ცხოვრების ბოლომდე ეყოფა

საიმისოდ, რომ გათბეს და იკვებოს და რომ უკვე ვეღარ შეძლებს, კიდევ დააგრძელოს ეს სიყვარული, რადგან მან უკვე მოიცვა (და ეს ახლავს აშკარაა) ის დროც, როცა თვითონ ლეანდრი (საგანი და მომხმარებელი ამ სიყვარულისა) ცოცხალთა შორის აღარ იქნება — ამგვარად, მამის სიყვარული ქარსგაგანებული აღმოჩნდება და უაზროდ გადაკეტავს მანძილს, რომელიც მას შეხების წერტილს დააშორებს.

აი, როგორ მოხდა ლეანდრის გამგზავრება. ციმბალებს დაკვრა იცოდა და მსმენელები, რომლებიც დღესასწაულებზე მისი დაკვრით სიამოვნებას იღებდნენ, ინსტრუმენტში სპილენძის ფულს უყრიდნენ. იმ დროს სავის ნავსადგურთან ოთხი მოხუცი მზიდავი ცხოვრობდა, ისინიც ვაჭრობდნენ და ციმბალებს დაკვრითაც იყვნენ ცნობილი. ერთხელ ერთ-ერთი მათგანი გზაში ავად გახდა და კვარტეტი მეოთხე ინსტრუმენტის გარეშე დარჩა.

, რომლითაც იწყება სიგება „თეოგოკოსი“ („ღვთისმშობელი“), კარზე სტუმარმა მოაკაკუნა. ლეანდრმა ვერ მოასწრო პირველად სიცოცხლეში ხელში კალმის აღება, რომ სახლში მზიდავიდან უხუცესი შემოვიდა, კელიდან ციმბალი ჩამოხსნა და ხელში აწონ-დაწონა, სიმძიმე შეამოწმა. როგორც ჩანს, ინსტრუმენტის წონა, მონეტებით რომ იყო სავსე, კარგი რეკომენდაცია გამოდგა და მზიდავი ლეანდრის მამა დაიყოლია, მეოთხე მუსიკოსის ნაცვლად იმდენი ხნით ეთხოვებინა შვილი, რამდენიც კონსტანტინოპოლში მოგზაურობას დასჭირდებოდა. თვითონ ლეანდრი დაუფიქრებლად დათანხმდა და, ამდენად, მისი წერა-კითხვაში განსწავლა ისე დამთავრდა, დაწყებაც ვერ მოასწრო — პირველ ასობზე. ამასობაში მოხუცი მზიდავი, ლეანდრის მამასთან რომ მოვიდა, თვითონაც ავად გახდა, ასე რომ, კვარტეტის შესანარჩუნებლად გზად ლეანდრის ამხანაგის აყვანამ მოუწიათ, ბიჭისა ჰერცეგოვინის საზღვრიდან, სახელად დიომიდე სუბოგა რომ ერქვა. სწორედ იმ დღეს, როცა მამა ჩიხორიჩმა გადაწყვიტა, შვილისთვის წერა ესწავლებინა და აჩვენა პირველი ბერძნული ასო —

მზიდავები დაადგნენ კონსტანტინოპოლის ძველ გზას, ბელგრადიდან სალონიკის გავლით რომ მიემართებოდა მეფის ქალაქამდე. ნახეს ჰელესპონტი, გაიარეს სესტი და აბილოსი და ორი წლის შემდეგ უკან, შინ დაბრუნდნენ, ოღონდ გზად ორი მოხუცი მზიდავიდან კიდევ ერთი დაკარგეს, რომელიც ძალიან უცნაურად დაიღუპა. მან აქლემს მიწაზე დაწოლა უბრძანა, რათა ამოჭვარებოდა და მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა, მაგრამ, ვიდრე შარდავდა, აქლემი გვერდზე გადაბრუნდა და მოხუცი გაჭყლიტა.

მომღევენო წლისთვის, კონსტანტინოპოლში ახალი მოგზაურობის წინ, მუსიკოსებმა მისი შემცველი მოძებნეს, მაგრამ ქარავენის გასვლის დღეს მეოთხე მზიდავი, მოხუცთაგან უკანასკნელი, არ გამოჩნდა. ახალგაზრდებმა, როცა მიხვდნენ, რომ მათ შორის მოხუცებულებიდან აღარავინ ღარჩა, ერთმანეთს გადახედეს, ყოველგვარი მოლაპარაკების გარეშე გადაყარეს ინსტრუმენტები და გზას დაადგნენ უკვე არა როგორც მუსიკოსები, არამედ როგორც ვაჭრები.

სახიფათო მოგზაურობამაც, ხელსაყრელმა ვაჭრობამაც ორ სხვადასხვა სამყაროს — აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ევროპასა და აზიას — შორის იმ დროს, როცა თურქების ვეებერთელა მასა ვენისაკენ ღაიძრა, გაუმართლათ, მაგრამ გზაში ღეანღრი მიხვდა, რომ სიცოცხლის ბოლომღე პირთამღეა სავსე მუსიკით — ისევე როგორც მამის სიყვარულით — და ყოველივე, რაც ამ სიცოცხლეს ღაემატება, უბრალოდ, ნაპირებიდან გაღმობღვრება და ქვიშაში ჩაიქცევა. ეს კია, ვაჭრობით გატაცებული აღარასოდეს დაბრუნებია ციმბალს და, არათუ ხელში აუღია, იმის მოთხოვნიღებაც კი არ უგრძენია, ამ სამყაროში, რომელიც მის ირგვლივ დღეს დღემე ჭამდა, მუსიკისათვის მოესმინა. თავისი ახალი ხელობა შეიყვარა, შეიყვარა მოგზაურობა და აქლემები მათი ღინჯი, მცურავი სიარულით, რომელიც ფარავს დაუჯერებელ უნარს, გადასანსლონ მანძიღი, შეიყვარა მათი სისწრაფე და ამგანობა. იმასაც კი ცღილობდა, მათთვის მიებაბა და თავის ბუნებრივ პულსს, თავის შინაგან დროს, თავის სისწრაფეს რბიღი, ნაზი და გაწელიღი მოძრაობით ავსებდა. სისწრაფე შეფარული სიზარმაცეში — აი, რა იყო მისი მიზანი.

რაკი იცოღა, რომ ეს თავდაცვის საუკეთესო საშუაღებაა, ყოველთვის მაღავდა, რამხელაზმე ჩაიწვა მისი სანთელი, და ღუმდა იმაზმე, რაც წინასწარ ღაინახა ქარის ზურგს უკან. იმიგომ, რომ იცოღა, ასეთი სიჩქარე იმ საშიშ იარაღს ჭგავს, რომელსაც აღამიანები ეჭვით უყურებენ. ასე, აქლემებზე დაკვირვებით და წლობით ვარჯიშით ისწავღა უჩვეულო ძალისა და ღირსებების წარმატებით შენიღბვა, თითქოს ეს ნაკლად ეთვღებოღა... და ეს იცავდა წარუმატებლობისა და უბედურებისაგან.

მძიმე დრო იყო და გზად ხშირად გადაეყრებოღი აღამიანს სისხლიანი ტანსაცმლით. ვაჭრებისაგან სმენოღა ღეანღრს საშინელი ამბები ხმლიან თურქებზე, სიჩქარის დამჭერებზე, ღეენის მოყვარულებზე, თავებზე მონადირეებზე, რომლებიც ქარავენებს უსაფრღებიან და უსწორღებიან ვაჭრებსა და მზიღავეებს. უყვებოღნენ, რომ თავებზე

მონადირეს ყოველთვის ზურგს უკან აქვს ის ხელი, რომელიც ონანიზმისთვის სჭირდება, და ისე უფრო ხილდება, როგორც საგანბურს.

ცდილობს, არ გადაღალოს და იმ ხელით არაფერი აკეთოს, ხმალი კი, რომლითაც თავს მხრებს ამორებს, მეორე ხელში უჭირავს. და თუმცა ლეანდრმა იცოდა, რომ ეშმაკს არ შეუძლია, ვინმე მოკლას და სიცოცხლეს მხოლოდ ღმერთი გვართმევს, მაინც ეშინოდა; და ხმლიანი თურქის უბრალოდ წარმოდგენაზეც კი სახეზე თვალები აქეთ-იქით გაურბოდა.

შიში კიდევ უფრო გაუმძაფრა ერთმა წინასწარმეტყველმა. ის ვეებერთელა, წყლის შესანახ დაბზარულ ცისგერნაში ცხოვრობდა, ფეხების დაბანისას წინდებს არ იხდიდა და მისი მარგობა ისეთივე მალფუჭადი იყო, როგორც სიცხეში დარჩენილი ხაჭო. ლეანდრს იმ კაცზე ასეთი რამ უთხრეს:

— სპილენძს მისცემ — გაგპარსავს, ორს მისცემ — გაპარსვისას ბედს გიწინასწარმეტყველებს. მაგრამ გაითვალისწინე, წინასწარმეტყველება უკეთ ეხერხება, ვიდრე გაპარსვა.

ლეანდრი ცისგერნის წინ ქვაზე ჩამოჯდა და ორი სპილენძის მონეგა მისცა. გულთმისანმა გაიცინა და გამოუჩნდა ის ერთადერთი, რაც მასში არ ბერდებოდა — ღიმილი. ლეანდრს უბრძანა, პირი გაეღო და მოულოდნელად შიგ ჩააფურთხა, მერე თვითონაც პირი გააღო.

როცა ლეანდრმა შეფურთხებითვე უპასუხა წინასწარმეტყველს, იმან ორივე ლოყაზე მიაფურთხა, ნერწყვი ლოყებზე წაუსვა და პარსვა დაუწყო.

— როგორ ფიქრობ, თურქები ხვალ შემოგვიტევენ თუ ბევ? — ნახევრად ხუმრობით ჰკითხა ლეანდრმა.

— წარმოდგენა არ მაქვს, — წინასწარმეტყველის ხმა ისე დაეკიდა ჰაერში, როგორც ღილი ფილა.

— აბა, რაღა წინასწარმეტყველი ხარ?

— იცი რა, წინასწარმეტყველი ორნაირია — ძვირი და იაფი, ოღონდ არ გეგონოს, რომ მათი ერთი ნაწილი კარგია, მეორე — ცუდი. ეგ არაფერ შუაშია. ზოგი სწრაფ, ზოგი კი ნელ საიდუმლოებებს წინასწარმეტყველებს. აი, მთელი განსხვავება. მე, მაგალითად, იაფფასიანი წინასწარმეტყველი ვარ, რადგან ხვალინდელი დღეც და მომავალი წელიც ჩემთვის უფრო დაფარულია, ვიდრე შენთვის. მე ვხედავ ძალიან შორეულ მომავალს, ორი-სამი ასწლეულით წინ — შემიძლია, ვიწინასწარმეტყველო, რას დაუძახებენ იმ დროს მგელს და რომელი

სამეფო დაილუპება. მაგრამ, აბა, ვის აინგერესებს, რა იქნება ორი ან სამი საუკუნის შემდეგ? არავის, მე თვითონაც კი...

მიმიფურთხებია. მაგრამ არიან სხვა წინასწარმეგყველებიც — ძვირიანები, მაგალითად, ღებროვნიკში — ისინი წინასწარმეგყველებენ, რა იქნება ხვალ ან ერთი წლის შემდეგ, ეს კი ყველას სჭირდება, როგორც მელიტოს შლაპა, და ასეთებს არ ეკითხებიან, რა დაუჯდებათ წინასწარმეგყველება და დაუნახებლად იხდიან, პეშვით, როგორც ფასკუნჯის ბუმბულისათვის. მაგრამ არ იფიქრო, თითქოს ორი ასეთი გულთმისანი და მათი წინასწარმეგყველებანი არაფრით უკავშირდება ან ეწინააღმდეგება ერთმანეთს. არსებითად, ეს ერთი და იგივე წინასწარმეგყველებაა და ის შეიძლება შეადარო ქარს, რომელსაც გარეთა და შიგნითა მხარეები აქვს. ამასთან, შიგნითა ის არის, რომელიც მშრალია მაშინაც კი, როცა ქარი წვიმაში უბერავს. ამგვარად, ერთი წინასწარმეგყველი ხედავს ქარის მხოლოდ გარეთა მხარეს, მეორე — შიგნითას. ვერც ერთი მათგანი ვერ ხედავს ორივეს.

ამიგომ ადამიანი იბუღებუღია, სულ ცოცხა, ორთან მაინც მივიდეს იმისთვის, რათა შექმნას მთლიანი სურათი, შეკეროს სახე და სარჩული თავისი ქარისა...

ახლა კი გაიგებ ყველაფერს, რისი გაგებაც ჩემგან შეიძლება. ადამიანი ხომალდის კომპასს ჰგავს: გრიალებს თავისი ღერძის ირგვლივ და სამყაროს ოთხივე მხარეს ხედავს, ოღონდ ის, რაც ბევრით და ქვევით ხდება, დაფარული რჩება, ეს მისთვის მიუწვდომელია. არადა, სწორედ ამის შეგყობა უნდა, სწორედ ეს აინგერესებს: სიყვარული — ქვევიდან და სიკვდილი — ბევიდან.

სიყვარული სხვადასხვანაირია. ერთი შეიძლება მხოლოდ ჩანგალზე წამოაგო, მეორეს ხელით ჭამენ, როგორც ხამანწკებს, სხვა დანით უნდა დაჭრა, რომ არ დაგახრჩოს, ზოგჯერ კი ისეთი თხევადია, უკოვზოდ არაფერი გამოვა. მაგრამ არის ისეთიც, როგორიც ის ვაშლია, ადამმა რომ შეჭამა.

რაც შეეხება სიკვდილს, ეს ის არის, რასაც ცისქვეშეთში ერთადერთს შეუძლია, გველივით ბევრით და ქვევით ისრიალოს ჩვენი წარმოშობის ხეზე. სიკვდილს შეუძლია საუკუნეობით ელოდოს შენს ამქვეყნად გაჩენას ჯერ კიდევ მანამ, სანამ დაიბადებოდე. შეუძლია, უკან დაბრუნდეს შენ გამო, შორეული მომავლიდან გამოვიდეს შენს შესახვედრად.



ვიდაცას, ვისაც არ იცნობ და ვერც ვერასოდეს ნახავ, შეუძლია, თავისი სიკვდილი ისე დაგეშოს შენზე, როგორც მონადირე ძაღლი ფრინველზე, ან უკან დაგადევნოს ისეთი მანძილიდან, რომლის წარმოდგენაც ჭირს...

ოღონდ ამას შევეშვათ. ძალიან ლამაზი კისერი გაქვს. ასეთი კისერი ქალის ხელებსაც იზიდავს და ჯარისკაცის ხმალსაც. მე კი ვხედავ ჩექმებიან მეომარს, რომელიც პირს ტარზე ოქროსფუნჯიანი ხმლით იპარსავს და შენც ამ ხმლით აგჩეხავს, იმიტომ, რომ, აი, ნათლად ვხედავ შენს თავსაც, ლანგარზე დაღებულს, ვხედავ როგორც წმინდა ნათლისმცემელ იოანეს თავს. მიზეზი კი ქალია... მაგრამ არ შეშინდე, ეს მალე არ მოხდება. მანამდე კიდევ დიდი დრო გავა, ბევრი წყალი ჩაივლის.

ჯერჯერობით კი კისერს გაუფრთხილდი, ჩემო გელო, მოარიდე როგორც ქალებს, ისე ხმალს. და დაიბანე...

ასე დამთავრდა პირის პარსვაც და წინასწარმეტყველებაც. ლეანდრი შინისკენ მიდიოდა, მის ბურგს უკან კი ამ წლის პირველი Fიფქები ცვიოდა და რეკდა წინასწარმეტყველის ძლიერი ხმა.

„ასეთი ხმით, — გაიფიქრა ლეანდრმა, — შეიძლება, ისე დაგკეპნო თოვლი, როგორც ნოხით“, და სიცივისგან, ირგვლივ რომ იყო, და შინაგანი ძრწოლისაგან გააკანკალა.

წინასწარმეტყველებამ თავმარი დასცა ლეანდრს. შიში, რომ ხმლიან კაცს გადაეყრებოდა, ახლა უფრო საფუძვლიანი ეჩვენებოდა, ვიდრე აქამდე. გული მკერდში უთრთოდა, სიმბრები კი შიშისაგან გადამღები გაუხდა და თუ ლეანდრს ესიმბრებოდა, რომ კბილში ყვავმა ჩაუნისკარტა, რადგან სიმბარში ყვავს გაულიმა, მაშინ ყველა, ვისაც კი მეორე დღეს გაეკარებოდა, სიმბრად ნახულობდა ყვავს, რომელიც კბილში უნისკარტებდა.

მაგრამ იმ დღეებში, როდესაც ლეანდრს ყველაზე მეტად ეშინოდა ხმლიანი კაცისა, მას არ შეხვედრია. შეხვდა გოგონას. ვიდრე ლეანდრი ამხანაგებთან ერთად ოხრიდის ტბის პირას გამოიზამთრებდა, სულ ეჩვენებოდა, რომ მისი შიში მღვარს გადავიდა და ბუნებრივი რიგში დაკარგა, რომ ნაცვლად იმისა, თავისი ილუმალე უპირატესობა განევითარებინა, პირიქით, კარგავს.

ყოველივე ეს კი იმ სადამოს დაიწყო, როცა მან, როგორც მოეჩვენა, ციმბალის ხმა გაიგონა. და უცბად თავი იმაში დაიჭირა, რომ ყურს უგლებდა მუსიკას და, როგორც უწინ, ისე გულგრილი არ რჩებოდა. ეს უკან გადადგმულ ნაბიჯად მოეჩვენა. უკრავდა არა კაცი,

არამედ ქალი, და ეს განსხვავება, რომელმაც ლეანდრს არ შეეძლო, რაიმე სცოდნოდა, არ გამოჰპარვია.

ყური მიუგლო და კიდევ რაღაც შენიშნა. იმ ადგილას, სადაც მუსიკა შემსრულებლისაგან სიმებზე თითების გადაჯვარედინებას მოითხოვდა, ციმბალის ხმა ადგილზე იყინებოდა და კიდევ რამდენიმე წამს განაგრძობდა ქლერას, თითქოს ეს წამები იმისთვის სჭირდებოდა, რომ ჰაერი ჩაესუნთქა. ლეანდრი მიხვდა, რაც ხდებოდა, და მეორე დღეს, როცა დაინახა გოგონა, რომელიც უკრავდა, უპირველესად ეს უთხრა:

— შენს დაკვრას მოვუსმინე.

მარცხენა ხელზე თითი გაკლია, არათითი. დაკვრა კი მანამდე ისწავლე, ვიდრე თითს დაკარგავდი. ასე იყო?

— ასე იყო, — უპასუხა გოგონამ, — სამი წლის წინ გავარვარებულსიმებიანი ლითონის ციმბალი შემომაცყუეს. მას შემდეგ ისე, ჩემთვის ვუკრავ, რომ არ დამავიწყდეს, შენ კი არავენ გაიძულებს, რომ უსმინო...

ლეანდრმა მაშინვე გაიფიქრა, რომ იმით, თუ როგორ ისწავლა ცხოვრება თვითონ, შეიძლება, დაეხმაროს გოგონას, დაივიწყოს საკუთარი უბედურება. შეეცადა, აეხსნა, რომ საჭიროა, სწრაფად იცხოვრო, უკანმოუხედავად, და სადამოებით გბის ნაპირას სეირნობისას ცდილობდა, გოგონასათვის გაეგებინებინა თავისი უჩვეულო და საგულდაგულოდ დაფარული თვისება. მალე ცხადი გახდა, რომ ღესპინა, — ასე ერქვა გოგონას, — შესანიშნავი მოსწავლე იყო. ის დღეები, როცა ციმბალსა და გავარვარებულ სიმებთან დაკავშირებული უბედურება შეემთხვა, სულ მალე დაივიწყა.

მან სამუდამოდ მიაგოვა ინსტრუმენტი, ისევე, როგორც ლეანდრი ჩამოშორდა ვაჭრებს იმავე დღეებში, ყელამდე სავსე მათი სამუშაოთი, შიშით აღვსილი, ნაშოვნი ღუკაგებით სავსე ჯიბეებით. ღესპინამ თანდათან აითვისა მისი ჭამის რიგმი, მარჯვედ ბაძავდა მისი სიარულის მანერას და მეტყველებას, სწავლობდა, ისეთივე თავბრუდამხვევი სისწრაფით ემოძრაებინა თვალები, როგორც ამას ლეანდრი აკეთებდა. და იყო წუთები, როცა ეჩვენებოდა, რომ დღეში ორ დღეს ცხოვრობს. ეს კია — ამ გაკვეთილების დროს, ნაპირზე რომ სეირნობდნენ და ცდილობდნენ, სხვა ადამიანებისაგან დაემაღლათ თავიანთი საერთო სისწრაფე, როგორც საერთო საიღუმლო, თანდათან დაახლოვდნენ. ქალის ბეჭდის ანარეკლი მოგჯერ პირდაპირ ლეანდრს ხვდებოდა თვალში და ქალს რომ უყურებდა, ფიქრობდა, ნეტავ მკერდზე კერტების

ნაცვლად ღორის დახვეული კულები ხომ არ აქვს, როგორც ფრესკებზე გამოსახულ ზოგიერთ ცოდვილსო. ამ ღროისათვის ლეანდრმა ქალებზე სულ ცოტა რამ იცოდა ისევე, როგორც, სხვათა შორის, საკუთარ თავზეც. მან იცოდა, რომ ღვინოებს ისევე უნდა მოექცე, როგორც ქალებს: სხვადასხვანაირად მაფხულსა და მამთარში; იცოდა ისიც, რომ მაგარი ღვინო მაფხულში უნდა გადაიღო, სუსტი — მამთარში.

სულ ეს იყო, რაც ლეანდრმა ყურმოკვრით იცოდა ქალებზე, ოღონდ გოგონა იმ თითის გარეშე, რომელზეც საქორწინო ბეჭედს იკეთებენ, იზიდავდა. იმ დღეებში ლეანდრს სადღაც ელოდა მისი გაბუღა რაზა, მისი „ცარიელი ისტორია“ და ევედრებოდა, რომ ბოლოს და ბოლოს მასში ჩასახლებულიყო.

ოხრიდის ტბაში გაედინება და მას ორ ნაწილად ყოფს მდინარე ღრიმი. ერთ საღამოს დესპინამ და ლეანდრმა ნაეში სათევზაო ბაღე ჩადეს და გბიდან მდინარისაკენ გაცურეს, რომელმაც განთიადისას მდინარის გაღმა ნაპირზე გაიყვანა. იმ ღამეს ნაეში, წყლის ორ ფენაზე რომ მისრიალებდა, ისინი, ბაღეგადაფარებულები, პირველად დაწვნენ ერთად.

მაგრამ ლეანდრი, რომელმაც რამდენიმე საათით აღრე განჭვრიტა ყოველივე, რაც უნდა მომხდარიყო, იმ წუთს, როცა მისმა მოლოდინმა ცხადში ახდენა დაიწყო, გაცილებით სწრაფი იყო, ვიდრე მისი თანამგზავრი, ისე, რომ ერთმანეთის შეხებაც კი ვერ მოასწრეს. მისი რიგში სულ სხვა აღმოჩნდა, ვიდრე ქალისა, და აი, ლეანდრი პირველად შეეფეთა საშინელ ბედისწერას, რომელიც სხვების წინაშე მისი საიდუმლო უპირატესობის ფსკერზე ესვენა. მერეც ვერასოდეს შეძლეს, ჰარმონიისათვის მიეღწიათ, და ლეანდრი, ასე ჩანდა, ქვირითის ისროდა გბასა და მდინარეში, მის ქვეშ რომ მიედინებოდა, და ავსებდა არა ქალის წიაღს, არამედ მის ქვეშ გაშლილ ბაღეს.

უკანასკნელ საღამოს დესპინამ წმინდა ნაუმის მონასტერში ორი სანთელი იყიდა, ერთი ლეანდრს მისცა, მეორე კი თავის ფუთაში შეინახა. როგორც ყოველთვის, გბის გავლით მდინარის დინებას დაუყვნენ და ლეანდრმა კიდევ ერთხელ სცადა.

უკანასკნელად. როცა კვლავ არაფერი გამოუვიდა და თესლი ისე დაღვარა, გოგონას არც კი შეხებია, დესპინამ სანთელი მისცა, რათა მისი დახმარებით ექცია ქალად. მერე, განთიადი რომ მოახლოვდა, დესპინამ ნიჩაბი აიღო და ნაეი მიაცურა ქვიშიან ისარასთან, სერბი დესპოტების აშენებული მახუმის ღვთისმშობლის მონასტრის წინ, რომელთან მიღწევაც მხოლოდ წყლით შეიძლებოდა. მეორე სანთელი, თავისი, ანთო, ლეანდრს გაუწოდა, აკოცა

და მერე სანთელი მონასტერში დაგოვა, თვითონ კი ქვევით, ღრიმის მიმართულებით მოუსვა ნიჩბები.

ჭკუიდან გადასულები და გაგანჯულები, ისინი სამუდამოდ დაშორდნენ, დარწმუნებულები, რომ ველარასოდეს შეძლებენ შეერთებას. როცა ლეანდრი სანთლით ხელში მონასტერს მიუახლოვდა, ცისკრის ლოცვა მთავრდებოდა. ჯერ კიდევ მანამ, სანამ ეკლესიაში შევიდოდა, ლეანდრმა შეამჩნია, რომ იმ დღეს მონასტერში ხაგს კრძალავდნენ.

პელაგონიის ხაგი ძალიან ძველი იყო, მაგრამ, ვიდრე სამარეში ჩაასვენებდნენ და ღვინოს აპკურებდნენ, ლეანდრმა მისი შეთვალა უერება მოასწრო.

ხაგზე გამოსახული იყვნენ ღვთის უმშობელი, რომელიც ყრმას ძუძუს აწოვებდა, და ნაჯახიანი მამაკაცი, — ეს იოანე ნათლისმცემელი იყო, — რომელიც მათ გვერდით იდგა. ყრმას ფეხიდან თითქმის წასძრობოდა სანდალი და ღედის გვერდით მდგარ მამაკაცს ხელი ჩაეველო თასმისათვის, რათა ბავშვისათვის ტერფზე შემოეჭირა. ბავშვმა, მოულოდნელი შეხება რომ იგრძნო, დედას ძუძუმე უკბინა, მან კი, როცა მიხვდა, რაც მოხდა, მამაკაცს შეხვდა, რომელიც ყრმას ხამლს უსწორებდა.

ასე შეიკრა წრე, უწყვეტი ხაზი, რომელიც აერთიანებდა კაცს, მის ხელს, ბავშვის ტერფს, ქალის მკერდს და მის მშერას, მიმართულს მამაკაცისაკენ. ამ ხაზმა, რომელსაც ლეანდრმა თვალის შეავლო რამდენიმე წამით აღრე, ვიდრე ხაგს მიწაში ჩაუშვებდნენ, ლეანდრს ის ერთადერთი ასო შეახსენა, რომელიც ისწავლა, — თეგა, და გაიფიქრა: „ესე იგი შეერთება მაინც შესაძლებელია!“

ამის შემდეგ მონასტრისაკენ გასწია, რათა იქ ბერად აღკვეცილიყო.

თუმცა ლეანდრს ამის უფლება მაშინვე არ მისცეს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ წვერი ჯერ კიდევ არ ამოსვლოდა. ხოლო, როცა უამბო, ვისი მოდგმისაა და ისიც აცნობა, რომ მისი ოჯახი არც დასავლურ, არც აღმოსავლურ ქრისტიანობას არ ეკუთვნოდა და „მამა-პაპათა რწმენას“, ანუ ბოგომილობას თუ პაგარენობას ინარჩუნებდა, მოუწია, რამდენიმე წელს მორჩილი ყოფილიყო, ცოდვები მოენანიებინა და სამშობლოში მიღებას დალოდებოდა.

ამ ხნის განმავლობაში წიგნებით სავსე ხის სამრეკლოში ცხოვრობდა.

ეძინა ბარების თოკების გროვამზე და ეს თოკები ღამდამობით სხეულის ქვეშიდან გამოეცლებოდა ხოლმე იმ დროს, როცა ბარებს ქარი არხევედა და ისმოდა, რა საშინელი ძალით ახეთქებდა აღელვებული გბა სანაპიროს კენჭებს მონასტრის ჭიშკარს და ძილი

უფრთხებოდა. მაგრამ ლეანდრი უკვე მოერია შიშს. მას შემდეგ, რაც ლესპინასთან დაემართა, ხმლიან კაცებთან დაკავშირებული ამბები და ღამის კომპარები ბავშვურ თამაშად ეჩვენებოდა.

— სულ შია, თითქოს მამამ მშიერ კუჭზე გააკეთა, — ამბობდნენ ბერები მასზე, ლეანდრმა კი მონასტრის მახლობლად, ქარზურგა მხარეს, ხაგების პაგარა სასაფლაო მოაწყო, ყვავილები დარგო, ქვის ყორე და პაგარა ჭიშკარი გააკეთა. გვიან საღამომდე ერთო ხოლმე კანდელი, რომელიც ღამისაგან იფარავდა, ვიღრე ბერ გადამწერთათვის ბუმბულებს წვერს უთლიდა და კენკრისა და ღენტის ნარევისაგან მელანს ამზადებდა. მერე შეფურთხებით აქრობდა კანდელს და იმ დღეზე ოცნებობდა, როცა მონასტერში მიიღებდნენ, ასწავლიდნენ წერასა და წიგნების კითხვას, რომლებიც სამრეკლოს კედლების გაყოლებით თაროებზე ეწყო, მერე კი იძინებდა და ისე სწრაფად და ღრმად ეძინა, რომ შუაღამისთვის უკვე გამოძინებული იყო.

1689 წელს ბერი გახდა და, როცა აღკვეცის წესის შესრულების ბოლოს იღუმენმა უთხრა: „ღლიდან, შვილო ჩემო, სახელი შენი არის ირინე!“ — ლეანდრმა გაიგონა, როგორ დაიწყო მარებმა რეკვა. პირველად გბის გაღმა, წმინდა ნაუმზე აგუგუნდნენ, მერე ოხრიდიდან ჩრდილოეთით — თავიდან წმინდა სოფიას, მერე პერიფლეპის, წმინდა კლიმენგისა და ასე შემდეგ, გბის ირგვლივ განლაგების მიხედვით, იქამდე, ვიღრე ხმამ იმ ადგილამდე არ მიადწია, საიდანაც დაიწყო, ანუ წმინდა ნაუმის მონასტრამდე. ამ ღროს მონასტრის ჭიშკარში შევარდა დამგვერილი და დაქანცული დიომიდე სუბოგა, ლეანდრის ამხანაგი, და აცნობა, რომ სკოპიე გადამწვარია, რომ პრიზრენში გარდაიცვალა ავსტრიელი მთავარსარდალი, გენერალი პიკოლომინი, ქრისტიანების არმიამი ჭირია, ხოლო თურქული სადამსჯელო რაზმები უღმობლად მიიწვევენ ჩრდილოეთისაკენ, ვარდარის ველით და სოფიას მხრიდან, წვავენ სოფლებსა და მონასტრებს და გზად მიწის პირიდან აღგვიან ყველას და ყველაფერს.

დიომიდემ და მისმა კომპანიონებმა საქონელი და ფული დაკარგეს, თვითონ კი ლეანდრთან მოვიდა მარგოლენ წვერისა და პერანგის ამარა, რათა დახმარება ეთხოვა.

— ისინი ყველაფერს გაანადგურებენ, ყველაფერს გაანადგურებენ, — თითების მგვრევით იმეორებდა, გადაჯვარედინებულ ხელებს წამდაუწუმ ყურებზე ივლებდა და ხელისგულებით ისე იფარავდა, რომ მარების ხმა არ გაეგონა. ვიღრე ლეანდრი დიომიდეს ელაპარაკებოდა, დანარჩენი ბერები გომრებს ძვირფასეულობით გენიდნენ, კარებს ურღულებს უყრიდნენ,

ყურედან მონასტრისკენ გამოჰქონდათ ნავეები და ტივები, შორიდან კი, ტბის გაღმადან, მოჩანდა და ისმოდა, როგორ ტოვებდა ხალხი საკუთარ სახლებს და ჩრდილოეთისაკენ გარბოდა, თან წინ მიერეკებოდა საქონელს, რომელსაც ზარებს და ევენებს ხსნიდა ან შიგ ბალახის ბლუჯებს უტენიდა. მალე ტბაზე მიიმე, მსუყე ქარი გაწვა, სავსე კვამლითა და სიმყრალით, და ლეანდრი მიხვდა, რომ გლეხები წვაგდნენ ყველაფერს, რისი თან წაღებაც არ შეეძლოთ...

ასე და ამგვარად, ირინეი მახუმსკიმ ვერ შეძლო, ერთი დღე მაინც ეცხოვრა მონასტერში, როგორც ბერს, და წერის გაკვეთილებიც კვლავ უკეთესი დროისათვის გადაიდო. ანაფორაზე რამდენიმე თევზსაჭერი ნემსკავი მიიმაგრა, უბეში ღუკაგები ჩაიგენა, თავდახრით გამოესალმა ხაგების სასაფლაოს, ხოლო პელაგონიის ხაგის საფლავთან თმის კულული მოიჭრა და ჯვარს შემოახვია, როგორც ამას მის ბავშვობაში ქვრივები აკეთებდნენ დაღუპული ქმრების საფლავებზე. მერე დიომიდეს ორი ოქრო მისცა, უბრძანა, ცხვირსახოცში გამოაკარი და წვერში ჩამალეო, და გზას გაუდგნენ.

გაქცევის პირველივე ორ დღეში შენიშნა, რომ აღამიანთა შორისაც ორი სახეობაა. ერთნი დღედაღამ ჩქარობდნენ, უძინარნი, შეუსვენებლად; ისინი ეწეოდნენ და უსწრებდნენ ლეანდრსა და დიომიდეს და შორს უჩინარდებოდნენ იმედით, რომ იმას მოიმიკიდნენ, რასაც ორ ღამისთევასა და ორ კოცონს შორის დათესავდნენ. მოგვიანებით ხედავდნენ ხოლმე მათ: ქანცმილეულებს, ჩანჩალით მიმავლებს, გზის გაგრძელების უნარდაკარგულებს, რომ იხვეწებოდნენ, ერთი ფუნტი ცვილის სანაცვლოდ ორი ფუნტი ღვინო მოგვეცითო.

მეორენი უფრო მშვიდად მიდიოდნენ, მაგრამ დასასვენებლად შეჩერებულთ პანიკა იპყრობდათ, სულ ომის ველზე მომხდარი ახალი ამბების გამოკითხვაში იყვნენ, კოცონიდან კოცონისკენ დახეგიალებდნენ, ლგოლვილთა ერთი ბანაკიდან მეორეში, უსმენდნენ უსინათლოების სიმღერებს. მათი ბოლო უფრო ნელა დგებოდა, მაგრამ, როგორც პირველებს, ისე მეორეებს ისინი უსწრებდნენ, ვინც ყველაზე ცოცხა იყო და ვისაც თავი ისევე ეჭირა, როგორც ლეანდრს. მას დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა, რათა ეიძულებინა დიომიდე სუბოცა, მისთვის მიეხატა. დღეს, ბიზანტიური ჩვეულებისამებრ, ორ ნაწილად ყოფდნენ, ასევე ექცეოდნენ ღამესაც; შუაღამისას ისვენებდნენ და ეს დასვენება იმდენ ხანს გრძელდებოდა, რაც იმისთვის იყო საჭირო, რომ არც ძალიან ჩქარა ევლოთ და ავსტრიის არმიას არ დასწეოდნენ, რომელიც უკანდახევისას განურჩევლად ძარცვავდა ყველაფერს,

მაგრამ, ამასთან არც ძალიან ჩამორჩენილნი მას, რათა არ აღმოჩენილიყვნენ მათ ფეხდაფეხ მომავალი სულთნის არმიის ავანგარდის ხელში, რომელიც თათრებისაგან შედგებოდა. ლეანდრსა და მის ამხანაგს უკან სდევდათ ჩამორჩენილთა შიში და ეს სხვების შიში მათ საკუთარსაც მიერეკებოდა. ამასთან, ირგვლივ ყველას და ყველაფერს ედებოდა შავი ჭირი და შიმშილი, შიმშილთან ერთად კი თურქები, რომლებიც წვაგდნენ, ანგრევდნენ, ძარცვავდნენ და ყოველივეს ხმლის ფხის ძალას უმორჩილებდნენ. ამ სამინელ არეულობაში ლეანდრი და ღიომიდე სუბოგა გმის გასწვრივ, ლგოლვილებით რომ იყო სავსე, ხანდახან შენიშნავდნენ ხოლმე უძრავად გახევებულ კაცს, რომელსაც ხელისგულზე მიწა დაეყარა, შიგთესლი ჩაეგდო და ელოდა, როდის ამოიძრებოდა და აყვავდებოდა — ასეთი აღთქმა ჰქონდა დადებული.

— ისინი ყველაფერს გაანადგურებენ, ყველაფერს გაანადგურებენ! ერთნი თუ არა, მეორენი მაინც, — იმეორებდა ღიომიდე სუბოგა, თან ცალ ფეხზე იდგა და მეორის ტერფს ხელისგულით ითბობდა.

ერთ საღამოს ლეანდრმა, როგორც იქნა, ბოლო მოუღო მის მოთქმა-გოდებას:

— ღიომიდე, ახლა მისმინე, რას გეცევი. სიგიჟეა ყველაფრის დაწვა, რასაც იძულებით ვგოვებთ. მგერიც კი ვერ შეძლებდა, ისე გაეძარცვა და გაენადგურებინა ყოველივე, როგორც ჩვენ თვითონ ვაკეთებთ.

მას ძალა არ შესწევს, ისე გამოწუროს მიწიდან ყველაფერი, როგორც ყინვა გამოწურავს თევზიდან წყალს. პირიქით, რაც მეგს დაგოვებთ, მით უფრო მეტხანს შეყოვნდება მგერი მის დასანგრევად და გამოდის, მეტი იმედი გაგვიჩნდება, რომ რაღაც მაინც დარჩება ჩვენგანაც და ჩვენ შემდეგაც. ამიგომ საჭირო არ არის ხანძარი და ნგრევა. პირიქით, უნდა ვაშენოთ, ვაშენოთ ახლაც კი.

ჩვენ ხომ ყველანი მშენებლები ვართ. ოღონდ დასამუშავებლად უჩვეულო მარმარილო მოგვცეს: საათები, ღლეები და წლები; ხოლო სიმძარი და ღვინო — ეს სამშენებლო ხსნარია. ცუდად არის იმისი საქმე, ვინც საფულეში სპილენძის ფულთან ოქროსას ვერ ხედავს, და იმისიც, ვინც ღამის იქით ღღეს ვერ ხედავს!..

ამას რომ ამბობდა, ლეანდრს თვითონვე უკვირდა თავისი სიციყების, თავისი ხმისა, რომელიც მის ყურამდე შიგნიდან, ყელიდან აღწევდა მანამ, სანამ ღიომიდეძე

მიფრინდებოდა, მაგრამ ყველაზე მეტად ის მოულოდნელი გადაწყვეტილება აკვირვებდა, რომელიც, როგორც ჩანს, უკვე დიდი ხანია გაჩნდა მასში, თუმცა თვითონ ამაზე ეჭვიც არ ჰქონდა. თითქოს მთელი ეს დრო ბნელში მიდიოდა და ვერ შეამჩნია, ღამის სიბნელეში როგორ გადაიარა უხილავი ხიდი. ერთი რამ აშკარა იყო — ის უკვე მეორე ნაპირზეა, გადაწყვეტილება სულ იოლად ჩამოაყალიბა და ასევე იოლად გააცნო თანამგზავრს:

— ჩამოჰკრა საათმა, როცა ეს მარმარილო მშენებლობისათვის უნდა გამოვიყენოთ, დიომიდე, მოვიდა დრო, კვლავ ჩვენი წინაპრების ხელობას დავუბრუნდეთ. ჰოდა, ასეც მოვიქცევით. დღეიდან შენებას დავიწყებთ.

უნდა ვირბინოთ და სირბილ-სირბილში ვაშენოთ. თუ გინდა, შემომიერთდი, არ გინდა — გაიარე და, დაე, ის ორი ოქრო, წვერში რომ გაქვს დამალული, დაგეხმაროს გმის დაძლევაში. ამ წუთიდან ყოველი მესამე შესვენების ადგილზე მშენებლობას დავიწყებ. სულერთია, რისას. იმისას, რაც ვიცი.

ამ გამაოგნებელმა წინადადებამ ადგილზე გააშეშა დიომიდე. აფიცა, ახლა, როდესაც ისინიც კი, არასოდეს რომ არ შემცდარან, თავით აგებენ პასუხს, შეცდომა არ დაუშვანო:

— ერთი იმათგანი დაგეწევა, ვინც დიდი ხანია ქარქაში გადააგდო და ხმალგამომვლელი დაეძებს კისერს, შენსას რომ ჰგავს. ახლა მთელი გზები ასეთებით არის სავსე.

გავიქცეთ, ვიღრე გვიან არ არის.

მაგრამ ლეანდრს კაცებისა აღარ ეშინოდა. ახლა ქალებისა ეშინოდა. გაუგებარი იყო ლეანდრის ასეთი თვითრწმენა, მაგრამ ამ რწმენამ, გამყარებულმა მის ხელთ არსებული ოქროს მონეტების სიმძიმით, მოგება დიომიდე, ვისი მთელი ქონებაც წვერში იყო დამალული. საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ დათანხმდა, რადგან გაახსენდა, რომ ყველა მხარი მოგზაურობისას ლეანდრი თავს ყოველთვის ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში ორ იმპერიას, სამ რწმენასა და იმდენ ენას შორის, რამდენიც აქ სხვადასხვანაირი ქარი უბერავდა.

მეორე დღეს ირინეი მახუმსკიმ, — აკი ასე შეარქვეს ლეანდრს არცთუ ისე დიდი ხნის წინ, — აქლემი იყიდა, საფასური სუფთა ოქროთი გადაიხადა, ზედ დიომიდე შემოსევა და ათი დუკატი მისცა. იბარის ველისკენ გაგზავნა, იმ ადგილისაკენ, რომელიც აქედან სამი დღის სავალზე იყო: მას უნდა დაემზადებინა ქვა, გაეკეთებინა კრამიტი და მომავალი შენობის საძირკველი ჩაეყარა, თვითონ ლეანდრი კი, როგორც აქამდე, ფეხით გაჰყვა უკან.



მესამე დღეს ფეხზე მდგომს ჩამოეძინა და ესიზმრა გალღები, მღვა და ჩირაღდანი, ბედ ჰორიზონტზე რომ ჩანდა და იქამდე ცურვით უნდა მიგედწია, ხოლო, როცა შეხტა და გამოფხიზლდა, აღმოაჩინა, რომ გალღები თავისივე ნაბიჯები იყო იმიტომ, რომ მძინარე მიდიოდა...

ხმლიანი კაცი მის წინ იდგა.

იდგა, გმას უღობავდა, ვეებერთელა, ამხედრებული ცხენზე, რომელსაც ფლოქვები წითლად ჰქონდა შეღებილი ენდროთი — საღებავით, ქალები რომ ხმარობენ.

კაცს თავს არაფერი უფარავდა, კინკრიხომე კი ბლუჯა თმის დაწნული ხეულის ნაცვლად წითური უღვაში ამომრდოდა, საგულდაგულოდ დავარცხნილი და შუაზე გაყოფილი. როცა ლგოლვილები მიუახლოვდნენ — არადა, ყველანი, მათ შორის, ლეანდრიც, მოჯადოებულებივით განაგრძობდნენ მისკენ სვლას — ხმლიანმა კაცმა ხელისგული მოწყვეტით ჩაირგყა კეფაში, მეორე ხელით მარჯვედ დაიჭირა ბუდიდან ამოვარდნილი ბროლის ხელოვნური თვალი და თავს ზემოთ ხმლის ქნევითა და მარჯვნივ და მარცხნივ დაუნდობელი დარტყმებით შევარდა ლგოლვილების ბრბოში, გაქევაებული რომ აღევნებდა თვალს მის საქციელს. ლეანდრს რომ მიუახლოვდა, ადგილზე გაშეშდა, მერე ხმლის წვერი მის ხუჭუჭა, ოფლიან წვერს მიაბჯინა და თავის მსხვერპლს ნიკაპი ფრთხილად, — ცდილობდა, არ გაეჭრა, — მაგრამ ისეთი სიმკიცით აუწია მაღლა, რომ ლეანდრის კეფა მიწას დააჩერდა. თავიდან მოგეჩვენებოდათ, თითქოს ხმლიანი კაცი ნაჭერში გამოკრულ და წვერში ჩამალულ ოქროს მონეტებს ეძებდა, მაგრამ მალე ცხადი გახდა, რომ ლეანდრის კისერს ათვალიერებდა. მერე ხმალი დაუშვა და უთხრა:

— სიკვდილისა ნუ გეშინია; მოკვდე — ნიშნავს, უბრალოდ, შეწყვიტო არსებობა, როგორც ვილაცის შეილმა. ეს არის და ეს. მაგრამ მე არ აგკუწავ.

შენი კისერი თითქოს სპეციალურად ისაიასთვის შეუქმნიათ. მე მას ისაიას ვუძღვნი. დაე, ისაიამ გაიხაროს. არ წახვალ, ისაია მოგძებნის. იქნებ უკვე გეძებს კიდეც ისაია. მისკენ გასწიე! — და ხმლიანმა კაცმა მხიარულად გააჭენა ცხენი მას შემდეგ, რაც გომარაში სისხლიანი ნანადირევი ჩაყარა.

როცა ყველაფერი დამთავრდა, ლეანდრმა სხვებთან ერთად კვლავ გმა განაგრძო. ისეთი დაღლილი იყო, რომ მიმავალიც ძილს განაგრძობდა და მალე უკვე აღარ ახსოვდა, რაგომ

ქლერს მის ყურებში საშინელი სახელი ისაია, არ იცოდა, ხმლიანი კაცი ესიმბრა თუ მართლა შეხვდა.

დანიშნულ დღეს თავის დროზე მივიდა დათქმულ ადგილას, დიომიდეც იქ დახვდა და ლეანდრმა ნახა, რომ ამხანაგს მისთვის არ უღალატია. გრადაცეში, ჟიჩეს მონასტრის მახლობლად, მინერალურ წყაროსთან, სუბოტას ადგილი ამოერჩია, კრამიტი გამოეწვა, მოემზადებინა, როგორც მოილაპარაკეს, საძირკველი და კარგ მეოჯახესავით ელოდა ლეანდრს ცხელი ფაფის ქოთნითა და ქვებისა და დახერხილი ფიცრების გროვებით, რომლებიც თითქმის მუქთად იყიდა გლეხებისაგან, საკუთარ სახლებს რომ გოვებდნენ და გაოცებულნი იყვნენ აქლემის არანორმალური პაგრონის საქციელით, რომელიც ფულს იხდის იმაში, რასაც თვითონ წვავენ და ყრიან. ამხანაგებმა ერთად ივანშემეს, ღამე გაათიეს, დილით კი ლეანდრმა მეგობარს კიდეც ათი ლუკაგი მისცა და მომდევნო შეხვედრის ადგილი დაუნიშნა. სუბოტას არანაირმა დაფიცებამ და მუღარამ არ გაჭრა. თვალცრემლიანები დაშორდნენ ერთმანეთს და დიომიდეც, აქლემზე ამხედრებულმა, გზა ჩრდილოეთისაკენ განაგრძო, ლეანდრი კი კვლავ იდგა სისხლიან თოვლში, რომელიც იმ წელიწადს უდროოდ დროს მოვიდა — თურქებისა და შავი ჭირისაგან სამი დღის სავალზე, არავის მიწაზე, ორ ფრონგს, ორ ერთმანეთთან მეომარ იმპერიას, ორ რწმენას შორის, რომელთაგან არც ერთს არ მიეკუთვნებოდა.

აქ მან ანაფორა გაიძრო, შუა მინდორში მარგოდმარგოდ დარჩა და მიწაზე, რომელიც ისე გაქლენთილიყო სისხლით, რომ უკვე რამდენიმე წელია, მოსავალს აღარ იძლეოდა, ღვთისმშობლის გაძრად მიყვანების სახელობის პაგარა ეკლესიის შენებას შეუდგა.

ითვლიდა აგურებს და საათებს, რომელზეც მისი სიცოცხლე იყო დამოკიდებული, იბარის ველზე კი ლგოლვილთა მდინარე მიედინებოდა და ირგვლივ მილეშევის, რავანიცას, ღეჩანის სერბული მონასტრები იწვოდა. ანაფორას უკან მიაყოლა აქლემებისაგან შეთვისებული სიმშვიდე და მოძრაობის ყალბი სიზანგე და ირგვლივმყოფთა წინაშე ნებისმიერი ვალდებულებისაგან თავისუფალმა გასაქანი მისცა საკუთარ ძაღლს, გაათავისუფლა შინაგანი, გაელევაბაზე უფრო სწრაფი დრო.

იმ საშინელი ოხრიდის ღამის შემდეგ პირველად, თავი კვლავ ადამიანად იგრძნო და სხვებთან შედარებით თავისი უპირატესობა შეიგრძნო. ხელსაწყოები მოიმარჯვა, ქვების გათლასა და კედლების ისეთი სისწრაფით შენებას შეუდგა, როგორმეც ჯერ კიდეც

ბავშვობისას ოცნებობდა ბოსნიაში, როცა საფლავის ვეებერთელა ფილების გათლით გართული პაპის მძიმე მოძრაობებს აკვირდებოდა. ახლა ისევ მშენებლად იქცა, პირში მლამე ოფლი და მგვერი ჩასდიოდა, სველი თმა ყურებზე ეწებებოდა, თავის ქალა უხურდა, ქვა და კრამიგი კი იბზარებოდა და იმსხვრეოდა მისი ხელების სიძლიერისა და მღულარე, თითქოს შხამიანი, დორბლისაგან, ხოლო ამდენი ძალდატანების გამო დაღვრილი მამაკაცური თესლი ფეხებს უწვავდა და განსაცმელს უჭამდა. შუადლისას ლეანდრი მუშაობას წყვეტდა, ცოგაოდენ ფაფას ჭამდა და მდინარის პირას წვებოდა. გრძელი თმის კულულებზე ნემსკავებს იმაგრებდა და მდინარესთან დაგდებულ ქვაზე თავმიდებული თმას წყალში ჩაუშვებდა ხოლმე. ასე ეძინა და იჭერდა თევზს — დაღლილი და მშვიერი, იმ იმედით, რომ მის ძილში შემოცურებული თევზი გამოაფხიზლებდა. მერე ღვებოდა, შუალამემდე მუშაობდა და ისევ წვებოდა, ვიდრე ჭოგი არ გამოაღვიძებდა, ჩიგი, რომელიც თვალთ არავის უნახავს და რომელმაც იცის, სად მოკვდება ის, ვინც მისი ხმა გაიგონა.

მესამე ღღეს, როცა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესია კრამიგმა დაფარა, ირინეი ბახუმსკიმ ისევ ანაფორა ჩაიცვა, საყდარი აკურთხა, იქვე მიივიწყა და ჩრდილოეთისაკენ სირბილი განაგრძო.

სამი ღღე გარბოდა და სამი ღღე ისვენებდა შემდეგი მშენებლობის დაწყებამდე. მორავის ნაპირთან, სვილანინიცას მახლობლად, დათქმულ ადგილას იპოვა ღვთისმშობლის სუბოგა, ახალი, უკვე დამთავრებული საძირკველი, მოხარშული ფაფის ქოთანის, სამშენებლო მასალების მთა, მაგრამ ყოველივე ეს — მკვდარ აქლემთან ერთად. აქლემი შეჭამეს, ცხენი იყიდეს, გამოთხოვებისას ერთმანეთს გადაეხვივნენ და ლეანდრი ღვთისმშობლის შეჭყურება ამხანაგს, სანამ გადაწყვეტდა, ყველაზე საშინელი რამ ეთქვა მისთვის.

— ახლა სხვა ღვთისმშობლებთან ერთად ჩრდილოეთისაკენ კი არ წახვალ, — დაიწყო მან, — არამედ აღმოსავლეთისაკენ შებრუნდები და შემდეგი ადგილი, სადაც მასალების დამზადება და საძირკვლის ჩაყრა მოგიწევს, უფრო ახლოს იქნება თურქების მოწინავე რაზმებთან, ვიდრე აქამდე. თუ გეშინია, შეგიძლია, დამგოვო, არ მეწყინება, მაგრამ თუ ღვთისმშობლის გადაწყვეტს, ისე მოქცევა მოგიწევს, როგორც გითხარი. ოღონდ ახსნა-განმარტებას ნუ მომთხოვ, ახსნა-განმარტების დრო არ გვაქვს.

მაშინ ღვთისმშობლის სუბოგამ პირველად გაბედა, ეთქვა ის, რასაც ფიქრობდა:

— ვიცი, — უთხრა მან, — ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთს, მაგრამ ცუდ გზას ადგახარ. ხალხი აღდგა ხალხის წინააღმდეგ, ჩვენი კი ამ ბოლო, საომარ ქამს შენება მოგვინდა მაშინ, როცა აღარავინ აშენებს, მშვიდობის მოგება შეიძლება, აი, ომი კი ჯერ არავის მოუგია.

ასეთმა პაგარა ხალხებმა, ჩვენი რომ არის, უნდა იცოდნენ იმ სკიპტრით მართვა, რომელიც მათ ბევრით აღმართულა, ვისაც გინდა ეკუთვნოდეს ის. სწორედ ამაშია სიბრძნე და პატრიოტიზმი მშვიდობიანობისას გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე პატრიოტიზმი ომიანობის ქამს, შენ კი უკანასკნელ დღემდე, ვიდრე გარშემო ყველაფერი ცეცხლში არ გაეხვია და ვიდრე თვითონაც არ აგირდი სისხლიანი ცრემლებით, არ იცოდი, რა უნდა უქნა საკუთარ სიტუაციას და საკუთარ სიყვარულსაც...

— შეხედე, — უთხრა ლეანდრმა, — ნახე, ფანჯრის იქით ხე იზრდება. ის მშვიდობას არ ელის, რომ გაიზარდოს. არც მშენებელი ირჩევს ადგილსა და წელიწადის დროს, ან ამინდს, — მზიანს თუ თავსხმაწვიმიანს; ირჩევს შენობის პატრონი. ჩვენი საქმე კი შენებაა. განა ვინმე დაგპირდა მშვიდობას და ბედნიერებას — სახლს, დოვლათით სავსეს, და იმას, რომ ცხოვრების გზაზე ყოველთვის ისე გამოგყვება სიკეთე, როგორც კული მიჰყვება სახედარს? დიომიდე სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, მაგრამ მისი ყველა მორიგი შეკითხვა და ხვეწნა ამათ გამოდგა. ბოლოს და ბოლოს, ლეანდრის ყველა პირობას დათანხმდა და მესამედ დაშორდნენ ერთმანეთს, ისიც კი არ იცოდნენ, კვლავ მოუწევდათ თუ არა შეხვედრა.

ლეანდრი უპატრონო მიწაზე, ციცაბოზე დარჩა, მარგოლმარგო იდგა ნაპირზე და ქარისგან გამოფიგულ ჩონჩხს მოგაგონებდათ.

კიდევ ერთ საყდარს აშენებდა, ღვთისმშობლის სახელობისას, და ელოდა, როდის გამოწოვდა ყინვა მთელ წყალს თევზიდან, რომელიც დიომიდემ დაუგოვა. ძველებურად შუადღისას და შუაღამისას ეძინა და მხოლოდ იმისი ეშინოდა, დროის სათვალავი არ არეოდა. ამჯერად ახლომახლო ჭოგი არსად იყო, რომ გაეღვიძებინა, და ეძინა და ელოდა, რომ შუადღის მზე გააღვიძებდა. მაგრამ ერთხელ მზემ როდი გააღვიძა. გააღვიძა ყელზე ვიღაცის თითების შეხებამ. და ვიღაცის სუნთქვამ, რომელსაც ოხრახუშზე დაყენებული ღვინის სუნი ჰქონდა და რომელმაც აიძულა, საბოლოოდ გამოფხიბლებულიყო და თვალი გაეხილა. შენობასთან, რომელსაც ახლა აგებდა, წითელფლოქებიანი შეკამბული ცხენი

იღგა, მის გვერდით კი თოვლზე იწვა ვეებერთელა ტუკნა, რომელსაც ვიღაცამ სახელი დაუბახა.

ტუკნას პიჩკა ერქვა. ასე დაუბახა მას უცნობის ხმამ და ძალი ლეანდრთან მივიდა. ლეანდრმა დაინახა მისკენ დახრილი ტუკნა, რომლისგანაც ასევე ოხრახუშზე დაყენებული ღვინის სუნი მოუვიდა, თითქოს ისიც ნასვამი ყოფილიყო, და ვეებერთელა, საპნის ქაფივით ჭალარათმიანი თავი. და ლეანდრი იმწამსვე მიხვდა, რომ მის გვერდით ისაიამ ჩაიძუხლა.

— დიდი ხანია, შენზე რაღაც-რაღაცები მესმის, — უთხრა ხმლიანმა კაცმა, — და ახლავე გაიგებ, რატომ გეძებ და შენ რატომ ამოგირჩიე. ისეთი თავებზე მონადირე არ ვარ, რომელიც მხრებს თავს გასართობად ან გამორჩენის მიზნით წააცლის. და ვიბრძვი, ოღონდ არც თურქებისათვის, არც გერმანელებისათვის. ჩემი მიზანი მაქვს.

არ შეიძლება, არ გსმენოდეს იმაზე, თუ რას უშვრებიან მოკვეთილ თავს. როცა კაცს ამ გზით აიძულებ, გამოეთხოვოს სიცოცხლეს, მის თავს გომარაში აგლებ და მასთან ერთად მიღიხარ პირველსავე ღვინის ფარულში, თავს მაგიდაზე დადებ, დავარცხნი, კარგად რომ გამოიყურებოდეს, და სმას იწყებ.

სამი დღე სვამ და თან ელოდები. ელოდები, ჯიუტად ელოდები, მესამე დღეს შენს მაგიდაზე თავი წამოიყვირებს. სამი დღე იმისათვის სჭირდება, რომ მიხვდეს — მკედარია. ზოგს მეტიც სჭირდება, მაგრამ ამის უნარი ყველა თავს არ აქვს და არც ყველა ხმალს. მარჯვე უნდა იყო, როგორც მე, და შეგეძლოს, აირჩიო კარგი ყელი, მაღალი ხორხით, ისეთით, შენ რომ გაქვს, რომელიც პირდაპირ ხმლისთვის არის შექმნილი.

ეს შენთვის, ალბათ, უკვე უთქვამთ და დარწმუნებული ვარ, ხმლიანი მხედრები გამუდმებით თავს დაგტრიალებენ, და გასაოცარია, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ. ძალიან გამიმართლა. არ შეშინდე — ყასაბი არ ვარ, ხელი მსუბუქი მაქვს და სწრაფი — გაფრენილი ჩიგის დაჭერა შემიძლია, ფუტკრის შუაზე გაჭრა. ასეთი რომ არ ვიყო, კარგა ხანია, ჩემგან თმა კი არა, ბალახი ამოიბრდებოდა. აბა, თქვი რამე, რომ მერე შენი ხმით ცნობა შევძლო.

მაგრამ იმ წუთში ლეანდრს შიშისაგან ხმა ჩაუწყდა და ამან გადაარჩინა. შეეცადა, ისაიასათვის თითებით ეჩვენებინა, რომ ლაპარაკი არ შეუძლია, ისაია დამდურულივით წამოხტა, ხმალი მოიქნია და ლეანდრს ყური ჩამოათალა, მაგრამ ლეანდრს არ დაუყვირია.

ყვირილი ყელში ჩარჩა, რაღაც სხვა ღროის მოლოდინში. თითქოს გაქვავდა. მაშინ ხმლიანმა კაცმა გააფურთხა, თოვლზე ვერცხლის მონეტა დააგლო და ცხენი გააჭენა. უკვე ადგილიდან მომწყდარმა მოაძახა:

— ეს შენ — ყურის სანაცვლოდ. და იმისათვის, რომ ამის შემდეგ ყველა ცალყურას დაგიძახებს. ახლა დალდასმული ხარ და იოლად გიცნობ, თუ მეგყველების უნარი დაგიბრუნდება...

აღამიანები, იმისდა მიხედვით, რის დავიწყებას ცდილობენ, სხვადასხვა ჯურისანი არიან. ლეანდრი უძრავად იდგა თავის შენობასთან და ვერ ცნობდა.

ხვდებოდა, რომ ღიღინას დაწინააღმდეგებდა და დაბოროტებდა მაშინ, როცა მისი სული მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთ ადგილას რჩებოდა. ჩანთიდან ხმელი პურის ყუა ამოიღო, რომელიც ჯერ კიდევ გბის ნაპირას აშენებულ მონასტერში დააღობო ძმარში, მერე კი გამოაშრო. ახლა პურის ყუა დაასველა ხელისგულებით გამდნარი თოვლის წყლით და ერთი პეშვი კარგი ძმარი მიიღო და ამ ძმრით დაიბანა. მერე ირგვლივ მიმოიხედა. ყინულის ქვეშ წყალი გადიოდა და მის ხმაურს მიუგლო ყური. ერთგან ყინული ჩაგეხა და რამდენიმე სიგყვა ჩაიხურჩულა. წყლის ხმამ მისი ნათქვამი სიგყვასიგყვით გაიმეორა.

ლეანდრს გაეღიმა. ერთი სიგყვა ბერძნულად თქვა: „თეოგოკოსი“, — და წყალმა გაიმეორა ბერძნული სიგყვა.

„ლათინური რომ მცოდნოდა... — გაიფიქრა ლეანდრმა, — შეეძლებდი, წყლისთვის ლათინურად ლაპარაკი მესწავლებინა“. წყალი თუთიყუშივით იყო. მას სწავლა შეეძლო. „წყლის შიგნითა მხარე“, — გაიფიქრა ლეანდრმა.

უცებ მას გადაუფრინა ჩიგმა ფუგამ, რომელიც საშინელ სიმყრალეს გამოსცემს და ფრენის ღროს ამ სიმყრალით სხვა ჩიგებს ხოცავს. ჩიგმა აიძულა ლეანდრი, კომშარიდან თუ ხიბლიდან გამოსულიყო. ახალგამოღვიძებულივით შეხედა თავის შენობას. მეგყველების უნარი დაუბრუნდა და ისე განაგრძო მუშაობა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. საყდარი რომ დაამთავრა, ისევე აკურთხა, როგორც წინა, და იმ მხარის მცხოვრებთა მესხიერებაში იგი შემორჩა, როგორც „მილკოს მონასტერი“.

უკან დახევა დაიწყო, ღუნაის მიმართულებით, და სადღაც სმედერევის მახლობლად თავისი ამხანაგი იპოვა, დაქანცული და ჩაკარგული ლგოლვილებში, რომლებიც ნაპირთან მოგროვილიყვნენ და არ იცოდნენ, როგორ გადასულიყვნენ მდინარეზე. ლეანდრმა და

ლიომიდემ ცხენი შეჭამეს, მერე ლეანდრმა ამხანაგისათვის ნავი დაიქირავა და გაღმა მხარეს გაუშვა, ავსტრიის ტერიტორიაზე, ერთი ღუქინი ღუქაგითა და განკარგულებით, სლანკამენტან, სრემში, ახალი ეკლესიის საძირკველი და მასალები მოემზადებინა. თვითონ კი ღუნაის ნაპირზე დარჩა და ვიდრე ხალხი, ყველაფერი რომ დაიგაცა, რაც ცოგათი მაინც გამოდგებოდა წყალზე გადასასვლელად, იხრჩობოდა გაცოფებულ მდინარეში, რომელიც, როგორც ამბობენ, პირდაპირ სამოთხიდან მოედინება, გროცკის ახლოს, წყლიდან მოშორებით, მესამე ეკლესიის შენება დაიწყო.

რაინოვაცეში აშენებდა, თლილი ქვით, მიძღვნით კი ღეთისმშობლის შობას მიუძღვნა და, რაც უფრო ბევრით მიიწევდა კედელი, მით უფრო უჭირდა, მარტოკას და დაქანცულს, ქვა ადგილამდე აეთრია. ზოგჯერ მზერას მიაპყრობდა ხოლმე ღუნაის მეორე მხარეს, სადაც ნაპირზე ლგოლვილთა ნავეები ეყარა, აქედან უწესრიგოდ მიყრილ ფეხსაცმელებს რომ მოგაგონებდათ. სამუშაო სულ უფრო და უფრო ნელა მიიწევდა წინ. ბოლო ქვები ლეანდრმა, უკვე მთლად ქანცმიწყვეტილმა, ეკლესიის ზედა ნაწილზე გაცილებით გვიან დააწყო, ვიდრე ვარაუდობდა. ახლა მისთვის ცხადი გახდა, რომ სხვადასხვაგვარი რიგით მცხოვრები ადამიანებისა და ცხოველების მხოლოდ ორი სახეობა როდი არსებობს. მისი ხელები ცხოვრობდნენ და რეაგირებდნენ სხვადასხვა სისწრაფით. ეკლესიის შენებას რომ მორჩა, შენიშნა, რომ მარჯვენა ხელი მარცხენას ჩამორჩება.

ისე ჩანდა, თითქოს თვით მის შიგნით ორი დრო მიედინებოდა — ვენური და არტერიული, რომლებიც ერთმანეთს არ ერწყმოდნენ. იმ დღეებში ქვამ მარცხენა ხელის არათითი დაუჩეჩქვა. ეკლესია მზად იყო, მაგრამ იმ დროისათვის, როცა თურქებმა ღუნაიმდე მიაღწიეს, ლეანდრს აღარც ძალა შერჩენოდა, აღარც დრო, ქვევით რომ დაშვებულყო. საფრიდან ხედავდა, როგორ ამოფრინდნენ მხედრები ღუნაის ნაპირზე. უნაგირიდან არ ჩამოდიოდნენ — ლეანდრმა იცოდა ეს — სამოც საათზე მეტი ხნის განმავლობაში და ახლა, მგრული იმპერიის საზღვართან გასულს, ბევრს ეძინა, კბილებით ფაფარს ჩაფრენილს, ცხენები კი მხოლოდ იმიტომ არ იძინებდნენ, რომ ასოები ძუებით ჰქონდათ განასკვული. ჩანდა, როგორ იღვიძებდნენ, როცა დიდი წყლის სუნს შეიგრძნობდნენ, ჩადიოდნენ მდინარეში, რათა ცხენები დაერწყულებინათ და უნაგირიდან ჩამოუსვლელად მოეფსათ. ლეანდრმა წარმოიდგინა, როგორ მოკლავდნენ ამ შარდით დასველებული ხელებით.

სხვა თურქებსაც ხედავდა, რომლებიც ცხენდაცხენ შელიოდნენ მის ეკლესიაში, ათვალეირებდნენ ლეანდრის დაჩეჩქვილი თითის ნაკვალევს და ფიქრობდნენ, რომ ვიღაცამ უკვე დაასწროთ კვლა და ძარცვა. იმასაც ხედავდა, როგორ გადაწვეს შენობები. ლეანდრი დაელოდა, როდის გაჩაღდებოდა ცეცხლი უფრო ძლიერად და თურქი მხედრები კვამლისა და სიცხისაგან თავის დასახსნელად იძულებული გახდებოდნენ, იქაურობას გამოირებოდნენ, და საყდრის კარიდან გამოფრინდა, გვერდზე ჩაუქროლა გამომვლებულ ხმლებს და წყალში შევარდა. მიცურავდა, თითი პირში ელო, მდინარეს სისხლი რომ არ გამოეწოვა. თურქები გაღლებში ისროდნენ, ეს კი დაძაბულობისაგან, ტკივილისა და შიშისაგან წყალში ოფლიანდებოდა.

როცა მეორე ნაპირზე აღმოჩნდა, უკვე ღამე იყო, მაგრამ ისეთი ნათელი, როგორიც დღე. მის ბურგს უკან, ღუნაის სანაპიროზე, რაინოვაცემი, მისი საყდარი იწვოდა და ვეებერთელა, გახურებული ქვის ნაგებები ერთიმეორის მიყოლებით მოფრინავდა ქვევით, ცვიოდა წყალში, ანათებდა ორივე ნაპირს და შიშხინით ქრებოდა გაღლებში.

ახალ ნაპირზე ლელქაშებში, გალახში ჩაწვა და დაიძინა.

ესიზმრა, რომ ყურზე, რომელიც არ აქვს, საყურე უკეთია და ლერწმის ჩრდილისგან კალათს წნავს, რათა იმით ცეცხლწაკიდებული ჩიგები დაიჭიროს. გაიღვიძა ღრუბლის ჩრდილში, ქრისტიანული იმპერიის საზღვართან, უთითოდ და უყუროდ, მშიერმა, მაგრამ ახლა დამალვა და გაქცევა აღარ სჭირდებოდა, როგორც უწინ.

„კი, — გაიფიქრა, გალახიდან რომ დგებოდა, — ყალიონი, გერმანულად მოლაპარაკისაგან დაღრღნილი, სულაც არ ჰგავს იმას, რომელსაც თურქულად ლაპარაკისას ეწვევიან“.

ცხენით ერთი დღის სავალზე ესმოდა საათის რეკვის და სლანკამენის გოდოლის ზარების ხმა, მაგრამ ქალაქს მიღწეულმა დიომიდე ველარ იპოვა. სასწაულის ძალით აღმოაჩინა ის, ბორკილდაღებული, ციხეში. იეზუიტები ნებას არ რთავდნენ, ეკლესიები აღმოსავლეთ ქრისტიანობის კანონით ეშენებინათ და ამიგომ დიომიდემ ვენიდან სპეციალური ნებართვის გარეშე საძირკვლის ჩაყრა და სამშენებლო მასალების დამზადება ვერ შეძლო. ჯერჯერობით, ის ეჭვმიტანილ პირად ითვლებოდა და ლეანდრს დიდი ჯაფა დაადგა პატიმრობიდან მის გამოსასყიდად. ის, რაც ჩაიფიქრეს, ვერ გააკეთეს. იღგნენ ერთმანეთის პირისპირ, ბოლოს და ბოლოს, საფრთხე აღარ ემუქრებოდათ, მაგრამ იღგნენ



სასოწარკვეთილნი და ჩაკარგულები სამხრეთელი ლგოლვილების ბრბოში, გალღებად რომ აწყდებოდა ღუნაის ნაპირს ბუდიმამდე.

ეს რომ ნახა, ლეანდრი იეზუიტებთან წავიდა და მოითხოვა ნებართვა ნებისმიერ ეკლესიაზე ნებისმიერი კანონის შესაბამისად, რადგან მისთვის მთავარი იყო, ეშენებინა, სხვა დანარჩენი კი არც ისე მნიშვნელოვანი ეჩვენებოდა. უპასუხეს, ეკლესიის მშენებლობისათვის საჭირო თანხის შემოწირვა, რა თქმა უნდა, ახლავე შეიძლება, ოღონდ აღმოსავლეთ საქრისტიანოს ბერმა ჯერ თავის პირვანდელ რწმენაზე უნდა თქვას უარი, რადგან მშენებლობის დაწყებას მხოლოდ მას შემდეგ შეძლებს, რაც ახალ, ერთადერთ ჭეშმარიტ, როგორც თქვეს, კათოლიკურ, პაპის სარწმუნოებას მიიღებს, ამისათვის კი დროა საჭიროო. ამის გამგონე ლეანდრმა პირველად გადაწყვიტა, დალოდებოდა. გაგანია ზამთარი იდგა. კაკლებივით ღიდრონი ვარსკვლავები ღამის ცისფერ ცაზე ისე ბრწყინავდნენ, არც კი ციმციმებდნენ. ორი არმია საზამთრო სადგომებში გაზაფხულსა და ზაფხულს ელოდა, ლეანდრს კი ყური და თითი ეზრდებოდა და ისე სგკიოდა ორ ხმაში, ორმაგი საღამურის ხმას მოგაგონებდათ. წესიერად დასვენებაც ვერ მოასწრეს, ივლისიც დადგა, ის დრო, როცა ღვინო ელჭექისგან უნდა დაიფარო. ჯარებმა მომავალი ბრძოლებისთვის უკანასკნელი მზადება დაიწყეს, ცალყურამ და მისმა ამხანაგმა კი სლანკამენის მინდვრის შუაში კარავი გაშალეს, საზამთროები იყიდეს, რახი დაასხეს, რომ დამბალიყო, თევზი დაიჭირეს და ლოდინს შეუდგნენ.

და, როცა თურქებისა და თათრების ურდოებმა ღუნაი გადალახეს და არნახული ძალის გამოყენებით აიღეს ბელგრადი, შემდეგ კი სრემისკენ დაიძრნენ, ლეანდრი განაგრძობდა ლოდინს, ვინ დაგოვებდა სლანკამენს პირველი: იეზუიტები თუ თვითონ. ნავებით დაუყვნენ ღუნაის ჩრდილოეთისაკენ და გაქცევით უშველეს თავს რავანიცას მონასტრის ბერებმა, თან წაიღეს სერბი თავადის ლაზარ ხრებლიანოვიჩის, მეფე-წმინდანის გვამი. მათ კვალდაკვალ მიჰყვნენ შიშაგოცის ბერები დესპოტ სტევან შტილიანოვიჩის ნეშტით, ბერი ირინეი მახუმსკი და მისი ამხანაგი კი ლოდინს განაგრძობდნენ. მერე ღუნაიზე ბუდიმისა და ვენისაკენ გაცურეს კრუშედოლის ბერებმა უკანასკნელი ბრანკოვიჩების ნეშტებით და ხოპოველმა ბერებმა წმინდა მხედარ თეოდორე გირონის ნეშტით, ხოლო ლეანდრი და დიომიდე სუბოტა სლანკამენის მინდვრის შუაგულში ჯდომას და ლოდინს განაგრძობდნენ. როცა დაცარიელებული სლანკამენიდან იეზუიტებიც წავიდნენ, დიომიდემ, როგორც იქნა,

მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება შეძლო და როცა სლანკამენის მინდორზე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის პატარა ეკლესიის შენება დაიწყო, ის უპირატესობები, რაც მაშინ მოიპოვეს, თურქებს რომ გამოექცნენ, ისევ ხელთ შემოადნათ და სამუშაოდ სულ სამი-ოთხი დღე დარჩათ. როცა ეკლესიის ბარმა დაიგუგუნა და ყველაფერი დამთავრდა, ლეანდრი მეგობარს გადაეხვია და დაემშვიდობა. გულდაწყვეტილმა უთხრა, ამჯერად დაშორება მოგვიწევსო.

ახლა ლეანდრი მარტო იმუშავეს. შემდეგი შენობის აგებას ირინეი ბახუმსკი იმ ადგილებში აპირებდა, სადაც დაიბადა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ კვლავ მოუწევდა ღუნაის გადალახვა, ავსტრიული არმიის განლაგების გადაჭრა, თურქთა მოწინავე რაზმებს შორის გაღწევა და მათ ზურგში გაძრომა. როცა დიომიდემ ამხანაგს ჰკითხა, ჭკუიდან ხომ არ გადასულხარ, უკან, იქ დაბრუნება რომ გადაწყვიტე, საიდანაც ცოცხლებმა ძლივს გამოვალწიეთო, ლეანდრმა პასუხის ნაცვლად ღუნაის სანაპიროს სილაზე მხოლოდ ერთი ასო დაუწერა.

განშორების შემდეგ დიომიდემ ბუდიმში წავიდა და იქ მშვენიერი შენობა ააგო, რომელიც დღემდე დგას, ლეანდრმა კი კიდევ ერთხელ გადაცურა ღუნაი და შეუმჩნევლად შეიპარა თურქების ზურგში, გემი ბოსნიისკენ ეჭირა, სადაც დრენოვიცაში ყრმის ბუბუსმწოვებელი ღვთისმშობლის გაძრომის აგებას აპირებდა. მაგრამ სწორედ ამ დროს, 1691 წლის 19 აგვისტოს, სლანკამენტან საშინელი მარცხის შემდეგ, სადაც უძლეველი მეჰმედ-ფაშა ჩუპრილიჩიცი დაიღუპა, თურქული არმია, როგორც ვეებერთელა გალდა, ღუნაიდან უკან, სამხრეთისაკენ დაეშვა. გზად, ოლონდ ამჯერად საწინააღმდეგო მიმართულებით, ის კვლავ გაცოფებული სპობდა ყველაფერს. ასე აღმოჩნდა ლეანდრი კიდევ ერთხელ ხმლებს შორის, ისევ იმავე მდგომარეობაში, როგორშიც აქამდე გამუდმებით იყო: ის გარბოდა და აშენებდა, აშენებდა და გარბოდა.

არსებობს მოვლენა, რისთვისაც შეიძლებოდა, მდინარეების წყლით დამწერლობა გვეწოდებინა. ყოველ მდინარეს თითქოს საკუთარი ხელწერა აქვს: მდინარეები წერენ ცალკეულ ასოს და გოვებენ ცნობას, რომელსაც მხოლოდ ჩიგები ხედავდნენ, დიდ სიმაღლეზე აფრენილები.

რადაც მსგავსი დაწერა ლეანდრმაც თავისი მოგზაურობების ქაშს. საყდრებს, რომლებიც მან ააშენა და დატოვა, უჩვეულო თვისება ჰქონდათ. მათ აერთიანებდა ერთი აბსოლუტურად სწორი ხაზი, ხოლო მათი მოძებნა ყველაზე ადვილი იყო განსაზღვრული გრაფიკორიის

დახმარებით, რომელიც, თავის მხრივ, არის ჯერარნახულ ზომამდე გაზრდილი მოხაზულობა ბერძნული ასო თეგასი, რითაც სიგყვა ღვთისმშობელი იწყება.

ეს იყო სწორედ ის ასო, რომელიც ლეანდრმა სიემაწვილეში წერის ერთადერთ გაკვეთილზე ისწავლა და რომელიც პელაგონიის ხატზე ამოიწყო. ასე დაგოვა მან ჩანაწერები ჟიჩის, მორავიის, სმედერევის, სლანკამენის და ღრენოვიცას მიწებს შორის, როცა თავისი სამშობლოს თვალუწვდენელ სივრცეში გამოსახა მისგან ნასწავლი ერთადერთი ასო მისთვის მისაწვდომი ერთადერთი საშუალებით — ღურგლის ნაჯახით.

## ლეანდრი

ამდენი ხეგიალისა და შრომის შემდეგ, ოფლითა და ორი მეომარი არმიის ხმლებზე ფიქრის შიშით ყელამდე მაძლარი, გაბებრებული ჩაის სმით, რომელიც მხოლოდ ფუნდუკში მოხვედრილი ყრუებისთვის თუ გამოდგება, ფუნდუკში, სადაც გინება მუდმივი კერძია, მდილისაგან შეჭმული თმით, წერა-კითხვის უცოდინარი, უყურო და გამოუძინებელი დაბრუნდა ლეანდრი მამასთან, ბელგრადში, რომელშიც, როგორც უთხრეს, კვლავ ავსტრიის არმია იდგა. ქალაქში წლის წვიმიან სემონში ბრუნდებოდა, ფეხით თელავდა ლოკოკინებს, გზაზე ყოველ ნაბიჯზე რომ ხვდებოდნენ და ფეხქვეშ მინასავით იმსხვრეოდნენ. ბრუნდებოდა ბელგრადში და იმაზე ფიქრობდა, რომ თუ კარგად დაუკვირდებოდა, სრულებით არ იცნობდა მამას.

ის ცოცხალი დახვდა, მაგრამ მარტოდმარტო, და გამუდმებით ელაპარაკებოდა თავის ყველასათვის უცნობ და დიდი ხნის გარდაცვლილ თანატოლს.

შვილის ნახვა როგორღაც უცხოსავით გაუხარდა.

— ბერდები, როგორც ღვინო ან ბუხარული ხალიჩა — რაც ძველია, მით უკეთესია, ოღონდ გაფრთხილდი, იმდენად არ დაბერდე, სწავლა ვეღარ შეძლო.

საღამოობით, ჭერზე ჩამოკიდებულ სათევზაო ბადეში რომ იწვა, მამა ფიქრებსა და მოგონებებში ასწორებდა თითქმის ყველა სიგყვას, რაც ახალგაზრდობაში ეთქვა. უნდოდა თავიდან გაეელო მთელი ცხოვრება, ყველა წელი და ათწლეული, გადაერჩია ყველა კითხვა

და ყველა პასუხი, შეესწორებინა ისინი ყველგან, სადაც საჭირო გახდებოდა, და ენახა, როგორი იქნებოდა ეს ცხოვრება ამ შესწორებების გათვალისწინებით.

დილდილაობით კი მცურავ საავედმყოფოში მიდიოდა, სავის ნაპირთან, ლუბაზე რომ იდგა, სადაც რაღაც საიდუმლო საქმეები ჰქონდა. წერა-კითხვა იცოდა და ასო „ა“-ს ნაცვლად ყოველთვის ჯვარს დასვამდა ხოლმე, მაგრამ ლეანდრისათვის კითხვისა და წერის სწავლება არ შეეძლო. რუეიცის ეკლესიაში ფსალმუნების გალობის სასწავლებლად დაჰყავდა და ამბობდა: „ფეხი საბნის სიგრძეზე გაჭიმე“. ლეანდრმა კი, იმავე ირინეი მახუმსკიმ, როგორც ეკლესიაში გაირკვა, გალობა სხვებზე შეუდარებლად უკეთ იცოდა. ოღონდ მამას ამაზე არანაირი გაოცება არ გამოუხატავს, ისევე, როგორც, სხვათა შორის, ინგერესი იმის მიმართ, თუ რა ხდებოდა მისი ვაჟის თავს მთელი იმ წლების განმავლობაში, როცა ქალაქში არ იყო. ერთი სიგყვით, მამა-შვილმა ერთმანეთზე არაფერი იცოდა.

ღროთა განმავლობაში ლეანდრმა აღმოაჩინა, რომ მამას სახელი არ აქვს, გამვლელები კი, როგორც ნაცნობები, ისე უცნობები, რაც თავში პირველად მოუვათ, იმას ეძახიან და ისიც ნებისმიერზე ერთნაირად ეპასუხება.

ისე ჩანდა, რომ მამა, უბრალოდ, ყურებადღეა ჩაფლული სახელებში, რომ ის თითქმის ჩაიკარგა ყველა იმ სახელში, რომელსაც ადამიანები მიაწებებდნენ ხოლმე მოგჯერ სულაც იმ მიზნით, რომ დაემცირებინათ. მამა ასეთებზე მიუთითებდა ხოლმე და აფრთხილებდა: „არიან ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრება პერანგს სახელოებით აბრუნებენ, მათგან შორს გეჭიროს თავი“. ის ლეანდრს საზღვაო ნასკვების კეთებას ასწავლიდა და უამრავ წითელნასკვიან სათევზაო ბადეს რომ კემსავდა, ამბობდა:

— შეხედე ამ ნასკვებს, ისინი ისეა ჩაწნული, რომ თოკი თვითონვე იმაგრებს თავს თავისსავე კუდზე და ნასკვს გახსნის საშუალებას არ აძლევს. როგორც უნდა გაჭიმო, არ დაგემორჩილება, რადგან თვითონვე იგანს ძალას. ასევეა ადამიანებშიც. მათი გზები ისეთი კვანძებით არის დაკავშირებული, რომ ერთმანეთის მიმართ გარეგნულ სიმშვიდესა და საზღვრების ხელმეუხებლობას ინარჩუნებენ, არადა, სინამდვილეში, უკანასკნელ მღვრამდე არიან დაჭიმულნი, როგორც ბადის კვანძები, როცა მას, თევზით სავსეს, წყლიდან ითრევენ. იმიტომ, რომ თითოეული იმას აკეთებს, რაც შეუძლია და არა იმას, რისი გაკეთებაც უნდა. მაგალითად, შენ, შვილო, მაგრად მომეღილი ხარ.

ძლიერი სისხლი გაქვს, ბევრი შეგიძლია. მაგრამ ეს არ კმარა. შენ და შენს თაობას მოგისაჯეს არა მეფობა, არამედ მორჩილება და მოჯამაგირეობა და თქვენთვის სულერთია, ვისთვის მოგიწევთ მუშაობა — თურქისთვის თუ გერმანელისთვის. შენ ვერც იმის სიმღერას შეძლებ, რაც გინდა. შენი გვინით ვილაც სარგებლობს, როგორც არღნით და აიძულებს მას, იმღეროს...

ლევანდრი, რომელსაც ამგვარი ბედისწერისა არ სჯეროდა და აკვირვებდა მამის გულგრილობა ყოველივე იმისადმი, რაც მის თავს მთელი ამ წლების განმავლობაში, ბელგრადში დაბრუნებამდე, ხდებოდა, ღროღადრო ისევე ნაჯახს მიუბრუნდებოდა. ჯერჯერობით ამას თავისებურად და სიამოვნებით აკეთებდა. სულ უფრო ხშირად მიდიოდა იმის სანახავად, როგორ ღებოდა ფერფლიდან ხელახლა მშენებარე ქალაქი.

ბელგრადი თითქოს იმ წყლიდან გამოდიოდა, ლევანდრის ფიქრმა რომ შვა, მისმა წარმოსახვამ რომ დახაგა.

იჯდა მდინარის ნაპირზე, ციხესიმაგრეში, და, ჩვეულებრივ, თვალს ადევნებდა მიწისკენ ქვასავით დაშვებული რომელიმე ჩიგის ფრთებს, შემდეგ კი უფლებას აძლევდა საკუთარ მზერას, მასთან ერთად გადაექროლა მშენებარე ქალაქზე, რომლის ქვის კბილებიც ორი მდინარის ნაპირებზე მიწიდან იზრდებოდა. არაფერი გამოეპარებოდა ჩიგზე ამხედრებულ მზერას, არაფერი რჩებოდა შეუმჩნეველი და ბადე, ჩიგის გაფრენისგან მოწნული, თანდათან შემოეხვია მთელ ძველ ქალაქს, მის ყოველ კუთხე-კუნჭულს, ლევანდრი კი, მოუთმენლად აცახცახებული, თითქოს ყლაპავდა ყველა წვრილმანს, რაც კი მისი მხედველობის არეში მოექცეოდა. ხელავდა ნებოიშის კოშკს, რომელიც ერთდროულად ირეკლებოდა სავაშიც და ღუნაიშიც და რომლის ფანჯრებიდანაც შეგებლო, დაგენახა ცის ნაგლეჯი გაღმა ნაპირზე, რომელსაც კოშკი თვითონვე ფარავდა. მზერა აღწევდა ბელგრადის სამრეკლოებამდე, რომელთა მარების ხმაც ორ იმპერიას ესმოდა, ხოლო როცა ჰაერის ნაკადი ჩიგს ბელგრადის დამპყრობლის, კარლ VI-ის პაგივსაცემად სულ ახლახან აშენებული გრიუმფული თაღისკენ მიაქროლებდა და ჩიგიც, ხეობისგან დამფრთხალი, ცაში აიჭრებოდა, მზერა მასთან ერთად მიფრინავდა. ცდილობდა, მის ფრთებს არ ჩამორჩენოდა, აღიოდა რუჟიცის ეკლესიამდე და ქალაქის ჭიშკართან წვდებოდა კანონების მაუწყებელს, რომელიც ღოღს ურახუნებდა და თუმცა მისი სახის დანახვა შეუძლებელი იყო, სამაგიეროდ, შეიძლებოდა, გადაგეთვალა მისი განსაცმლის ყველა დილი, მზებზე რომ ბრწყინავდა.

ლევანდრის შიშისგან გაყინული მზერა ეცემოდა ციხესიმაგრის მისაღვომებთან, იქ, სადაც საძოვრები იწყებოდა და ხელაფდა: ქვის საფეხურებით ქვევით ჩასული პროხები ჩალით გადახურული პაგარა სახლის ბოსგანში გადასულიყვნენ და ხახვს წიწკნიდნენ. სწორედ ამ ხახვის სუნი ექნება ხვალ მათ რძეს.

და კვლავ თვალებში აცივლივდებოდა სავის ცისფერი წყალი, ახალი სახლების რიგები, შესასვლელების თითბრის სახელურები, რომლებსაც ხელს ჰკიდებს ის, ვინც ფეხსაცმელს ფეხქვეშ მოქცეულ რკინის საფხეკზე იწმენდს. მერე მოულოდნელად პანჩევოს ბევით აღმოჩნდებოდა და ხელაფდა მწარე ბალახმოდებულ ადგილს, რომელსაც ნახირი გვერდს უვლიდა. აქ შეიძლებოდა, გეგრძნო, როგორ აბრუნებს ქარი ღუნაის წყალს უკან, მწყობრად მიმავალი ჯარისკაცების მწკრივისკენ, რომელთა ხიშტები ისე ბრწყინავდა, რომ სველი გეგონებოდათ. ქალაქში, რომელსაც როგორც ავსტრიელები, ისე სერბები სწრაფი ტემპით ამაგრებდნენ, ბევრი საათი იყო, რომელთა რეკვაც, ერთმანეთს რომ ეხმიანებოდნენ, გადაურბენდა ხოლმე ქალაქის თავის რეზიდენციას, იმდენი ფანჯარა რომ ჰქონდა, რამდენიც დღეა წელიწადში. ახალი დახლები საქონლის მომღვავეებისგან იმგვრეოდა, ეკლესიების თავზე სამი სარწმუნოების ჯვრები ბრწყინავდა, ლამამგალავნიანი ეზოები სავის ორივე ნაპირიდან იზიდავდა ბულბულებს, ბალებთან დაქროდნენ და კოკისპირულ წვიმაში, სულ ორ-სამ ქუჩაზე რომ ასხამდა, შედიოდნენ ეგლები. მერე კვლავ თვალში ხვდებოდა პაგარა ღრუბელი, ცოგაოდენი ლელქაში და ნისლი, რომელიც სავაზე მიცურავდა და ღუნაის თავზე უფრო ღრმა და სწრაფ ნისლში ერეოდა. მეორე მხარეს მოჩანდა მზის ირიბი სხივები, რომლებიც გყეში აღწევდა და ლევანდრი გრძნობდა მათ მბოლავ, ხან ცივ, ხან ცხელ სუნს.

და მზერა კვლავ ქალაქზე მისრიალებდა: ხელაფდა, როგორ ამთავრებდნენ მშენებლები ღებროვნიცის ეკლესიას — ღურგალი მოქნეულ ნაჯახს ხეში არჭობდა, ოღონდ ღარგემის ხმა მხოლოდ მას შემდეგ ისმოდა, როცა ნაჯახს ისევ ამოსწევდა. ასე რომ, ხმაურსა და მის წყაროს შორის ჩიგი გაფრენას მოასწრებდა. მერე ლევანდრი ხელაფდა, როგორ გააბრაზა ქარმა ჩიგი, მისთვის საჭირო მიმართულებიდან შორს, სხვა მხარეს რომ გაიგაცა, და როგორ დაჰკრეს სადღაც, მის ქვევით, ბარს, თუმცა ხმამ ცოგა მოგვიანებით მოაღწია, თითქოს ნაყოფი თავის რკინის გარსს მოსწყდაო. ხელაფდა, როგორ თრთოდა ეს ხმა, როცა ჩიგთან ერთად გადაუფრენდა მდინარეს, და როგორ ხვდებოდა ავსტრიის არმიის ცხენებს, რომლებიც სავის მეორე ნაპირთან, მდელბოზე, ყურებს აპარგყუნებდნენ. ამის მერე იმისთვის

თვალის ღვეწვებაც შეეძლო, რეკვის ხმა, ღრუბლის ჩრდილის მსგავსი, როგორ დაეწია მწყემსების ჯგუფს ზემუნთან და მის გაგონებაზე როგორ შემობრუნეს თავები ბელგრადისკენ, რომელიც მდინარის აქეთა სანაპიროზე ისევ სიჩუმეში ჩაეფლო. მერე კი ჩიგი ელვისებური ფრენით ცას სარჩულივით გამოაკრავდა იმ სამყაროს, რომელშიც თითქოს ბადეში გააბესო. ლეანდრი იწვა.

საკმარისი იყო, ქალაქის თუნდაც ერთი კარი გაეღოთ, ბელგრადში მაშინვე შემოცვივდებოდნენ თურქი ცხენოსნები და ხმალმომარჯვებული თავებზე მონადირეები, რათა ეს საგანძური, ურყევად რომ იდგა მათი სამყაროს საზღვარზე, თვალის დახამხამებაში ექციათ ნანგრევებად და კვამლად. ლეანდრმა არ იცოდა, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ის უკანასკნელი კაცი იყო, ბელგრადის ციხესიმაგრედან რომ ათვალაიერებდა ქალაქს, რომელიც სულ რამდენიმე წელიწადში უკვალოდ და სამუდამოდ უნდა გამქრალიყო.

იმავე წლის ოქტომბერში მამამ ლეანდრი რუსების შემოსვლის საყურებლად წაიყვანა. ლეანდრი მოელოდა, რომ ჩექმებში შუბებჩარჭობილ ცხენოსნებს ნახავდა, მაგრამ არმიის ნაცვლად სამცხენშებმული მარხილი დაინახა, რომლიდანაც ერთადერთი ვეებაქურქიანი კაცი გადმოვიდა. უცნობს ცხვირის ნესტოებში რეჰანის ორი რგო შეერჭო. კაცი მარხილიდან გადმოვიდა და პირდაპირ მიგროპოლიგის სახლისკენ გასწია. უკან თანამგზავრი გაჰყვა მანდუკითა და ხაგით. მეგი არაფერ იყო.

— ეს შენი მასწავლებელი იქნება, — უთხრა მამამ, — წერას გასწავლის.

მოითხოვა, ყველა გამომიგზავნეთ, ვინც ეკლესიაში ფსალმუნებს გალობსო. ნუ შეშინდები, შენ გარდა სხვაც ბევრია წერა-კითხვის უცოდინარი, ვისაც ომმა მთელი ცხოვრება აუწეწა. და ისინი მასწავლებელზე ბევრად უმცროსები არ არიან; ოღონდ ერთი რამ უნდა დაიმახსოვრო: განათლებული წიგნს ჩაჰყურებს, მეცნიერი — ბრძენს, ბრძენი კი ან ცას მისჩერებია, ან კაბის ქვეშ იყურება, რაც უსწავლელსაც შეუძლია...

ასე დაიწყო ლეანდრმა წერა-კითხვის, ლათინურისა და ანგარიშის შესწავლა. მეცადინეობის პერიოდში მაქსიმ გერენტიევიჩ სუვოროვმა — ასე ერქვა რუს მასწავლებელს — თავისი მოსწავლეების თვალწინ დაკარგა თმის ყველა ღერი. რაღაც შინაგანი უძრავი დაძაბულობის გავლენით შუბლი ისე დაუნაოჭდა, როგორც წინდა, კანი კი ისე გაუთხელდა, რომ ცისფერი თვალები დაშვებულ ქუთუთოებშიც გამოსტვიოდა. გაკვეთილებზე ლოყებთან მოუჩანდა

მოძრავი წითელი ენა, შესვენებისას კი შეიძლება, გარკვევით დაგენახათ სადღაც, ყურებქვემოთ, როგორ კანკალებდა ენა უკრაინული ქარებისგან, რუსის პირში რომ ბობოქრობდნენ.

— ჩვენ, ყველანი, აქ უროსა და გრდემლს შორის ვართ მოქცეული და მაგარ ცომს ვზელთ, — ეგყოდა მოსწავლეებს გაუგებარ, ნახევრად სერბულ ენაზე, რომელიც როგორც მიაჩნდათ, მისი მეფის ენა იყო. ეს უცხოელი მცირეოდენი ხნით მხოლოდ ლათინურის გაკვეთილებზე თავისუფლდებოდა შიშისგან და შთაგონებით ასწავლიდა დამახსოვრების ხელოვნებასა და მნემოტექნიკას, დემოსტენესა და ციცერონის სიტყვების მაგალითებზე რომ დაემუშავებინა, რისთვისაც დიდ რვეულს იყენებდა, რომელზეც, როგორც ლეანდრმა შეამჩნია, ეწერა: Ad ჰერენნიუმ.

ტექსტის დასამახსოვრებლად, როგორც რუსი მასწავლებელი ურჩევდა, უნდა მოეგონებინათ, როგორ გამოიყურებოდა მათ გზაზე ჩამწკრივებული შენობებიდან ერთ-ერთის ფასადი, რომლის გარეგნული იერიც მათ მეხსიერებაში ილექებოდა. მერე უნდა წარმოედგინათ, რომ რიგის მიხედვით აღებდნენ ამ შენობის ყველა ფანჯარასა და კარს და ყოველ ნახვრეტში, სათოფურებისა და მისაყურადებელი სარკმლების ჩათვლით, ჩაილაპარაკებდნენ ციცერონის რომელიმე გრძელ ფრაზას. ამგვარად, როცა წარმოსახვით შემოუვლიდნენ ყველა შენობას და თითოეულ ფანჯარასთან თუ კართან თითო ფრაზას იტყობდნენ, შესაძლებელი ხდებოდა, წარმოსახული გასეირნების ბოლოს დაგემახსოვრებინათ და, მეტიც, განსაკუთრებული დაძაბვის გარეშე გაგემეორებინათ მთელი სიტყვა.

ასე დაიბეპირეს ბელგრადის სერბულ-ლათინური სკოლის მოსწავლეებმა ციცერონის მთელი სიტყვა „In გატილინამ“, მერე კი მასწავლებელმა ერთი მშვენიერი ბერძნული პოემის ლათინური თარგმანი მოიგანა და მათ ისიც უნდა დაემახსოვრებინათ.

ეს ლექსები ვინმე მუსეოს გრამატიკოსს შეეთხზა, როგორც ჩანს, ქრისტიანს, ლამის ათას წელზე მეტი ხნის წინ რომ უცხოვრია, და „ჰეროსა და ლეანდრის სიყვარული და სიკვდილი“ ეწოდებოდა. ავტორს პოემა ბერძნულად დაუწერია, ხოლო ლათინური თარგმანი, როგორც რუსი უხსნიდა, ვენეციაში გამოქვეყნდა, 1494 წელს. სწორედ მუსეოსის რომანის წყალობით მიიღო ცნობილი ქვისმთლელების შთამომავალმა, უკვე უყურო და არც ისე ახალგაზრდა რადაჩა ჩიხორიჩმა, ახალი, რიგით მეექვსე სახელი. ეს კი, აი, ასე მოხდა.

რუსი მასწავლებელი მოსწავლეების სახელებს ვერ იმახსოვრებდა.



განსაკუთრებული გაჭირვება აღვა მათ შორის ყველაზე უფროსის, რაღაჩა ჩიხორიჩის სახელის წარმოთქმისას. ერთხელ გაკვეთილზე იკითხა, რა წინააღმდეგობას ხედავთ ორ საყვარელს, ჰეროსა და ლეანდრს შორისო (რომელიც ყოველდამ ანთებული კანდლის შუქის მიმართულებით მიაპობდა ზღვის გაღლებს და კოშკისკენ მიცურავდა) და სულ უფროსმა მოსწავლემ, რომლის სახელის წარმოთქმაც მასწავლებელმა არ იცოდა, მოულოდნელი პასუხი გასცა. საქმე ის არის, რომ კონსტანტინოპოლში მოგზაურობებისას რაღაჩა ჰელესპონტშიც მოხვდა, სესტი გაიარა და იქ თანამემამულე ციმბალისგებთან ერთად ისწავლა ბერძნული სიმღერა ჰეროსა და ლეანდრზე. ერთხელ კი იქვე ვიღაცამ ინსტრუმენტში მონეგის ნაცვლად ჰეროსპროფილიანი ნამცეცა კამეა ჩაუგდო. მან იცოდა, რომ ევროპას აზიისგან გამოყოფს არა მარტო წყალი, არამედ ქარიც, ანუ დრო. ამიტომ მასწავლებელს უპასუხა, რომ შესაძლოა, ჰეროსა და ლეანდრს ერთმანეთს აშორებდა არა უბრალოდ წყალი; ერთმანეთისკენ მიმავალ გზაზე მათ რაღაც სხვაც უნდა გადაელახათ. ამასთან, ის ფიქრობდა გოგონაზე, რომელთან შერწყმაც ვერ შეძლო ოხრიდის გზაზე, ნავის ფსკერზე.

— კი, მაგრამ, რა შეიძლებოდა, ყოფილიყო ეს, თუ არა წყალი, ერთი იმ ოთხ ელემენტთაგანი, რომლითაც აგებულია სამყარო? — გაოცდა რუსი მასწავლებელი, რაზეც ყველაზე უფროსმა მოსწავლემ მშვიდად მიუგო:

— შესაძლოა, ის, რაც ჰეროსა და ლეანდრს აშორებდა, იყო დროისა და არა წყლის გაღლები.

შესაძლოა, ლეანდრი, როცა მიცურავდა, გადალახავდა დროს და არა — წყალს.

ამ პასუხზე კლასში სიცილმა იფეთქა, ხოლო რაღაჩა ჩიხორიჩს ამ დროიდან სამუდამოდ მიეწება სახელი ლეანდრი. რუსი მასწავლებელიც ასე ეძახდა. მოსწავლე არ ბრამობდა, ბეპირად დაისწავლა პოემა ჰეროსა და ლეანდრზე და სადამოობით, პაგრიარქის სახლის ფანჯრებს რომ ჩაუვლიდა, სადაც მოსწავლეებისთვის უკვე დგამდნენ მერხებს, ქვედა დაფაზე პაგარა ნახვრეგებით, ციცერონის სიტყვების ნაცვლად გამოთქმით კითხულობდა ამ ნაწარმოების ნაწყვეტებს. ბერძნულადაც და ლათინურადაც.

საქმე ის არის, რომ იმ დროს მოსწავლეებმა სიამოვნებით დაიწყეს ბელგრადში მშენებარე მიკროპოლიგის სასახლესთან მისვლა და დათვალიერება სასახლისა, ორმოცზე მეტი ოთახი და დარბაზი რომ ჰქონდა.

სწორედ ამ სასახლეს იყენებდნენ ლეანდრი და მისი სკოლის ამხანაგები რუსი მასწავლებლის სისტემით ვარჯიშისთვის. ყოველ დილას, სკოლისკენ მიმავალ გზაზე, და ყოველ საღამოს, დაძინებამდე, კარის საკეცებში, კაბინეტებში, სამუშაო დარბაზებში, საგრაპეზოში ფიქრში იმეორებდნენ დავალებიდან ერთ-ერთ ფრაზას. როცა ჩაუვლიდნენ ბიბლიოთეკას, რომელსაც ცალ-ცალკე ორი ბოქლომი ელო იმისთვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი მხოლოდ გარედან ან მხოლოდ შიგნიდან დაკეცვა, ან მიკროპოლიტის საწოლ ოთახს, რომლის ფანჯრებიც დასაველეთისკენ გადიოდა, და მისი თანამემწეებისა და სტუმრების საძინებლებს, აღმოსაველეთისკენ რომ მოექციათ იმისთვის, რომ ახალგაზრდები უფროსებზე აღრე ამღვარიყვნენ, მოსწავლეები დეკლამირებას იწყებდნენ: „სად ვართ ჩვენ ამ სამყაროში? რომელ ქალაქში ვცხოვრობთ? აქ, ჩვენ შორის, არიან ისინი, ერთად თავშეყრილი მამები, რომლებიც ფიქრობენ ყველას დალუპვაზე, ქალაქის აღსასრულზე...“ და ასე, თანდათან და შეუმჩნევლად, სიგყვა მესხიერებაში იბეჭდებოდა. „...ქუილ ენიმ მალი აუგ სცელერი ფინგი აუგ ცოგიგარი პოგესტ, ქუილ ნონ ილლე ცონცეპერიგ? — „მემკვიდრეობა გაანიავეს, ქონება ათასგზის დააგირავეს, ფული კარგა ხანია, ხელში შემოაღნათ, მალე კი რწმენაც გაქრება, თუმცა კვლავ იგივე მისწრაფება აქვთ, რაც სიმდიდრისას...“

შენობა ჯერ კიდევ არ დაემთავრებინათ, შიგ ნელ-ნელა სახლდებოდნენ, ფრთა ფრთაზე ივსებოდა.

მაღალ, გუმბათოვან თაღებს, შენობას რომ აერთიანებდა, როგორც სასწორის ორ პინაზე, ისე ეჭირა ძვირფასი, მდიდრული ბუხრები და ლუმელები, დაფარული ყვავილებისგამოსახულებიანი ამურებით, ხავერდისა და ფარჩის ქსოვილები, კარლსბადური, ვენური და ინგლისური ფაიფურის ჭურჭელი, ლაიფციგური ვერცხლის დანა-ჩანგალი, ჩეხური ბროლისა და ფერადი, გაპრიალებული მინის ბოკლების ნაკრები, ვენეციური ლამპები და სარკეები, მუსიკალური საათები და მამაკაცის აბრეშუმის წინდებით სავსე კომოდები. „ამიგომ მოდი და გამათავისუფლე ამ შიშისგან: თუ ის ნამდვილია, მაშინ ნუ მგანჯავს, თუ ყალბია, მაშინ, ბოლოს და ბოლოს, გამიქრეს შიში“, — როგორც თხოვნა, ისე ჟღერდა ლათინური ფრაზები. სწავლა დასასრულს უახლოვდებოდა და ისე ჩანდა, რუსი მასწავლებელი ნაწილებად დაიშლებოდა ბელგრადთან მდგარი იმ მონასტრებივით, რომელთა ნანგრევებზე უკვე ხეები ამომზრდილიყო. როცა სწავლა დაამთავრეს და რუსი

მასწავლებელი უკან, სრემში გაბრუნდა, ლეანდრი სასწავლებლად შევიდა უნგეროფიცრების ავსტრიულ სამხედრო-საინჟინრო სასწავლებელში.

ხოლო როცა სწავლა ამ სკოლაშიც დასასრულს მიუახლოვდა, ქალაქში ხმა დაირხა, სავაზზე გამავალი ჭიშკრების ადგილზე ორი ახალი კოშკის აგებას აპირებენ იმათ ნაცვლად, რომლებიც 1690 წელს დაანგრიესო. აქედან ერთ-ერთის, ჩრდილოეთის კარიბჭის აშენება გამოცდილ მშენებელ სანდალ კრასიმირიჩს დაეკისრა და მან უკვე საძირკველის ჩაყრაც დაიწყო. რაც შეეხება მეორეს, სამხრეთის კოშკს, აქ საქმე არც ისე იოლად იყო. სანდალის ყველა ამხანაგმა, რომლებიც იმ დროს ბელგრადში შენობებს აგებდნენ, უარი თქვა ამ სამუშაოზე, რადგან მეორე კოშკი ჭაობიან ნიადაგზე უნდა აღემართათ.

— უიმელო საქმეა, — ამბობდნენ ისინი.

ასე რომ, საქმე ადგილიდან არ იძროდა.

როცა პირველი კოშკის მშენებლობის დაწყებიდან საკმაო დრო გავიდა, ერთ დილას ცნობილი გახდა მოულოდნელი ახალი ამბავი.

იმ დღეს, განთიადისას, ლეანდრი მათრობელა სურნელმა გააღვიძა, მის სახლში გარედან რომ აღწევდა. ეს მამამისი შარდავდა და მისი შარდი, როგორც ყოველთვის, მუშკის, გამბახებით გადაპენგილი ბალის თუ სანდალომის ხის უმკვეთრეს სუნს გამოსცემდა. და ეს აღმაფრთოვანებული სურნელებანი არა მარტო შინაურებს აღვიძებდა, არამედ მეზობელი სახლების ბავშვებსაც.

— ჩიხორიჩს ისევ სიბრძნის შემოგევა დაეწყო, — ამბობდნენ ასეთ დროს.

და, მართლაც, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ლეანდრის მამა ბრძენი იყო, ოღონდ მანამ, სანამ შარდავდა.

იმ დილით მამა სანდალომის სუნს თხევადი სახით ავრცელებდა და შვილს ეჯუჯუნებოდა:

— ახალგაზრდა ვაჟკაცი ხარ და ბებერ მათხოვრად კი იქეცი! თითქოს მესამე ღამეს არ გაგიფრთხილდნენ, დაგვიფარე, ღმერთო! ვის დაუკავშირდი და რა გინდა! ერთი გადააგდე, მეორე ვერ მოიძიე...

ასე მიხვდა ლეანდრი, რომ მამამ ყველაფერი იცის, ხოლო, რაკი მამამ იცის, იცის მთელმა ქალაქმა. იცის, რომ სწორედ ლეანდრი ემზადება სამხრეთის კოშკზე მუშაობის დასაწყებად. და ეს ნიშნავდა, რომ იგი იქცა ცნობილი სანდალ კრასიმირიჩის მეგობრად, რომელიც ისეთი

უძლეველი იყო, რომ სავასა და ღუნაიზე ჩიგები თევზს ბაღეში უღენიღნენ, ცხენებს კი შეეძლოთ, სამ ენაზე ეჭიხინათ მისი სახელი.

სანდალ კრასიმირიჩი გაცილებით უფროსი იყო ლეანდრზე, ასაკით მამად შეეფერებოდა. მღვთმარეობით კი ლეანდრი მოსამსახურედ გამოადგებოდა.

კრასიმირიჩი ბელგრადში 1717 წელს შემოვიდა ავსტრიის არმიასთან ერთად, გყავის ჩაფხუგით, რომელიც ნიკაპქევმ იმდენი ხნის წინ შეეკრა, რომ როცა სამხედრო წარმატებებთან განშორების დრომ მოუწია, წვერის შეკრეჭა დასჭირდა. მას შემდეგ, რაც ეს გააკეთა და, ბოლოს და ბოლოს, თავშიშველი დარჩა, აღმოჩნდა, რომ სულ მთლად გაჭაღარავებულიყო. ჯერ კიდევ ომიანობისას ჩარიცხეს ავსტრიის არმიის საინჟინრო ჯარებში, რომლებიც მცურავ ხიდებს აგებდნენ, ხოლო ბელგრადში ჩასული შვეიცარიელ ნიკოლა დოკსაგს შეუერთდა, რომელიც ავსტრიელებს ქალაქის კედლებისა და კოშკების აღდგენით სამუშაოებზე დაექირავებინათ. ამ საქმეში სანდალ კრასიმირიჩს სხვა რამ მომზადება, გარდა იმისა, რაც საბრძოლო ლაშქრობებში მიეღო, არ ჰქონია, მაგრამ მან მშვილობიანობის ჟამსაც შეძლო სამხედრო ხელმძღვანელობის ნდობის გამართლება, რის შემდეგაც რამდენიმე პაგარა ღენტის საწყობისა და ქალაქგარეთ მსუბუქი სიმაგრეების აშენება მიანდევს. და თუმცა იმ შემოდგომაზე წვიმები კასრებს უფრო სწრაფად ავსებდნენ, ვიდრე მუშები მათ დაცლას მოასწრებდნენ, სამუშაო ბოლომდე მიიყვანა. ომის შემდგომ მზარდ ქალაქში მის ხელობაზე სულ უფრო დიდი მოთხოვნილება გაჩნდა და ისიც თანაშემწევებთან ერთად სულ უფრო და უფრო სცილდებოდა საკუთარ სახლს, მსგავსად ასო „რ“-სი, რომელიც, იანვრიდან მოყოლებული, თვეების სახელებში სიგყვის ბოლოდან სულ უფრო ახლოს მიიწევს დასაწყისისკენ.

— იმ თვეებში, რომელთა სახელებშიც ძვალი არ არის, შინ არ მელოდო, — ეგყოდა კრასიმირიჩი ცოლს და, მართლაც, როცა თვის სახელწოდებიდან ქრებოდა ასო „რ“, ვერც სანდალს, ვერც მის დამხმარეებს შინ ვერ ნახავდით და ასე გრძელდებოდა პირველ დიდ წვიმებამდე, როცა ჯაღოსნური ასო, მათთვის დასვენების აღმნიშვნელი, სექტემბერთან ერთად წლის კუდთან მოიკალათებდა.

სანდალ კრასიმირიჩმა კოშკის შენება ისე დაიწყო, როგორც ესწავლა და იმ ხალხთან ერთად, ვინც უკვე შეჩვეული ჰყავდა. პურის ნაგებში ოქროს მონეგა ჩაჩურთა, ღუნაის წყალს გააყოლა და მუშაობას შეუდგა.

სახსრები მშენებლობისთვის უზრუნველყოფილი იყო, რადგან მას ყველა კარგად იცნობდა და ფულს არ ინანებდნენ, გულუხვად აძლევდნენ. ლეანდრს კი, უპირველესად, ჭაობის ქვებითა და ქვიშით ამოვსებამ მოეწია. ის „ცოცხალ მიწაზე“ აშენებდა, მაგრამ ამის სათვალავში ჩაგდება არავის ეწადა. ადამიანები, ვინც პასუხს აგებდა ხაზინაზე და სანდალ კრასიმირის იცნობდა, ეჭვით უყურებდნენ ახალგაზრდა კაცს, რომელმაც საკუთარი საქმე რომ არა ჰქონდა რა, სხვისაში ჩარევა დაიწყო, რომელსაც ომში სისხლი არ დაუღვრია და რომლისთვისაც მიწას სისხლი არ დაუბრუნებია და რომელმაც ახლა ისეთ რამეს მოჰკიდა ხელი, თვით სანდალ კრასიმირისე შეუძლებლად რომ მიიჩნევდა. ამიგომაც ლეანდრი თავიდანვე ოდენ საკუთარი საფრთხისა და რისკის ფასად აშენებდა.

როდესაც კომპეების პირველი სართულები წამოიშართა, თვალში გეცემოდით, რომ ადამიანები იკრიბებოდნენ, რათა შეეთვალა იერებინათ ის, რომელსაც სანდალი აშენებს. გყის შუაგულში აღმართული შენობით გასაოცებლად მოდიოდნენ ნასადილევზე წვერგაქონილი, რომ არ დასძინებოდით, მაგარყავადალეული სერბი ოსტაგებიც და ავსტრიელი არქიტექტორებიც.

— ყველანაირი სილამაზე გვინახავს, მაგრამ მსგავსი არაფერი შეგვხვედრია. ერთი შეხედეთ, რას აკეთებს სანდალი! სასწაულია, ნამდვილი სასწაული! — ამბობდნენ ისინი და ქვებს ხელით ეხებოდნენ, წითლებს, როგორც პურის ქერქს.

უკან თავგადაგდებულები ხელით იჭერდნენ კეფაზე ჩამოცურებულ ქულებს, თვალთ მომავდნენ სიმაღლეს, სადამდეც მომავლის კომპი აღიმართებოდა და აქებდნენ ავგორს.

ამ დროისთვის ლეანდრმა თავის ჭაობში ნავი მოათრია და ამ ნავში, რომელიც ბოლოს და ბოლოს, მშრალი მაინც იყო, ჭამდა, ეძინა, უფრო მეტად კი ფხიზლად უკირკიცებდა ნახაზებს, ციფრებსა და სახაზავებს, რომლებსაც ყველგან თან დააგარებდა, თვით ხარაჩოებზეც კი, რომელიც მშენებლობის შიგნით ისე მოეწყო, რომ გარედან შეუძლებელი იყო, დაგენახა, როგორ მუშაობდა. ღამდამობით ანძაზე ცეცხლს ანთებდა და მის სინათლეზე კომპს შიგნიდან აშენებდა, თითქოს სადღაც წყვდიალში მიცურავსო, ოღონდ მდინარეებზე კი არა, რომელთა ხმაურიც კომპში ესმოდა, არამედ ბევრით, უხილავი ღრუბლებისკენ, რომლებიც ბუსგად ისევე ხმაურობდნენ, ნაწილებად იფლეთებოდნენ ქარზე ან ახალი მთვარის რქებზე. თავს ისე გრძნობდა, თითქოს გემის საშოში ყოფილიყო, მთელი არსებობის განმავლობაში ღუზაზე რომ იდგა ნავსაყუდელში, რომელიც არასოდეს ენახა, იქიდან გამოსვლა კი

შეიძლებოდა იმ ერთადერთი ილუმინატორიდან, რომელსაც პირდაპირ სიკვდილში მიჰყავდით. და ახლა, მოულოდნელად, ეს ხომალდი დაიძრა, გაემართა ასევე უცნობ, მაგრამ მღელვარე ღია ზღვაში.

საჭირო იყო, ღამეში უშეცდომოდ აეღო კურსი, თან ყურადღებით ეღვენებინა თვალი სხვისი სიზმრებისთვის, მას რომ ესიზმრებოდა. სწორედ ასეთი გრძნობით, სანთლის შუქზე გაკეთებული გამოთვლებით სტაცებდა ლეანდრი წყვილადს თავის კომკს. ამ გამოცდილებისას იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გეომეტრიულ სხეულებს ცაშიც და მიწაზეც, როგორც უნდა აღინიშნებოდნენ ისინი, ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს. ციფრები სხვანაირად იქცეოდნენ.

მათ მნიშვნელობებს შეცვლა შეეძლო და ლეანდრი ხვდებოდა, რომ მშენებლობისას უნდა გაითვალისწინოს ციფრების წარმომავლობაც და არა მხოლოდ მათი მნიშვნელობა მოცემულ მომენტში. საქმე ის არის, რომ რიცხვებს, როგორც ფულს, სხვადასხვა პირობებში სხვადასხვანაირი კოგირება ახასიათებს, — მიხვდა ის, — ამიტომ მნიშვნელობა მუდმივი არ არის.

ერთხელ მაინც შეყოყმანდა და კინაღამ უარი თქვა მათემატიკურ ხელოვნებაზე, იმ რუსმა რომ ასწავლა, რომლის ლურჯი თვალებიც ძილში ფერს იცვლიდა. უცბად მოეჩვენა, რომ სანდალ კრასიმირიძე ციფრებს გაცილებით მიზანშეწონილად იყენებდა, ვიდრე თვითონ, და რომ ის სკოლა, რომელმაც მისი მეტოქე აღზარდა ანუ შვეიცარიული სკოლა, უპირატესობას ფლობდა მისი ბიზანტიური სკოლის წინაშე. ეს მას შემდეგ მოხდა, როცა ერთხელ, დილით, სავის ნაპირებიდან მუშები მოცვივდნენ და სანდალ კრასიმირიძეს აცნობეს, რომ მისმა კომკმა სიმაღლით უკვე გაუსწრო ციხესიმაგრის კედლებს და მისი ანარეკლი წყალზე გამოჩნდა! ამ ცნობამ წამში გადაუფრინა მთელ ქალაქს. ნამდვილი დღესასწაული გაიმართა და ლეანდრმა, რაკი იგრძნო, რომ უკან ჩამორჩა, სახედრების ერთ-ერთ გამრეკს უბრძანა, მალულად წასულიყო და ენახა, ხომ არ მოჩანდა საფაში სამხრეთის კომკიც, რომელსაც ის, ლეანდრი, აშენებდა. გამრეკმა გულგრილად უპასუხა, რომ სამხრეთის კომკი წყალში უკვე კარგა ხანია, ჩანს, ასე რომ, არ არსებობს მდინარეზე ჩასვლის არანაირი საჭიროება.

ეს მაშინ მოხდა, როდესაც ლეანდრმა შეამჩნია, რომ მასთან მუშახელსა და ოსტატზე მოთხოვნილება მაგულობს, მისი თანატოლები და სკოლის მერხის ამხანაგები კი,

რომლებიც თავის დროზე სამუშაოდ დაიქირავა, ერთიმეორის მიყოლებით ქრებიან მშენებლობიდან.

სანდალის ამხანაგებს შორის, რომლებიც ბელგრადში იმავე დროს და ისევე ჩამოვიდნენ, როგორც თვითონ, იყო ერთი, სახელად შიმშან გაკი. ის კარგად ერკვეოდა სამშენებლო საქმესა და ვარსკვლავებში, მაგრამ შენებას თავი დაანება. გაკი მიიჩნევდა, რომ ქმედება უნდა შეესაბამებოდეს იმის ძალ-ღონეს, ვინც მას ახორციელებს, ხოლო თუ ასეთი შესაგყვისობა არ არსებობს, მაშინ საქმისთვის ხელის მოკიდებაც არ ღირს. აი, ასე პირში დამეჩაგუბებული დასახლდა დიდ სახლში, რომლის ერთი კედელი ეკვროდა ავსტრიელების ღენტის საწყობს, თუმც მიგოვებულს, მაგრამ საშიშროების შემცველს იმ თვალსაზრისით, რომ ხანძრის შემთხვევაში ცეცხლი საწყობზე ვერ გავრცელდებოდა, აი, საპირისპირო კი გარდაუვალი იყო. გაკმა ისე, რომ ოღნავაც არ შეწუხებულა ამით, თავისი საცხოვრისი წიგნებით, ხელსაწყოებით, ჭოგრებით, ცყავის გლობუსებით აავსო და (როგორც ფიქრობდნენ) დროს უსაქმურობაში ანუ ოქროს წვიმისა და მღელრი ვარსკვლავების ძებნაში კლაფდა.

— ცხენი ოთხ ფეხზე დგას და ისიც კი წაიფორხილებს, მაშ, ადამიანი როგორ არ წაბორძიკდება? — ამბობდნენ მასზე. ბოროტი ენები კი იმასაც დასძენდნენ, რომ მას სინამდვილეში, უბრალოდ, ძალა არ შესწევდა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაეგანა თავისი ვეებერთელა ცოდნა. სივრცეში გადაადგილებისას მისი ცოდნა ყინულივით ღნებოდა და ყველგან, სადაც უნდა მოხვედრილიყო გაკი, გარდა თავისი ღენტის საწყობისა, უსუსური და გამოფიგული ხდებოდა, მისი ცოდნა და სიმარჯვე კი მყიფე და არასაიმედო აღმოჩნდებოდა ხოლმე; დალაგობდა სახელებისა და ციფრების დამახსოვრების უნარი და მის იმედად ყოფნა აღარ შეიძლებოდა.

საკმარისი იყო, ადგილიდან დაძრულიყო, მაშინვე გადარგულ მცენარეს ემსგავსებოდა. ერთხელ, თითქმის მოსაღამოებულზე, როცა მშენებლობაზე აღარავინ იყო, ეს კაცი, რომლის გამოხედვაც ლაპარაკისას მოსაუბრის თვალწინ ბერდებოდა და ვისი თმაც მუდამ ბუმბებით იყო სავსე, მოულოდნელად გამოჩნდა ლეანდრის კოშკთან და მისი დათვალიერება და შესწავლა დაიწყო. ქვა გალოკა, თითებით მოსინჯა ნალესი, კირში ცოგაოლენი ბალახი ჩაყარა, დაყნოსა, ერთ კუთხეს სამი თითი მიაღო და ჰაერში რაღაც გადამომა. ყოველივე ამის შემდეგ ლეანდრს მიმართა.

— მიწაზე გძინავს, მაგრამ საქმე გესმის, — უთხრა, — არ ვიცი, სად და როლის ისწავლე ყოველივე ეს, მაგრამ გაფრთხილდი! არავინ იცის, დილა როგორ დამთავრდება — ლობის იქით თუ სხვენში. კარგად მოქცეულხარ, ხარაჩოები რომ შიგნით დაგიყენებია. ცოგა ვინმე თუ იქნება ისეთი, ვისაც მოეწონებოდა, რომ შენ უფრო სწრაფად და უკეთ აშენებ, ვიდრე სანდალი. სანამ შესაძლოა, ეს უნდა დამალო...

ასე ლაპარაკობდა გაკი, რომელმაც ცნობილი იყო, რომ თავის დღეებს ღამეებში თესავდა.

წასვლისას კიდევე ერთხელ მოიხედა და თქვა:

— ერთი რჩევა მოგცე? მეგობრულად? მისმინე, როგორც კი კომკს დაამთავრებ, თავი დაანებე ამ საქმეს. ნულარასოდეს ააშენებ. შენთვისვე იქნება უკეთესი. ხომ ისედაც აჩვენე ყველაფერი, რისი უნარიც გაქვს. ნულარ ააშენებ!

ამ სიტყვებით წავიდა, ლეანდრმა კი მუშაობა განაგრძო. სულ უფრო იგანჯებოდა მარტოობით, ზოგჯერ სურდა, კომპანია ეძებნა და ამისი გაკეთება სულ არ იყო ძნელი სავაზზე გამავალი ქალაქის კარიბჭის მეორე მხარეს. იქ პირველად რომ გამოჩნდა, — ეს კი მაშინ მოხდა, როცა შეიმობღნენ, სანდალის კომკი კედლებს ასცდაო, — ძალიან კარგად მიიღეს.

ჩვეულებისამებრ, ხელები ზურგს უკან დაიბანა და ბრბოს შეერია. ვილაც-ვილაცებმა ლეანდრის თანაგოლთაგან, იმათგან, აღრე მასთან რომ მუშაობდნენ, ახლა კი სანდალ კრასიმირიჩთან იყვნენ, კომკის დასათვალიერებლად წაიყვანეს; აღფრთოვანებით უჩვენებდნენ, რომელი სამშენებლო ხერხები გამოიყენებოდა მის ბევითა ნაწილში, სადაც სწორედ ახლა ოთხკუთხოვანი კვეთიდან წრიულზე გადადიოდნენ. იმათ შორის, ვინც სანდალის კომკის ღირსებებს უსვამდა ხაზს, გაკიც იყო, ოღონდ ახლა იგი, როგორც სხვები, ლეანდრის კომკს არც ახსენებდა, ლეანდრისა, რომელიც სახელით არავის მოუხსენიებია, თითქოს სავსებით დაავიწყდათო.

აღამიანები აქ უცნაურები იყვნენ, ისეთები, როცა რაიმე უკვირთ, რომ იცინიან და ცრემლებს ცხვირში იჩერებენ, ხოლო როცა უჭირთ, მხოლოდ იპურჭყებიან. აქ ქალებიც იყვნენ, რომლებიც ლეანდრმა იცნო (მათ კი ის — ვერა) იმიტომ, რომ მათთან ზოგჯერ ნაჩქარევად წოლილა, როგორც წესი, შებინდებულზე, მინდვრიდან მომავალ თივიან ურემზე, რომლის პაგრონსაც ფულს უხდიდა, რათა განზე გამდგარიყო და ნახევარი საათით, ვიდრე ხარები ქალაქის კარიბჭემდე მიეხეტებოდნენ, გვირთი მისთვის მიენდო. ქალები მალე ივიწყებდნენ



— პირველივე შეხედვით ხვდებოდნენ, რომ იგი იმ უსიამოვნო კაცებს მიეკუთვნებოდა, რომლებსაც არ შეუძლიათ, სიამოვნება მოგანიჭონ, მაგრამ, ამასთან, საკუთარ თავზე მუდამ ასე ფიქრობენ: — ბედნიერებაა, გქონდეს საყვარელი სამუშაო და გყავდეს მოყვარული ცოლი. ასეთები ქალებს არ უყვართ. ამიგომ ისინი სანდალ კრასიმირისა და მის თანაშემწეებთან მიდიოდნენ და იქ პოულობდნენ ყველაფერს, რაც სჭირდებოდათ.

ლევანდრზე კი, რომელიც თესლს მათში კი არა, თივაში უშვებდა, ამბობდნენ:

— მამამისი, როგორც კი ღიდრონ ქრცვინს დაიჭერს, მთელი ღამე ქალის მაგივრობას აწვევინებს და მხოლოდ ღილით წვაავს და ჭამს მას.

ამას კი ესეც არ შეუძლია.

ცნობისმოყვარეთა ბრბოში, იმათ რიცხვს რომ ამრავლებდნენ, ვინც გაოცებული იყო სანდალის კომპლექსურ სამუშაოების სწრაფი წინსვლით, ლევანდრმა იმავე საღამოს, კოცონის მეორე მხარეს, შენიშნა კაცი, რომელსაც მხარზე წითელნასკვებიანი ბაღე მოეგლო. მეთევზის მაღალყელიანი ჩექმებით დროდადრო გაიფლავებდა ხოლმე ბრბოში, მერე კი ლევანდრის თვალს მოფარებული, სიბნელეში გაუჩინარდა.

— წავიდა თავისი მიცვალებულების ნაგებში დასამარხად, — ხმამაღლა შენიშნა ვიღაცამ და ასე გაიგო ლევანდრმა, როგორც იქნა, მრავალი ათწლეულის შემდეგ, რას საქმიანობდა სინამდვილეში მამამისი და რანაირი პურით იზრდებოდა თვითონ — მკვდარი პურით. ლევანდრს ვითომ არ გაუგონია ეს სიგყვები, ისე იკითხა:

— კარგი და, კომპის ყელზე გადასასვლელს როგორ გააკეთებთ? კონსოლურ საყრდენებს გამოიყენებთ თუ თაღის იალქნებს?

— კონსოლურ საყრდენებს, — პასუხობდა ზოგი, ზოგმა კი გაიფიქრა: „თაღის იალქნებს“... ყველა სანდალისკენ მიბრუნდა, მაგრამ ის სხვა საუბრით იყო გართული და მხოლოდ ირონიულად ჩაიციხა, თითქოს ეს შეკითხვა სრულიად უადგილოდ მიიჩნიაო.

საღამოს, კომპში რომ მიბრუნდა, ლევანდრმა სანთელი ხორბლის კვერში ჩააჩქო, ნაგში ჩაწვა, მრგვლად დაახვია და თავქვეშ ამოიღო თმის გრძელი კუდი, კინკრისხოდან რომ ეზრდებოდა, და მიაშტერდა წყვდიადის ვეება, ოთხკუთხა ნაგლეჯს, შენობის შიგნით, ფანჯარასთან რომ ჩამოწოლილიყო. ასე იწვა და ელოდა, რომ რაღაც მოხდებოდა. რაღაც უნდა მომხდარიყო და რაღაც უნდა შეცვლილიყო — ამას გრძნობდა და იმედოვნებდა.

ყველგან ღამე იყო, ყურების ნახვრეგებშიც კი; წყვლიადის გადაბკიდე, არაფერი ისმოდა, წყვლიადი კი ყრუ იყო და მიწისა და ნაბახუსევის უსიამო სუნი ასდიოდა. ტანსაცმლის ქვეშ როჭო შეუძვრა, ბუზუნებდა, გამოლწევას ცდილობდა და არაფერი გამოსდიოდა.

„ასეთ ღამეებში, — ფიქრობდა ლეანდრი, — ძაღლებიც არ იკბინებიან, მხოლოდ — ბაღლინჯოები, თითქოს პერანგი ვარსკვლავებით იყოს სავსე, რომლებიც დაცოცავენ და გილიგინებენ. ყოველივე ის კი, რაც არ გინახავს, გაფრინდა“...

მერე ადგა, სანთელი ჩააქრო და სიბნელეში კოშკის კედლები ხელით მოსინჯა. ის აქ იყო, თავის ადგილზე, ცივი, რეალური. ის იმდენად არსებობდა, რამდენადაც თვითონ ლეანდრი. დილით კი მართლა მოხდა რაღაც იმდენად იშვიათი, როგორც უამინდობაში მიწაში ჩამარხული მარის გუგუნია.

სტუმარი ცდილობდა, არაფერს გამოსდებოდა, საღმე არ გაჭედლიყო, სწრაფად და მოხერხებულად დამჯდარიყო, რათა, რაც შეიძლება ბუნებრივი და ჩვეულებრივი გამოჩენილიყო, თითქოს აქ უკვე უამრავჯერ ყოფილა და თითქოს არაფერი განსაკუთრებული, დაუჯერებელიც კი არ ხდებოდა. სანდალ კრასიმირიჩმა, როგორც იტყვიან, საკუთარ პატივმოყვარეობას გადააბიჯა და პირადად გამოცხადდა ლეანდრის სანახავად, მართალია, არა მშენებლობაზე, არამედ ნაპირზე მდგარ მამამისის მეთევზის პაგარა ქოხში.

მუხლებზე ხელებშემოჭლობილები კასრებზე ისხდნენ და თავიდან საუბარი არაფერს შეეხებოდა. შუა ფრაზაზე სანდალმა შარვლის ყოშიდან დაკეცილი ფურცელი და პროექტი ამოაძრო, სახელოთი მგვერი გადაწმინდა, ლეანდრს მიაწოდა და უთხრა: — აქ ჩემი გამოთვლები და გეგმებია. ამ ფურცლებში, ალბათ, ყველაფერი ისე ვერ არის, როგორც საჭიროა, ასე ვთქვათ, უხინჯოდ, მაგრამ შენთვის ხომ შემოწმება ძნელი არ არის? გამიწიე ეს სამსახური. უხერხული იქნება ადამიანების წინაშე, შენი კოშკი ჩემსაზე ადრე რომ დამთავრდეს...

ეს რომ თქვა, სტუმარი კარისკენ გაემართა და უკან შემობრუნებულმა სასხვათაშორისოდ დასძინა:

— თან კონსოლური საყრდენების გამოთვლაც გამიკეთე, რაზეც გუმბათის ყელი დაეყრდნობა. იმდენი საქმე მაქვს, უბრალოდ, ვეღარ ვასწრებ.

ასე აღმოაჩინა ლეანდრმა, რომ სანდალმა ოთხკუთხოვანი კვეთიდან გუმბათოვან თაღზე გადასვლა ვერ მოახერხა.

„ეგეც შენ“, — გაიფიქრა და აუცილებელი გამოთვლები გააკეთა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შესწორებების შეგანა უკვე დაგვიანებულიყო, შეცლომები ჯერ კიდევ საძირკველში ჩაელოთ, რომელიც ისე ჩაეყარათ, რომ ვერ შეძლებდა კომპის იმ სახით დამაგრებას, როგორც ჩაიფიქრეს. მეორე დილით ლეანდრი სანდალთან წავიდა, ქალაქლები და ყველა შესწორება მიუგანა, თან თავიდან არ ამოსდიოდა ხალხის მონაყოლი, სანდალ კრასიმირიჩის ებოში ძაღლებიც კი არასდროს შედიან, რადგან გრძნობენ, რა აუგანელი სიძულვილი იცის ამ კაცმაო. ლეანდრმა პირდაპირ უთხრა, კომპი ახლავე უნდა დასრულდეს, რადგან მეგ სიმაღლეს ველარ გაუძლებსო.

სანდალმა არნახული სიმშვიდით მოუსმინა, ქალაქლები მოაგროვა, მადლობა გადაუხადა და მოუბოდიშა — სასწრაფოდ უნდა წასულიყო, რადგან მოწაფეები ელოდნენ. მართლაც, ლეანდრმა დაინახა, რომ მშენებლობების მახლობლად, მიკროპოლიგის ბრძანებით, ერთ-ერთ ფანჩაგურში სამშენებლო საქმის დროებითი სკოლა გაეხსნათ. სანდალის მოწაფეებს შორისაც იცნო ვიღაც-ვიღაცები იმათგან, ვინც მასთან ერთად სწავლობდა და ისწავლა კიდევ, როგორ გადადის კომპის ოთხკუთხოვანი ნაწილი კონსოლურ საყრდენებში, იქიდან კი ყელში.

ასე მოუწია სანდალს, როგორც ლეანდრმა წინასწარვე განსაზღვრა, ჯერ კიდევ მანამდე დაემთავრებინა მშენებლობა, ვიდრე მისი ნაგებობა იმ სიმაღლეს მიაღწევდა, რაც სათვალთვალ კომპისთვის არის გათვალისწინებული, მაგრამ ყველა — სანდალის ამხანაგებიც, ქალაქის მღვდელმსახურნიც, პრინცის კარის ოფიცრებიც და, საერთოდ, ყველა, ვინც ღუქანში მჯდომი ღვინის ჭიქებს თამბაქოს ბოლში ახვევდა — იმაზე ლაპარაკობდა, რომ არქიტექტორმა მშენებლობა ვადაზე ადრე დაამთავრა. საერთო ამრი კი ისეთი იყო, რომ სანდალმა გაუსწრო სავის ქალაქის კარიბჭის იქითა მხარის „მამლაყინწას“ და რომ ლეანდრი დროში ვერ ჩაეგია.

აი, ასე, სანდალის ჩრდილოეთის კომპი საზეიმოდ გადახურეს გყვიის ფურცლით, გვერდით დაუყენეს მეთოფე, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა, რომ ვიდრე აკურთხებდნენ, კომპის თავზე ყვავს არ გადაეფრინა. მთელი ხარი შეწვეს, კედელში საფრთხობელა ჩააგანეს, ხოლო წვერზე მამლის ფორმის ფლუგერი აღმართეს. დილისთვის კი აღმოჩნდა,

რომ სანდალის კომპის ჩრდილი უცბად დასცემოდა სამხრეთის კომპს და ამის შემდეგ ლეანდრს მუშაობა უწევდა სიცივეში, სადღესასწაულო ხმაურში, ღუნაისა და სავის ამ ნაპირამდეც რომ აღწევდა. ახალი შენობა საზვიანველად გაიხსნა, ლეანდრი კი კვლავინდებურად ათენებდა ღამეებს ნავში, სამხრეთის კომპის ძირას, რომელსაც ჯერ კიდევ იმ სიმაღლემდეც ვერ მიეღწია, სადაც ოთხწახნაგიდან ყელზე უნდა გადასულიყო.

ახლა, სამუშაოს მიწურულს, სულ მარტო დარჩა, ერთი დამხმარეც კი აღარ ჰყავდა, უფულოდ, ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე, და ჯარისკაცები ყოველ დღით აფრთხილებდნენ, სამშენებლო მოედანი არ ააგალახო და დაჯარიმებით ემუქრებოდნენ.

მისი ამხანაგები გამჭოლ ქარს უფრთხოდნენ, კომპში რომ უბერავდა და ისიც რამდენიმე მშენებელთან ერთად მუშაობდა, რომლებიც მალულად გადმოდიოდნენ თურქების გერიგორიიდან, რათა შიმშილით არ დახოცილიყვნენ და ცოგაოდენი მაინც გამოემუშავენინათ. კვირის ბოლოს კი უკან მიცურავდნენ ნიჩბებზე ნაჭრებშემოხვეული ნავეებით, სიგყვამუნწები, მაგრამ სიცოცხლის არადღამგდებნი.

მარტობისა და იმ სიმაღლის გამო, რომელმაც ახლა უწევდა მუშაობა, ლეანდრს ენაბლუობა დასჩემდა. საკუთარ ენას ისე ღეჭავდა, როგორც მკვახე ვაშლს და ხელებისა და ქვების დახმარებით ლაპარაკობდა. ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ თითოეული სიგყვის უკან უნდა იდგეს რაღაც მაგარი და მძიმე და თითოეულმა სიგყვამ უნდა ილაპარაკოს იმაზე, რასაც მისი მალა აწევა ან ერთი ადგილიდან მეორეზე გადაგანა შეუძლია, როგორც ჯალამბარი სწევს სამშენებლო ხიდურებს. სხვაგვარად ის დაემსგავსებოდა უფეხო ჩიგს, რომელსაც მიწაზე დაშვება არ შეუძლია და იძულებულია, ბუღე წყალზე აიშენოს და ბარგეებს იქ გამოჩეკოს.

ერთხელ, ღამით, ლეანდრი ნავში ჩაწვა და იგრძნო, რომ ცახცახმა ნავის კიდეებს მიახეთქა, რომ თმა სტკივა, სიცხე ყურის წვერებს ულაქავებს, ხოლო ძვლები შიგნით ისეთი სიცივით აქვს სავსე, თითქოს მთელი სიცოცხლე თავის შიგნით დააგარებდა საშინელ ზამთარს ისე, როგორც სარკეებს დააქვთ ყველგან სიჩუმე. ღამეები საღდაც იქით, კომპის მეორე მხარეს მიედინებოდა, თოვლი სულ უფრო მაგულობდა და, აი, აქ გამოჩნდა მამა და ახალი ამბავი მოიგანა.

ის იჯდა და ავადმყოფს ბალახებსა და სიმინდის ჩაის უხარშავდა, შვილისთვის უხილავი ელაპარაკებოდა სადღაც, კოშკის კუთხეში, ავადმყოფისთვის ასეთსავე უხილავ და უცნობ თანამოსაუბრეს.

— პირველი ლუკმა და პირველი ყლუკი ეშმაკს უნდა დაუთმო, — ჩიოდა მამა, ცეცხლის მეორე მხარეს ჩამომჯდარი, — მაგრამ როგორ დაუთმობს ის, ვინც მოპარული ქუდით დადის და ხელი პურის ნაგებისთვის გაუწვდია? მახსოვს, კბილები ბოლომდე ჯერ არც კი მომეცვალა და უკვე მიდი, მოიგდე გულურა და ითხოვე მოწყალება, შეაგროვე ნასუფრალი. იარე ცხრა მთას იქით და ეშმაკის გზით. ხდებოდა ხოლმე, ასი ნაჭერი პურიც მომიგანია და მაგიდაზე დამიხვავებია. პურის ყუები, ქერქები, ნაჭრები, ნახორხალი, ნაგებები, ხორბლისა და ჭვავის ნაზავის გუშინდელი ნარჩენები, ალუფხული ფლავი, გუშინწინდელი ცომეული, ფეგვის ცივი ფაფის ბელგები, წიწიბურას კვერები, ბარდის ბლინები; ფენოვანი ღვებლის ნაგებები და ჭმახი კალაჩები, შვრიის პურუკები და ჯარისკაცური კბილსაგეხი-კვერები, ებრაული მაცა და მონაზონთა ყოველთვიურები, ბალახშერეული, რომ მთლად არ გაქვავდეს, თევზის ფქვილის ფუნთუშები და წიწიბურას ფაფის მობრაწულა, სიმინდის უყველო კვერუკები თუ სიმინდის უხობობიკო კვერუკები, გამოუმცხვარი თავჩენილები და დამწვარი ნამცხვრები, ობიანი ღვებლები, შვრიის კვერები, რომლებსაც მიცვალებულთა მოხსენიების დღეს საქონელს რქებზე წამოაცვამენ ხოლმე, მამას ტკბილი კვერები, ომიანობის დროიდან შემონახული და დღესასწაულიდან მორჩენილი გორგები, დამწვარი რულეტები, „დამხრჩვალი“ პურუკები, რომლებიც სახსენებლადაც არ ღირს, ან ისინი, რომლებმაც ამბობენ: „მამამ ბლითი მიყიდა, მე კი, სულელმა, უპუროდ შევჭამე“. ორცხობილა და ბლითები, ფუნჩულები და ნამცხვრები, რომლებსაც სცამბოლში გზავნიან, როცა თავებს ყიდულობენ, უმარილო ოლადები და თაფლაკვერები, ფუნთუშები, შვრიის ნამცხვარი, სვილის კვერუკები, ხორბლის, ქერის ბლინები — ყველაფერი გამოუმცხვარი, უგემური, მარტო გული უქერქოდ და ღვებლები უგულოდ, მწარე მჭადი, ყველაფერი ნახევრად დაღრღნილი და აშმორებული. ყოველივე ეს ნაწლავებს გიხეთქს და უკანალს გიფხრეწს, — ერთი სიგყვით, ყველაფერი, რაზეც სუფრასთან ერთხელ მაინც თქმულა: „აქედან მოაშორეთ“. ყოველივე ეს მთელი ქვეყნიერებიდან გროვდება შენს მაგიდაზე, რათა გითხრას, რომ ეს ქვეყანა ჯერ კიდევ გუშინ იყო ის, რაც შენ ხვალ გახდები.

თითოეული ნაგები თავისებურად უნდა ჩამოჭრა, ხოლო როცა ყოველივე ამისგან ღუმელზე შენთვის პურს შეაკოწიწებ და საღამოს თავქვეშ ამოიღებ — სამი დღე მდიდარი ხარ! თავქვეშ ხრამუნებს, ყურებს გითბობს, პაგარას ჩამოგებს — გამოთქნარებს, შენ კი, მუცელამოყორილს, ბედ დიდხანს გძინავს, ძილში ასლოკინებ და ღვინო გესიმბრება. ღვინის ვედროები, ღვინის კასრები, მთელი ქარავენები — ღვინით დაგვირთული. ღვინო კი წვეთიც არსად არის! არსად არც ერთი წვეთი!..

აი, ასეა ჩვენი საქმეები, მაგრამ ყოველივე ეს დიდი უბედურება როდია, ხდება ხოლმე, რომ ისინიც, ჩვენზე მაღლა მდგომნიც, წაიბორძიკებენ და ეცემიან. აგერ, ახლახან, წეროებმა თავიანთი ჩრდილებით მოწამლეს ქალაქის ჭები და ბევრი ადამიანი დაზარალდა. ორმა მხედარმა ჩულით მოიყვანა მიკროპოლიტის სასახლეში, მის ექიმბაშთან, კრასიმირიჩი. შეუძლოდ გახდა: ამბობენ, კოშკზე დიდხანს მუშაობამ ხელი მოუთავაო. მშენებლობამ გამოწურა მთელი ოფლი, ეს კი არ ვარგა: ადამიანი უოფლოდ იგივეა, რაც უჩრდილოდ.

ასეთი ამქვეყნისა აღარ არის, მალე მოიცვლება. არადა, რა ლამაზად ძალუძდა, შეეფერებინა სიბერე, როგორც ორსულ ქალს, ნაყოფს რომ ამაყად აგარებს. სამწუხაროა, სამწუხარო, შეეძლო, კიდევ ეცხოვრა ხალხისა და ქვეყნის სასიკეთოდ, მაგრამ არავინ ბრუნავს იმაზე, რაზე ბრუნვაც საჭიროა. თუმცა იქნებ ღმერთმა ინებოს და გამოჯანმრთელდეს. გამოჯანმრთელდება, იმედს ვიგოვებ, ჩემიც, რომელმაც დაუსვენებელი წყალი დალია და ჩაწვა...

ხოლო როცა ამ უმარილო სიგყვების ნაკადი მოულოდნელად წყდებოდა, მოხუცი ჩიხორიჩი, ლეანდრის მამა, კოშკიდან გადიოდა და ღამის წყვდიადი სანდალომის ხის უმშვენიერესი სუნის გაგრეცვლებას იწყებდა, ისმოდა სხვა სიგყვები:

— ადამიანს ჰგონია, სიკვდილი აღვილია. დაწვები და მოკვდები. მაგრამ ეს ასე იოლი როდია.

ყოველივე, რაც ჩვენ უკან და ჩვენ წინ არის, გაცილებით მეგხანს გრძელდება, ვიდრე წარმოგვიდგენია. აი, მაგალითად, იცი, რა განსხვავებაა გულსა და სულს შორის? როცა შინაგან მზერას ჩვენივე გულისკენ მივაპყრობთ, მას ისეთს დავინახავთ, როგორიც მოცემულ მომენტშია. ხოლო, როცა ჩვენს სულში ჩავიხედავთ, ის ისეთი აღმოჩნდება, როგორიც მრავალი ათასეული წლის წინ იყო, და არა ისეთი, როგორიც ახლაა, რადგან სწორედ ამდენი სჭირდება ჩვენს მზერას, რათა სულამდე მიაღწიოს და განჩხრიკოს — სხვა

სიკვებით, ამდენი დრო უნდა იმას, რომ სულის სინათლემ ჩვენს შინაგან მზერამდე მიაღწიოს და გაანათოს იგი. ზოგჯერ ამგვარად ჩვენ იმ სულს ვხედავთ, რომელიც დიდი ხანია, აღარ არსებობს. სულთან თუ ასეთი ამბავია, მაშ, სიკვდილზე რაღა გვეთქმის? ადამიანის სიკვდილი იმდენივე წელიწადს გრძელდება, რამდენსაც მისი სიცოცხლე და შეიძლება, გაცილებით მეტხანსაც იმიტომ, რომ სიკვდილი — რთული მეურნეობა, შრომა და ძალისხმევაა, უფრო ძნელი და ხანგრძლივი, ვიდრე ადამიანის სიცოცხლე...

შენს სიკვდილს შეუძლია, ორჯერ მეტი იცოცხლოს, ვიდრე შენ...

მაგრამ აქ, გადაამწყვეტ ადგილას, მოხუცის აზრთა მდინარეება უცბად შეწყდა, როგორც კი მეორე ნაკადი ამოშრა და მისგან ძველებურად მხოლოდ და მხოლოდ უამრობები მოედინებოდა.

ლევანდრი კი მართლა მორჩა. მოულოდნელად, ღამით, ცხვირი გაეხსნა და რამდენიმე გრძელი კვირის შემდეგ კვლავ შეიგრძნო საკუთარი სხეულის მისთვისვე გასაკვირი სუნები, უცხო და მკვეთრი, რომლებიც თითქოს თავში ურგყამდა.

იგრძნო, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში მასში გაიარა უამრავმა სიმზარმა, რომლებიც ვერ დაიმახსოვრა, მაგრამ ეს ისევე აღმოაჩინა, როგორც მდინარე სავის სანაპიროების ხედით შეიძლებოდა მიმხვდარიყავი, რომ აქ, ღამით, დიდმა წყალმა ჩაიხმაურა, თუმცა წყვდიადში არც არავის დაუნახავს და არც დაუთვლია ტალღები. ლევანდრი პირველ პეპლებთან ერთად გამოვიდა მდელზე, რომელიც როგორღაც დაფერდებულებოდა, და მოეჩვენა, მდინარეში წყალს ისე მოემაგებინა, ნაპირებს გაცილებით ბევით ასცდენოდა და რომ თვითონ რაღაც სასწაულის ძალით შეძლო გორაკზე თავის შეკავება. აი, ასე, მთვრალი ყურებით, მაგრამ ფხიბელი მზერით განაგრძო კომკმე მუშაობა.

შენობას თითქოს სიმზარში ამთავრებდა, გამოჰყავდა ფანჯრები ბევრითა ნაწილში, აყენებდა ჩარჩოებსა და კარებს ქვევითა სიოებში და უცბად შენიშნა, რომ თითოეულში გაუცნობიერებლად წარმოთქვამს, როგორც სწავლისას აკეთებდა, თითო სგრიქონს პოემიდან პეროსა და ლევანდრზე:

— აქამდე, ვიდრე ლევანდრი — მზერით, სიყვარულისაგან გახელებულით,

თვალმოუცილებლად შეჰყურებდა გოგონას ნაბ კისერს...

ოღონდ ლევანდრი ამჯერად ამას იმიტომ კი არ აკეთებდა, რომ ბერძნული ტექსტი დაემახსოვრებინა, — კარგა ხანია, ბეპირად იცოდა იგი, — უკანასკნელად წარმოთქვამდა

სგრიქონებს ჰეროსა და ლეანდრზე და წარმოთქმისას სამუდამოდ ივიწყებდა, გოვებდა იმ შენობის ფანჯარაში ან კარში, რომელსაც აგებდა, თითქოს ამ სგრიქონებს მიწის საილუმლო საფარში მარხავდა.

„ეს სამყარო ჩვენ კი არ გვეკუთვნის, — ფიქრობდა მშენებელი, — არამედ ჩვენს მამებსა და მათ თაობას, ისინიც გრძნობენ ამას და თავი ისე უჭირავთ, როგორც მის ერთადერთ მესაკუთრებს. მე და ჩემი თაობა კი ვიყავით და ღაფრჩით კიდეც იმათ უბელურ მსახურებად, ვინც საკუთარი ხმლის წყალობით გადარჩენილი თავს ღაფცადა ამ ქალაქს ან უცხოურ არმიასთან ერთად მოცურდა. მამების თაობისგან გვერგო არა მარგო მსახურის მდგომარეობა, არამედ გადამწვარი, სანახევროდ განადგურებული სამყაროც, მშვიერი ბავშვობაც; და მათ, ვინც ეს მოგვცა, მისგან შექმნეს კერპი, რომელსაც ჯერ კიდეც ვეთაყვანებით, ჩვენ თვითონ კი აქ იმისთვის ვართ, რომ ფანჯარაში ან კარში, რომლის სიახლოვეს გავლაც მოგვიწევს, ამოვიძახოთ რაიმე სიგყვა“...

როცა კოშკი დამთავრდა, მის წვერზე კი ფლუგერი-მამალი აღიმართა, ლეანდრი ღვინის ჭიქით ხელში ავიდა ბედ, რათა შენობა ეკურთხებინა და ქალაქისთვის სიმაღლიდან გადაეხედა. მაგრამ მის წინ, უფსკრულში, არანაირი ქალაქი არ იყო. სამხრეთის კოშკი ისეთი მაღალი გამოვიდა, რომ ღრუბლები გახვრიტა და იქიდან საერთოდ არაფრის დანახვა აღარ შეიძლებოდა.

აქ სიმაღლის სიჩუმე მეფობდა, მსგავსი გბორად დამღვარი წყლისა, რომლის სიმშვიდესაც დროდადრო არღვევდა ძაღლების შორეული ყეფა და ნაჯახის კაკუნი...

მიწიდან კი შეუძლებელი იყო, დაგენახა კოშკის წვერი და მამალი, რომელსაც მოქალაქეებისთვის დრო და ქარის მიმართულება უნდა ეჩვენებინა. ლეანდრი ძირს დაეშვა, შეშინებული და დამფრთხალი და ბრბო, გაძრის ძირას შეკრებილი, ერთხანს კიდეც მიშტერებოდა თვალუწვდენელ სიმაღლეს, კოშკის წვერს რომ ფარავდა, მერე კი გაიფანტა იმაზე ლაპარაკ-ლაპარაკით, რომ ჯერ კიდეც არაფერ იცის, როგორ გამოიყურება ყოველივე ეს იქ, ღრუბლებში. ლეანდრთან ერთადერთი შიშმან გაკი მივიდა, მხარზე ხელი დაარგვა და კბილებში გამოცრა:

— მშვენიერია, განუმეორებელი, უკეთესს ველარაფერს ააშენებ. ეს სხვებს მიანდე...

მაგრამ ლეანდრის განჯვა-წამება ამით არ დამთავრებულა. როცა გაბაფხულის ნათელი დღეები დადგა და მშვერა გაცხილებით შორს უწევდა, ორივე კოშკი, ერთი მხრიდან მშვერე



მბრწყინავები და როგორღაც ჩაბნელებულები და თითქოს ძირს ჩამოვარდნილები მეორე მხრიდან, ერთდროულად წარმოუდგა თვალწინ ქალაქის მცხოვრებთ. და აღმოჩნდა, რომ მამლები მათ თავზე სხვადასხვანაირად იქცეოდნენ. უფრო პაგარა კომპზე, სანდალის აგებულზე, მამალი მუდმივად გრიალებდა და ყოველწუთიერად შეხტებოდა ხოლმე, უჩვენებდა ახალ ქარს და რეაგირებდა ნებისმიერ, თვით ყველაზე სუსტ, წამოქროლებასა თუ ცვლილებაზე.

ლევანდრის მაღალ კომპზე მამალი რაღაც სხვანაირ, თავის ამინდს აჩვენებდა, რაღაც თავისებურ ვითარებებს, დაკავშირებულთ, როგორც ჩანს, მისი ჰორიზონტის ფართო შესაძლებლობებსა და იმ ქარ-მოძალადეებთან, რომლებიც ქვევით, მიწის პირთან, არასოდეს ქრიან.

— ამ სიმაღლიდან წესიერად ვერაფერს დაინახავ, — ამბობდნენ ერთნი.

— ასე რაგომ უნდა დავძაბოთ მხედველობა, ორი მამალი რაში გეჭირდება? — კითხულობდნენ დროდადრო სხვები და სთავაზობდნენ, დაემოკლებინათ ლევანდრის სამხრეთის კომპი და გაეგოლებინათ სანდალ კრასიმირიჩის ჩრდილოეთის კომპისთვის, რათა იმასაც შესძლებოდა, ქალაქის ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მომსახურებოდა. ხოლო, როცა კომპების კონგურები სპილენძის ფირფიტაზე ამოკვეთეს, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა, ბელგრადის გვიფარი გაკეთებულიყო, მეგრავიურემ, სწორედ იმ რუსის ერთ-ერთმა მოწაფემ, ლევანდრის კომპი უფრო დაბალი გამოსახა, ხოლო სანდალისა (აკი სწორედ მან შეუკვეთა გრაფირებული დაფის გაკეთება) — უფრო მაღალი, ვიდრე სინამდვილეში იყო. ასეთი სახით აღმოჩნდა ორივე კომპი სპილენძის ერთ ფურცელზე. სწორედ ამ სპილენძის ფურცელმა აიძულა ლევანდრი, კიდევ ერთხელ შეხვედროდა ხმლიან კაცს, ყველაზე საშინელს დანარჩენებს შორის.

### 3

ლევანდრმა კომპი წმინდა იოანე წინამორბედის, ქრისტეს ნათლისმცემლის, დღეს აკურთხა და ხაგი, რომელმაც სინზე დადებული მოკვეთილი თავი იყო გამოსახული, კომპის გარშემო შემოაგარეს. ორი კვირის შემდეგ ლევანდრი უკანასკნელად გაემართა სამოგზაუროდ, მაგრამ მისი ფიქრები გამუდმებით ამ ხაგს უბრუნდებოდა. დაიბარა, გადავწყვიტე, ისევ ვაჭრობას დავუბრუნდეთ და დუბროვნიკისკენ გაემართა — თავისი მეორე გულთმისნის

წინასწარმეტყველების მოსასმენად. ქარის შიგნითა მხარისთვისაც უნდა შეეხედა, იმისთვის, რომელიც მშრალი რჩება, როცა წვიმაში ქარი უბერავს.

ერთ-ერთი იმ წერილით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც ლეანდრმა ჩვენთვის უცნობ პირს გაუგზავნა, მასთან ერთად, როგორც ყველა წინა მოგზაურობაში, იყო დიომიდე სუბოგაც.

ლეანდრის წერილში ნათქვამი იყო:

„ერთ დილას, ნაშუადღევს, შარშან, ბუსგად იმ ღროს, როცა ყველს სკებში დებენ, მე და დიომიდე სუბოგამ გავწიეთ სწორედ იმ ბენიამინ კოენისკენ, რომელმაც სიმბრის სტვენით გადმოცემა იცის. ამბობენ, რომ ზაფხულობით ძროხებს მდელით ეყვანში წველის, გამთარში კი შეუძლია, საიდუმლოდ გიჩვენოს რაღაც ნახაგი, რომლის ნახვაც ადამიანებს ცუდად ხდის. კოენი ფანჯარასთან მჯდომი დაგვხვდა, სიცლის მიღმა ისე იყურებოდა, როგორც სათოფურს მიღმა, ვთხოვეთ, ნახაგი ეჩვენებინა და ისიც დაგვთანხმდა, ოღონდ იმ პირობით, რომ თითო ლუკაცს გადავუხდიდით. და არ სურდა, ორივე ერთად შევეშვით, რასაც იმით ხსნიდა, რომ მასთან სივიწროვება. პირველი დიომიდე შევიდა და კართან კოენმა ისე უჩქმიგა, როგორც ამას მაშინ, ჩვენსა და მის ახალგაზრდობაში, ნიღბების კომედიაში თამაშისას აკეთებდა ურემზე, რომელიც ბაზრის მოედანზე მიმოდიოდა. დიომიდე იქ ცოგა ხანს დარჩა, ბუსგად იმდენ ხანს, რამდენიც მამლის ორ ყივილს აშორებს და გამწვანებული სახით გამოვარდა ქუჩაში, სადაც თევზი და კუნძულ კოლოჩეპის წითელ ღვინოში ჩაწყობილი ბეთისხილი ამოაღებინა.

მე მაინც არ შევმინდი და შევედი. შიგნით ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, როგორც გემზე, ჭერზე ჩამოკიდებული ნათურაც ისე ირწეოდა, თითქოს სახლი გაღლებზე მიცურავდა. მაგიდაზე დავინახე საათი, რომელსაც რევოლვერის ლულით ქოქავენ, სამელნე და კოენის მიერ ნაწერი ფურცელი. მოვახერხე, დამემახსოვრებინა რაღაცები, რაც იქ დავინახე. შესაძლოა, თქვენ, როცა ჩემს წერილს წაიკითხავთ, ეს გამოგადგეთ.

„ყველაზე მნიშვნელოვან საკითხში, — წერდა კოენი, — უფრო მწვევრების მეხსიერებას ენდობიან და არა ადამიანისას, იმიტომ, რომ მას უფრო ღრმად ახსოვს, უფრო დილხანს და ბუსგად. ამასთან, მის მეხსიერებას არ აქვს მოთხოვნილება, სიგყვით გადმოსცეს ის, რასაც ინახავს, როგორც ამას ადამიანი აკეთებს. ეს, უბრალოდ, თავისებური საკუჭნაო“.

— ასე ბევრს რაგომ იღებ? — ვკითხე.

— იმიტომ, რომ ჩემი მხედველობის არეში ჩართულია სწრაფი საიდუმლოებები, ისინი, რომლებიც მალე ცხადად იქცევა, — მიპასუხა სიცილით.

— როგორია ჩემი სწრაფი საიდუმლო?

— ცნობილია, რომ ყველა ადამიანი ვიღაცის შვილია, — დაიწყო კონემა, — მაგრამ ის აუცილებლად არის ვიღაცის სიკვდილიც.

როგორც ვიღაცის სიცოცხლე განსახიერდება შენში, ასევე შენშივე ახდენს რეინკარნაციას და განსახიერდება ვიღაცის სიკვდილი. ეს ნიშნავს, რომ მემკვიდრეობით მიღებული სხვისი სიცოცხლე და სიკვდილი ისე შეუღლებიან შენში, როგორც მეორე მამა და დედა... მოკლედ, სიკვდილის წამს ვერავინ იქნება დარწმუნებული, საკუთარი სიკვდილით კვდება თუ სხვისით. იქნებ ვიღაც ქალის სიკვდილითაც კი. ისე, უკეთესია, თავად ნახო.

აქ კონემა იაგაკმე გაშალა და მიჩვენა ქალაქის უზარმაზარი ფურცელი, პაგარა იალქნის ბომისა, ნახაგებით დაფარული და სავსე ადამიანის პაგარ-პაგარა ფიგურებით, გუნდ-გუნდად და ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილები საკუთარი საქმით რომ იყვნენ გართული. რუკის მინდვრებზე წითელი მელნით ეწერა რაღაც ინსტრუქციის მსგავსი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გაიღიმო. პირველი ფრაზა იუწყებოდა: „თავის ამქვეყნად მოვლინებამდე ორმოცი დღით ადრე ადამიანი პირველად იღიმება, სიკვდილიდან ორმოცი დღის შემდეგ — უკანასკნელად...“

დანარჩენი გაურკვეველი იყო.

როცა მივუახლოვდი და შევუდექი მთელი ამ აფუთფუთებული სისაძაგლის დათვალიერებას, დახატულს ქალაქის ფურცლებზე, რომლებიც კონემა შეაერთა, ერთმანეთს მიაწება და გააკეთა რაღაც დიდი რუკის მსგავსი, შევნიშნე, რომ ეს იყო უთვალავ ჯგუფად გაერთიანებული ფიგურები ჯარისკაცებისა და მამებრებისა, რომლებიც სიკვდილმისჯილებს ხოცავდნენ. თითოეული სიკვდილმისჯილი თავისი აღსასრულის მომენტში გამოესახათ, სიკვდილი კი იმდენი იყო, რამდენიც ყვაილია მდელით და თითოეული, მომაკვდავი, უყურებდა სხვების სიკვდილს. სიკვდილისწინა კვნესისგან იგულებოდნენ და ხრიალებდნენ, როგორც აქლემები, თუმცა ეს ხრიალი არ ისმოდა, — ის რუკის შიგნით იყო მიმართული, მსჯავრდადებულებისკენ, და ისე უფლეთდა შიგნეულს, როგორც დანა... ქალაქის თვალიერებისას ვკითხე, ღიმილზე ასე რამ შეაშინა-მეთქი და პასუხად გავიგონე:

— შენც ამოირჩიე, როგორც მან ამოირჩია და მაშინ დაინახავ.

— რა ამოვირჩიო?

— ამოირჩიე, რომელი ბოლოდან დაათვალიერებ. აი, აქ, ნახაგის ქვევითა ნაპირზე, ჯარისკაცებია ჩამწკრივებული. ყველანი შენ გიყურებენ, როგორც მეთაურს, და შენს ბრძანებას ელიან. ამოირჩიე ერთი მათგანი, რომელიც გინდა; ის იქნება შენი გამცილებელი და მცველი, შენ კი ყურადღებით დააკვირდი, რა მოხდება.

ამოვირჩიე პაგარა მელოლე, ამოვირჩიე იმიტომ, რომ მისი თვალები სიგყვებს აფრქვევდნენ და ეს სიგყვები შეიძლებოდა დაგენახა და წაგეკითხა ისე, თითქოს ის მათ თავისი მზერით ჰაერში წერდა:

— ისევე, როგორც არსებობს სულების გადასახლება, არსებობს სიკვდილების გადასახლებაც.

საკმარისი აღმოჩნდა, ეს წამეკითხა, მაშინვე შევნიშნე, რომ მელოლე, პირდაპირ მე რომ მომჩერებოდა, დოლის ერთი ჯოხით მიმანიშნებდა სადღაც გვერდზე, ჯარისკაცების მწკრივს ბევრით.

რუკაზე თვალი გავაყოლე, საით იყო მიმართული მისი ჯოხი და დავინახე ჯარისკაცი, რომელსაც ამ დროს გადასცემდნენ ბრძანებას, მილივით დახვეულ ფურცელზე დაწერილს. მერე დავინახე, მომდევნო გზაჯვარედინზე როგორ გადასცემდა ის ამ მილივით დახვეულ ბრძანებას ვიღაც მხედარს. ამ სცენას ახლდა კომენტარი: „ცხენოსნის უნაგირი დაგენილია თურქული თმით“. ამის მერე დავინახე, როგორ გაიტაცა ცხენმა მალემსრობლი შორს, რუკაზე გამოსახული აღამიანების მთელი ამ ვეება გროვის იქით, ორ მდინარეზე გაშენებული რომელიღაც ქალაქისკენ, საღაც თურქებსა და ქრისტიანებს ომი ჰქონდათ. აქ კაცი ცხენიდან ჩამოვიდა და გზა ფეხით განაგრძო და მივიდა რომელიღაც კოშკთან, რომელზეც ეწერა: „მახერუს“. კაცი შენობაში შევიდა, ხვეულა კი გარეთ, მიწაზე დაგოვა. ხვეულაზე ეწერა: „მოკვდები ცეცხლისგან“.

ფრაზის ქვეშ აღნიშნული იყო თარიღი — 1739 წლის 22 აპრილი.

— აი, თავად ამოირჩიე საკუთარი სიკვდილი, — მითხრა კონმა, — ცეცხლისგან მოკვდები, როგორც ის კაცი, კოშკში რომ შევიდა. მელოლის ნაცვლად სხვა ჯარისკაცისთვის რომ შეგეხედა, იმათგან, რომლებიც რუკის ქვევითა ნაწილის ნაპირზე ჩამწკრივებულან, ის მეორე სხვა გზით წაგიყვანდა, სხვა ბრძანებას მიიღებდა და გადასცემდა ვიღაც მესამეს, შენ

კი მაშინ სულ სხვა მხარეს წახვიდოდი და სხვანაირად დაამთავრებდი სიცოცხლეს, ისე, როგორც სხვა განაჩენში ეწერებოდა.

მაგრამ ეს შენი სიკვდილია და უკეთესი არ გჭირდება. ისე, ყურში ბევრის თქმა არ ღირს. ღმერთიც კი ბაგიდან ბაგებზე გადასცემდა სათქმელს თავის რჩეულებს და ყურებს, როგორც არასაიმედოს, ერიდებოდა...

— ის ღლე, — შევაწვევინე, — ჩემი სიკვდილის ღლეა?

— ღიას, — მიპასუხა.

— ღიომიღე სუბოგამაც ნახა თავისი ღლე?

— ნახა, — მითხრა მან.

— და მისი ღლე როდის არის?

— სულ მაღე...

ღლის სინათლებზე გამოვედი და კარში მთელი ძალით დავარგე კოენს. მიწიდან ქული აიღო, თავისი წიწილის თვალებით შემომხედა და მითხრა:

— წესით, მაღლობა უნდა გადაგეხადა. და კიღევ რაღაცას გეტყვი.

ამ წუთიდან მე და შენ ძმები ვართ, რადგან ჩვენი სიკვდილები ღვიძლი ღები არიან...

აი, თითქმის ყველაფერი.

ამასთან, როგორც თქვენთვის არის ცნობილი, ამ წლის ივნისში ღიომიღე ცრეველიარ ბაკიჩის ნაგში აღმოჩნდა, ქალაქ ნოვთან ქარიშხალში მოხვდნენ და ნაგი ამოყირავდა. იმის მერე, რაც ის დაიხრჩო, ერთადერთი, რასაც ვაკეთებ, ის არის, რომ ვითვლი ჩემს ღლეებს და, ბოლოს და ბოლოს, რაღაც მოვიფიქრე. ისევ კოენი მოვძებნე და ვთხოვე, შეცვალოს ან გადასწიოს ის, რაც რუკაზე კოშკის წინ ვნახეთ, როგორც ჩვენი საერთო სიკვდილი. ჯერ მარგო მისი წვერის დანახვითაც კი მიხვდებოდი, რა პასუხის გაცემას აპირებდა.

— ეს ჩემს ძალას აღემატება, — მითხრა მან, — თარიღის გადაწევა არ შეიძლება.

ერთადერთი, რაც შემიძლია ის არის, რომ დაბადების ღლეზე ჩემს თავს საჩუქარი ვუძღვნა.

ჩემი სამი სულიდან ერთ-ერთს კიღევ ორი ღლის სიცოცხლეს ვაჩუქებ, სიცოცხლის ორ ზედმეტ ღლეს. მათ ორი დანარჩენი სულისგან ავიღებ, რომლებიც ორი ღლით ნაკლებს იცოცხლებენ...

და იმ თარიღის ნაცვლად, რომელიც რუკაზე იყო, თავის თავს ახალი დაუწერა: 1739 წლის 24 აპრილი.

— მერე მე? — ვკითხე.

— შენ სამი კი არა, ერთი სული გაქვს, ასე რომ, ვერ შეძლებ, სამ ნაწილად გაყო შენი სიკვდილი“.

ამხანაგის, ღიომიდე სუბოგას გარდაცვალების შემდეგ, ლუბროენისა და იქ მიღებული ახალი წინასწარმეტყველების შემდეგ ლეანდრი უკან, სახლისკენ გაემართა.

მთელი გზა ლოცვასავით ჩურჩულებდა:

— მაღლობა შენ, ღმერთო! შენ მიეცი ღრის უფლება, უსასრულობამდე გაზრდილიყო. შენ მიეცი მას სივრცე, რათა გაზრდილიყო და მომკვდარიყო. იმიტომ, რომ არსებობს სიკვდილი, მაგრამ არ არსებობს დაბადება. აი, ღრო არ დაბადებულა, მაგრამ მოკვდება კი...

ლუნაის ნაპირზე, ბელგრადის მახლობლად, ლეანდრი შეიპყრეს. მასთან მისულმა თურქმა ოფიცერმა თმის ქვეშ ყური ნაზად მოუძებნა და თქვა:

— როგორც ჩანს, სწორედ ის არის. ყურის მაგივრად ჭიპი. დედ-ალა ოჩუბთან მიიყვანეთ, დიდი ხანია, ამას ეძებს.

— როგორც კი გავიფიქრებ, რა ღროიდან ვცხოვრობ, როგორც კი გავიფიქრებ, ამის მეგად ველარასოდეს ვიცხოვრებ...

— წვერს ჩასლუღუნებდა დედ-ალა ოჩუბი, 1739 წელს ყველაზე მოკლე გზით რომ მისწრაფოდა ავსტრიის ჯარებით გადაგენილ ბელგრადში, რომელიც ორი ღუნაის შესაყართან გაშლილიყო (ამ მხარეებში ჯერ კიდევ არგონავტების ღროიდან სავას „დასავლეთ ღუნაის“ ეძახდნენ). მის რაზმში ყველამ იცოდა, რომ მეთაურმა დაიფიცა, სხვა თურქულ რაზმებზე აღრე შეჭრილიყო ქალაქში და აელო რუჟიცის ეკლესია, ღეთისმშობლის სახელობისა. აი, რაგომ ჩქარობდა რაზმი, გზის რაც შეიძლება დიდი მონაკვეთი გაეელო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მანამდე, სანამ მზე პირდაპირ თვალებში მიანათებდა და აიძულებდა ცხენებს, გვერდზე თავმობრუნებულებს ექროლათ, რაც წინსვლის სისწრაფეს აყოვნებს.

„უმნიშვნელო სულაც არ არის, რომელი გზით მიიწევ წინ, მიზნისკენ“, — ფიქრობდა მეთაური და თავისი რაზმისთვის განსაკუთრებულ მისაღვომებს ეძებდა, რისთვისაც სრულიად მოულოდნელ ხერხებს იყენებდა. დედ-ალა ოჩუბი, ვინც სახელი გაითქვა როგორც ხმლით

ბრძოლის ოსტატობა და თავებზე მონადირემ, 1709 წელს პრუგზე რუსების წინააღმდეგ იბრძოდა და იქ ნახა, რომ რუს გენერლებს შგაბთან ერთად თან მიჰყავდათ საკუთარი საბალეტო დასები, გუნდები და თეატრის მსახიობები, რომლებიც ლაშქრობაში მყოფთ ართობდნენ. მას შემდეგ მანაც გაიჩინა მომღერლები და მუსიკოსები და ახლა მათ ნაბრძანები ჰქონდათ, შეექმნათ სიმღერა, რომელშიც ჩამოთვლილი იქნებოდა სახელები ყველა იმ დასახლებული პუნქტისა, რომლებიც ბელგრადისკენ მიმავალ გზაზე უნდა გაეფლათ. ასეთი სიმღერით ყველა ჯარისკაცისთვის გასაგები გახდებოდა, რა გაიარეს და კიდევ რამდენი დარჩა გასაფლავი. ტყვედ აყვანილებისგან და ადგილობრივ გამცილებელ-ქრისტიანთაგან მომღერლები, მუსიკოსები და პოეტები იგებდნენ ყველა ახლომდებარე ადგილის სახელწოდებას და ქმნიდნენ სულ ახალ და ახალ სტროფებს გზის თითოეულ მონაკვეთზე, რომელზეც რაზმი მიდიოდა:

კომლა, ბრლოგი, იასიკოვა,

პლაენა, რეჩკა, სლაგინა,

კამენიცა, სიპი, კორბოვა,

ბუჩიე, ბლოგი და ბლაგინა...

როცა დედ-აღას რაზმმა ბოლომდე ჭენებით გაიარა მთელი სიმღერა და ბელგრადის კედლებს მიაღწა, უცნაურმა შემთხვევამ აიძულა, შეჩერებულიყო.

სოფელ ბოლექში რაზმი აღრიანი დილით შეერია ბავშვების ხროვას, რომლებიც თავზე შედგმული სინებით დააგარებდნენ ფურნიდან გამოგანილ ახალგამომცხვარ პურებს.

ერთ-ერთმა ცხენოსანმა გვერდი გაჰკრა ბიჭუნას, რომელსაც გვირთი გაუვარდა, პური ქვაფენილზე მიმოიფანტა და მზეზე აბრჭყვიალდა ქვაზე აწკარუნებული ცარიელი სპილენძის ფირფიტა, ზედ ამოგვიფრული ნახაგით, რომელიც ერთობ უცნაურად გამოიყურებოდა. ბიჭი ჩაცუცქდა და პურისა და ფუნთუშების კვლავ სინზე დაწყობას შეუდგა, ხოლო დედ-აღამ ცხენი წამით შეაჩერა, რადგან ნახაგის შინაარსმა მისი ყურადღება მიიპყრო — მისი ცხენი დიდი ფული ღირდა, ეს იყო შავრა, განსწავლული განსაკუთრებული სახის ჭენებაში, რისთვისაც ბავშვობიდან მრდიდნენ სპეციალური ხერხების გამოყენებით. ასე რომ, ახლა ის მოძრაობისას ერთდროულად ისროდა წინ ხან ორ მარცხენა, ხან ორ მარჯვენა ფეხს, რისი წყალობითაც მოძრაობისას მხედარი არანაირ რყევას არ გრძნობდა. ასეთი ცხენები

ერთნაირი სიმსუბუქით მიდიოდნენ როგორც წინ, ისე უკან, ამიგომ დედ-აღას შემობრუნებამ არ მოუწია, უბრალოდ, ცხენი აიძულა, ორი ნაბიჯით დაეხია უკან და ბიჭს გაუსწორდა.

— შეჭამეთ! — დაუყვირა ჯარისკაცებს. მათაც წამში დაიგაცეს ყველაფერი, რაც სინზე იყო.

— პირი გააღე! — უბრძანა მერე ბიჭუნას, სახელოზე ძვირფასი ქვის ღილი შეიწყვიტა და ხელის ელვისებური მოძრაობით, ხელისა, რომელმაც აცდენა არ იცოდა, ბავშვს პირში შეუგდო, — ეს შენ პურისა და სინისთვის, — უთხრა დედ-აღა ოჩუმბა, ცხენი გააჭენა და სპილენძის დაფაც თან გაიყოლა.

საღამოს დედ-აღა ოჩუმბის კარავში (მინერალური წყლის წყაროსთან რომ იდგა) სინი შეიგანეს და ირგვლივ შემოუსხდნენ ღიდგვაროვნები, ამაღა და ერთი ალეპოელი დერვიში, რომელმაც ცნობილი იყო, რომ სიმბრებს ძველებურად მშობლიურ სპარსულ ენაზე ნახულობდა.

მოელოდნენ, რომ ის განუმარტავდათ იმ ნახაგს, სინზე რომ იყო ამოგვიფრული. დერვიში ყურადღებით დააცქერდა სპილენძს, თითქოს ნახვრეც ეძებსო, მერე კი თქვა:

— აქ, სინის გარეთა მხარეს, გამოსახულია სამყაროს, ცისა და დედამიწის რუკა, რუკა მთელი ხილული და უხილავი სივრცისა.

ის კი შედგება ოთხი ქალაქისგან, ანუ ოთხი სამყაროსგან, რომლებსაც იაბარუგი, მოლკი, მალაკუგი და ალამ ალ მიგალი ეწოდება. მხედველობაში მისაღებია, — განაგრძობდა დერვიში, — რომ ის, რასაც ხილული სივრცე ჰქვია, ოთხ ქალაქს შორის არათანაბრად არის განაწილებული. ამბობენ, მამლების ბრძოლისთვის განკუთვნილ მინდორს ურთიერთგადამკვეთი ხაზებით ოთხ ნაწილად იმისთვის ყოფენ, რათა განასახიეროს ოთხი სამყაროს სურათი, რომელიც ამ სინზეც არის გამოსახული.

როგორც ვიცით, სულაც არ არის უმნიშვნელო, თუ რომელ ნაწილში სამყაროსი ან მისი რუკისა, ბრძოლის არენის სილაზე რომ ხაზავენ, ილუპება ან იმარჯვებს მამალი. იმიგომ, რომ კარგი ხილვადობის, ძლიერი გემოქმედებისა და ხანგრძლივი მეხსიერების ადგილები ბრძოლის არენაზე ისეა განაწილებული, რომ სიკვდილი და მარცხი წრის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში გაცილებით მეტი ღირს, ვიდრე გამარჯვება და სიცოცხლე სამხრეთისა და ჩრდილოეთისაში, რომლებიც მხედველობის სუსტ არეში ექცევიან, სადაც სიკვდილი და გამარჯვებები არ გოვებენ რაიმე შესამჩნევ კვალს და ძლიერ შთაბეჭდილებას. ისინი თითქმის ცულებრად ჩაივლის ხოლმე. სხვა სიგყვებით რომ ვთქვათ, — დაამთავრა



განმარგება ალექოელმა დერვიშმა, — სულაც არ არის უმნიშვნელო, სინის რომელი ნაწილიდან მიიღო დილით თავისი წილი ღვებელი ამა თუ იმ ჯარისკაცმა. იმიტომ, რომ ძლიერი მხოლოდ ის არის, ვისაც სულ ცოცხა, სამ სხვადასხვა სამყაროში ძალუძს ერთი და იმავეს გაკეთება.

დანარჩენებს იმდენი დრო აქვთ, რამდენიც ყურს უკან შეიძლება შეინახო...

დელ-ალა ოჩუმბე, წვერი ცხენის კუდს რომ მიუგავდა, დანამდვილებით არასდროს არავის შეეძლო სცოდნოდა, წინ წავიღოდა თუ ასევე იოლად — უკან. ასე იყო ახლაც, როცა იმის ნაცვლად, დერვიშის ნაამბობზე რამე ეპასუხა, სინი აიღო, ხელში აწონა, უკუღმა ამოაგრიალა და მოითხოვა, აეხსნათ მეორე ნახაგის მნიშვნელობა, რომელიც უკანა მხარეს იყო ამოგვიფრული. მაგრამ გაირკვა, რომ დერვიშს არ შეეძლო მეორე მხარის გამოსახულების გარჩევა, რადგან მოხაზულობა ეკუთვნოდა ავგორს, რომელიც ისლამის მიმდევარი არ იყო. მაშინ ამობრუნებულ სინზე ანთებული სანთელი მიამაგრეს და დელ-ალა ოჩუმბთან ლეანდრი შეიყვანეს.

კარავში შესულმა ლეანდრმა მზერა მიაპყრო დელ-ალა ოჩუმსა და მის ხმალს, რომელსაც ვადაზე ოქროს ფუნჯი ჰქონდა. ალა მისჩერებოდა მის წინ მდგომ ჭადარათმიან კაცს, რომლისთვისაც სახე ისე დაეხაზა ცრემლსა და სიცილს, როგორც ვარსკვლავთა ორბიგებს ცა. მოჭრილი ყურით თუ ვიმსჯელებდით, ეს ერთ-ერთი იმ მშენებელთაგანი იყო, სავის მხრიდან რომ ამოაშენა ციხესიმაგრის კედლები, რომლის შგურმით აღებასაც დელ-ალა ოჩუმბი აპირებდა.

„მოხუცია, — გაიფიქრა დელ-ალა ოჩუმმა, — ყველაფერი უნდა იცოდეს. ის, თუ სად რომელი ეკლესიაა ბელგრადში, ისიც, როგორი შარდი აქვთ ჩიგებს...“ ხმამაღლა კი ლეანდრს ჰკითხა:

— სინზე რას ხედავ?

— საკუთარ ღირსებას, — უპასუხა ლეანდრმა.

— ღირსება, რაკი აქ დგახარ, უკვე აღარ გაქვს, — უპასუხა დელ-ალა ოჩუმმა, — აბა, უკეთ დაათვალიერე.

ეს სპილენძის ფურცელი გვიფართოურთ ოღესლაც იმისთვის გამოიყენებოდა, რომ მისგან რუკების ანაბეჭდი გაეკეთებინათ, შემდეგ კი სინად ხმარობდნენ. შეგიძლია, წაიკითხო, რა წერია აქ?

— გრიეცჰისკჰ წეისენბურგ.

— ეგ რას ნიშნავს?

— ბელგრადს.

— ბერძნულ ბელგრადს?

— არა, ამ ხერხით ავსტრიელები მიგვანიშნებენ, რომ ჩვენ, სერბები, ვინც ბელგრადში ვცხოვრობთ, მათ სარწმუნოებას არ ვეკუთვნივთ.

— არც ჩვენსას.

— ვიცი.

— საკუთარი კი სრულიად არ გაგაჩნიათ, მხოლოდ ბერძნული. თუმცა ჩვენთვის სულერთია. გვინდა, გვითხრა, რა არის გამოსახული ამ ფურცელზე და როდის ამოგვიფრეს. ბელგრადზე მუსტი ცნობები გვჭირდება. ყველაზე მუსტი. ციხესიმაგრის კედლებზე, შენობებზე, მშენებლებზე, ჭიშკრებზე, შესასვლელებზე, სიმდიდრეზე, მცხოვრებლებზე, ეკლესიებზე — ერთი სიტყვით, ყველაფერზე.

დრო მთელი ღამე გვაქვს, სიცოცხლე რამდენი გვაქვს, ეს არ ვიცი. ძნელია, პური თანაბრად გაყო, თუ არ იცი, რამდენი ღარჩა. ამიგომ დაწვრილებით მოჰყევი. წერტილიდან წერტილამდე და შენთვის უკეთესია, რაიმე დაუმაგო, ვიდრე გამოგრჩეს. მხოლოდ ეს იფიქრე: რა ხანია ცხოვრობ? მერე კი გაიფიქრე: ამის მერე ველარასოდეს ვიცხოვრებ... შენი კისერი კი თითქოს საგანგებოდ ხმლისთვის არის შექმნილი...

ლევანდრი მიწაზე დაგდებულ უნაგირზე იჯდა, ნელ-ნელა აგრიანდებდა სინს, ათვალიერებდა და თან ფრთხილობდა, უღვაში და წარბები ცეცხლმა არ ამილოკოსო და სპილენძის ღაფაზე ისე კითხულობდა, როგორც წიგნში. ლევანდრის წარბქვეშ ვენა პულსირებდა, საათივით ითვლიდა დროს, შეჭმუნნილ შუბლზე კი პეპლის ფრთებივით უთრთოდა თმის ღერები.

თითქოს ამ საათს, რომელიც ლევანდრისთვისვე სავსებით მოულოდნელად დაიწყო მასში მუშაობა, უნდა გამოეთვალა რომელიღაც საკუთარი დრო და ვიდრე გაჩერდებოდა, განესაზღვრა მუსტი საათი...

სანამ ლევანდრი ყვებოდა, დედ-ალა ოჩუმი გაუნძრევლად იჯდა, თან წვერს ისე იფოცხავდა, თითქოს ხელში პაგარა, სწრაფი მხეცუნა ეჭირა და ყურადღებით ყნოსავდა, ამასთან, ყოველი ახალი სუნის შეგრძნებისას თვალები აენტებოდა. სალაშქრო კოცონებთან ყვებოდნენ, რომ დედ-ალა ოჩუმის თვალები ზოგჯერ მხედველობას კარგავდა და ის,

ცხენიდან ჩამოსული, მიწას ისე ვერ ხედავდა, როგორც მაშინ, როცა ცხენზე ჯდებოდა. ასე იყო თუ ისე, ლეანდრს ხაზგასმული გულგრილობით უსმენდა და იმავე დროს მოგაგონებდათ მონადირე ძაღლს, იმ ადგილს რომ ეძებს, სადაც ადრე უკვე ყოფილა, მაგრამ მისკენ გზას ვეღარ იგნებს. ოღონდ ის ადგილი, ის ბუნაგი გარეთ კი არ იყო ან კარვის იქით, არამედ თვით მასში, დროთი მიჩქმალული და დაფარული. იმის მოლოდინში, რომ ნაცნობი სუნი, რომელსაც დიდი ხანია ეძებდა, გაუღვიძებდა მოგონებებს და იქ წაიყვანდა, სადაც საჭირო იყო, დედ-ალა ოჩუბი ლეანდრს უსმენდა. იმ წუთს ელოდა, როცა მისთვის საჭირო ორი ადგილი აღმოჩნდებოდა: შესაფერისი ადგილი ქალაქზე თავდასასხმელად ლეანდრის მონაყოლში, ლეანდრისა, რომელიც სინზე კითხულობდა და შესაფერისი ადგილი თვით დედ-ალა ოჩუბში, რომლიდანაც შეგვევა უნდა განვევითარებინა. და სულთნის მთელი საომარი ლაშქრობა იმ მონაყოლთან ერთად, ახლა ლეანდრისაგან რომ ისმენდნენ, ყველას, ვინც იმ საღამოს კარავში იყო, ეჩვენებოდა შედარებით ნაკლებმნიშვნელოვან ნაწილად სხვა, შინაგანი ლაშქრობისა, რომელიც რომელიღაც ჯერ კიდევ უცნობ წუთში ერთ დამოურჩილებელ მოძრაობად შეერწყმებოდა პირველს იმ აკრძალვის განსახორციელებლად, ალამ ჯერ კიდევ ადრე რომ დააწესა.

ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდნენ ისინი, ვინც კარავში იჯდა. დედ-ალა ოჩუბი კი, თავისი წვერის სუნს რომ იყნოსავდა, სულ სხვას ფიქრობდა. მან გაიხსენა, მარშის იმ მგვრით დაფარულ ღლებში ერთხელ, საღამოს მოახლოებისას, როგორ დაინახა რაღაც ისეთი, რაზეც დარწმუნებით თქმა, რას ნიშნავდა, არ შეეძლო. უნაგირზე მჯდომმა შენიშნა ძაღლი, რომელმაც გზა გადაუჭრა. მიხვდა, ძაღლი ციცინათელას დაჭერას ცდილობდა. და უცებ ყველაფერი გაუქრა თვალწინ. შეკითხვაც კი გაუჩნდა: ნეგავ რაზმიდან ვინმემ, მის გარდა, დაინახა ყოველივე ეს? და მაშინვე გაიფიქრა: „მეც ციცინათელას მივდევ.“

ოღონდ ის უკვე ჩემშია, მე კი ჯერ კიდევ მივდევ. გადაყლაპო — ყველაფერს არ ნიშნავს. მას შემდეგაც კი, რაც გადაყლაპავ, სინათლის დაპყრობა მაინც უნდა განაგრძო“...

როცა ლეანდრმა მოყოლა დაამთავრა, დედ-ალა ოჩუბმაც, თავისი წვერის სულ სხვა ნაწილში რომ იმყოფებოდა, ეგყობა, გამოკვლევა დაამთავრა. მისთვის ყველაფერი ნათელი იყო...

მეორე ღღეს, როცა თურქების ჯარი ბელგრადში შევიდა, დედ-ალა ოჩუბმა, ერთ-ერთმა პირველთაგანმა, გადალახა ქალაქის კარიბჭე სავაზე, რადგან უნდოდა, სხვებზე ადრე მიეღწია რუჟიცის ეკლესიამდე.

„თითოეული თან ღაგარებს საკუთარ სიკვდილს პირველ ხელსაყრელ შემთხვევამდე“, — გაიფიქრა და გაჭენებული ცხენიდან, თითქოს იმის შიშით, ვინმემ არ დამასწროსო, პირდაპირ უნაგირიდან ესროლა შუბი საკეგის ჭუჭრუგანას. შუბი ისე ჩაერჭო შიგ, როგორც გასაღები, და თავი მეორე მხარეს გამოყო, კარი კი ჭრიალით გაიღო. და სანამ ჯარისკაცები, ეკლესიას ყოველმხრივ გარშემორტყმულნი, ცეცხლს ანთებდნენ კედლების ძირში, რომელმაც მაშინვე დაიწყო მათი ლოკვა, დედ-აღა ოჩუმი ეკლესიაში შევიდა და ცხენიდან ჩამოუსვლელად შეუდგა ხმლის წვერით ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხაგის თვალების ამოჩიქნას და პირდაპირ ხმლის პირიდან ლოკავდა სამკურნალო საღებავს, დასერილი ენიდან სისხლი სდიოდა და იმედოვნებდა, რომ სასწაულებრივი ძალით დაუბრუნდებოდა მხედველობა.

მთელი ეს ხანი ლეანდრი ეკლესიის წინ იდგა, იქ, სადაც დაგოვეს. მისი თმა ცხადყოფდა, რომ მალე მოკვდებოდა.

ის ერთადერთი აღმოჩნდა ქალაქში, ვინც გაუნძრევლად რჩებოდა. გარშემო ყოველივე, ერთმანეთს რომ ანადგურებდა, თუხთუხებდა და დუღდა, ლეანდრის თვალმემოთა ძარღვი კი ძველებურად აგრძელებდა ფეთქვას დროის უღმობელ სრბოლაში, ხოლო წარბები, როგორც პეპლები, გაფრენის წინ ფრთებს რომ ისწორებენ, საათებს ითვლიდნენ. და უცებ მიხვდა, რომ მისი დრო ამოიწურა. წარბებმა მოძრაობა შეწყვიტეს და გონს მოსული ლეანდრი, ნაცვლად იმისა, ლოდინი გაეგრძელებინა ეკლესიის წინ, გაშლილ ადგილზე, სადაც დედ-აღა ოჩუმი გაძრიდან გამოსვლისთანავე აჩებდა, თავპირისმგვრევით გაიქცა ბელგრადის ვიწრო ქუჩაბანდებში. ბურგს უკან ფლოქვების თქარუნი ესმოდა, მაგრამ იმის დრო არ ჰქონდა, მოეხედა და დაენახა, ვინ მისდევდა — დედ-აღა ოჩუმი თუ ვინმე სხვა. თქარუნთან ერთად ლეანდრამდე სამინელი სიმყრალეც აღწევდა და მიხვდა, რომ თავს მოკვეთდა ჩვეულებრივი ცხენოსანი, რომელსაც ბრძოლის დროს შიშისაგან შარვალში ჩაესვარა. სიმყრალე თანდათან მაგულობდა და ეს იმას ნიშნავდა, რომ მღვეარი უახლოვდებოდა.

კიბის წინ, რომელიც ქვევით, სავისკენ ეშვებოდა, ლეანდრი წამით შეყოვნდა, თითქოს ყოყმანობდა ორ ბედისწერას შორის, მაგრამ ბოლო წამს პირდაპირ გაფრინდა ქვევით, საფეხურებზე, ფეხქვეშ თელავდა სახლების საღამოს ჩრდილებს, რომლებიც ისე იყო დაკბილული, როგორც ხერხი. კიბის წინ ფლოქვების თქარუნი შეწყდა და ლეანდრი, თავდახსნილი ცხენზე მჯდომისა და მისი ხმლისაგან, პირდაპირ შევარდა თავის კოშკში,

ისეთი მშვიდი რომ იყო, როგორც ახალგანბანილი სული. კოშკი უცხოთავე შეხვდა და ლეანდრი თავს უცნაურად გრძნობდა. ეჩვენებოდა, რომ უღვაში წამწამებზე ეხებოდა და მხედველობას უბინდავდა. ბოლოს და ბოლოს, დამალვა შეძლო. იდგა აპრილის 22, 1739 წლისა, ეს იცოდა. მაგრამ არ იცოდა, რომ ორივე კოშკი, ბელგრადის სავის კარიბჭის მახლობლად რომ იდგა, უკვე დანადგული იყო.

ამბობდნენ, რომ აფეთქებამდე წამით აღრე მათ ბევრით დამაგრებული მამლები ერთ ღროსა და ერთ ქარს აჩვენებდნენ. პირველად და უკანასკნელად — ერთ ღროსა და ერთ ქარს. იყო თორმეტი საათი და ხუთი წუთი, როცა საშინელმა აფეთქებამ ჰაერში აიგანა ორივე კოშკი, რომლებიც გაქრა იმ ცეცხლის ენებში, ლეანდრის სხეული რომშთანთქა..